ნინო ნაკაშიძე

ლევ ტოლსტოის ახლოს

(მოგონება)

თბილისი

სახელმწიფო გამომცემლობა

1 9 5 4

ლევ ტოლსტოის ახლოს

1

აღმოსავლეთის ბრძნული თქმულებაა: თუ ადამიანს წილად ხვდა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბის მოწამე ყოფილიყო, ის ვალდებულია ეს ამბავი გადაიტანოს ქაღალდზე თავისი შვილიშვილებისა და შვილთაშვილების საყურადღებოდ. მე ჩემ ცხოვრებაში წილად მხვდა ისეთი დიდი ადამიანის, როგორიც იყო ლევ ტოლსტოი, ცხოვრების მოწამე ვყოფილიყავი, მართალია, განსაზღვრული დროის განმავლობაში, მაგრამ, ვფიქრობ, ამ განსაზღვრული დროის დაკვირვებანიც საინტერესოა. ეს მაბედვინებს, გავუზიარო მკითხველს ჩემი პატარა მოგონება დიდი ადამიანის შესახებ, რომლის ყოველ სიტყვას დაძაბული ყურადღებით ისმენდა მთელი კაცობრიობა.

დიდი მორიდებით და შიშით ვიწყებ. შიშით იმიტომ, რომ არ ვიცი, ექნება თუ არა ისეთი მნიშვნელობა ჩემს მოგონებას იმის შემდეგ, რაც დაიწერა და იწერება ახლაც ლევ ტოლსტოის შესახებ, რომლის ხანგრძლივი ცხოვრება ისე შინაარსიანი და საგულისხმიერო იყო.

მე შემთხვევა მქონდა ლევ ტოლსტოის ახლოს მეცხოვრა ხუთი წლის განმავლობაში, მოსკოვში, 1898 წლიდან 1903 წლამდე. მასთან დაახლოებული იყო ჩემი მეუღლე — ილია ნაკაშიძე. ილიას უყვარდა ტოლსტოი მწერალი, ფილოსოფოსი, მასწავლებელი, და დიდი სურვილი ჰქონდა დაეწერა მის შესახებ წიგნი. მაგრამ ერთი პატარა მოგონების მეტი — „როგორ გავეცანი ტოლსტოის“ სიცოცხლეში ვერაფერი ვერ მოასწრო, თუმცა თავის წერილებში, ლექციებში და სიტყვებში ხშირად იგონებდა და ხშირად მოჰყავდა ტოლსტოის შეხედულება ცხოვრებაზე, რის გატარებას ცხოვრებაში უაღრეს მნიშვნელობას აძლევდა.

ლ. ტოლსტოი გავიცანი 1898 წ., ილიკო ნაკაშიძე კი იცნობდა მას 1896 წლიდან და ჰქონდა მასთან მიწერ-მოწერა.

მკითხველისათვის რომ გასაგები გახდეს, თუ რა პირობებში მოხდა ჩვენი გაცნობა, უნდა დავიწყო 1895 წლიდან, როდესაც ჩვენს ოჯახში განუწყვეტელი კამათი იყო, ან კი რომელ ინტელიგენტის ოჯახში არ იყო მაშინ ბაასი და გაცხარებული კამათი ლევ ტოლსტოის ახალი მოძღვრების შესახებ, რომელიც აკრძალული იყო, მაგრამ ვრცელდებოდა ხელნაწერი წიგნებით („В чем моя вера“, „Царство божье внутри нас“, „Книга о жизни“, „Изложение 4-х евангелий“ და სხვ.). ამ წიგნებმა დიდი გავლენა იქონიეს სექტან-

ტებზე, განსაკუთრებით დუხობორებზე, მაგრამ უაღრესად ააღელვეს ინტელიგენცია.

ჩვენი ოჯახი იცნობდა აგრეთვე ტოლსტოის თანამოაზრეებს—თავ. დიმიტრი ალექსანდრეს ძე ხილკოვს [1] და თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანს [2], რომლებიც თავიანთი ოჯახებით 1894 წ. ცხოვრობდნენ სოფ. კიკეთში, კონსტანტინე სოლომონის ძე

---

[1] თავ. დიმიტრი ალექსანდრეს ძე ხილკოვმა, მდიდარმა მემამულემ, ბრწყინვალე ოფიცერმა, ტოლსტოის გავლენით დაანება თავი სამხედრო სამსახურს და დასახლდა თავის მამულში, ხარკოვის გუბერნიაში, სოფ. პაელოვკაში. იქ ცხოვრების დროს მან უშუალოდ დაინახა გლეხების უმწეო მდგომარეობა და მთელი თავისი მამული გადასცა მათ უსასყიდლოდ, თვითონ-კი დაქირავებულ მიწაზე დაიწყო გლეხურად ცხოვრება და იმით ირჩენდა თავს. ამ დროს შეირთო ცოლი. რასაკვირველია, ჯვარი არ დაუწერია ეკლესიაში, და შვილებიც გაუჩნდა. ხილკოვმა თავისი რწმენის მიხედვით შვილები არ მონათლა. მთავრობამ იმის მოღვაწეობაში თავის საწინააღმდეგო მოქმედება დაინახა და ამიერკავკასიაში გადმოასახლა. ხილკოვის დედამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე და წაართვა შვილები მამას, რათა თვითონ აღეზარდა ისინი. ხილკოვი შემდეგ ამიერკავკასიიდანაც გადაასახლეს და იძულებული გახდა, საზღვარგარეთ წასულიყო. ცხოვრობდა შვეიცარიაში. შემდეგში, 1914 წელს, როდესაც რუსეთ-გერმანიის ომი დაიწყო, ის გაიტაცა პატრიოტულმა სულისკვეთებამ: ჩაეწერა მოხალისედ ჯარში გერმანელების წინააღმდეგ. მოკლულ იქნა კარპატებში.

[2] თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანი, პოლკოვნიკი, გამოვიდა სამსახურიდან და ცხოვრობდა, როგორც უბრალო გლეხი. გ. დადიანზე ქვემოდაც გვექნება საუბარი.

ონიკაშვილის მამულში და ჩვენს ოჯახშიაც დადიოდნენ.

ტოლსტოი-მორალისტს ეწინააღმდეგებოდა და უარჰყოფდა მის მოძღვრებას განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენცია, რომელიც თაყვანს სცემდა მხოლოდ ტოლსტოი-მწერალს.

მახსოვს, კიტა აბაშიძე ჩვენთან რომ მოვიდოდა, პირდაპირ პირობას უდებდა ელენე ნაკაშიძეს [1], რომელიც ყოველთვის გატაცებით უქადაგებდა ყველას ტოლსტოის ახალ მოძღვრებას:

— თუ ტოლსტოის „Непротивление"-ზე არ იქნება ლაპარაკი, დავრჩები, თორემ, მივდივარ, — ამბობდა ის. — ტოლსტოის მოძღვრება მრავალმილიონიანი რუსი ხალხისთვის იქნებ იყოს მისაღები, მაგრამ ჩვენთვის, ერთი მუჭა ქართველებისათვის, სხვა ჩაგვრასთან ერთად ეროვნულადაც დაჩაგრულებისათვის, პატრიოტული გრძნობა ბრძოლისა, ერთადერთი საშუალებაა გადაგვარების და სრულიად მოსპობის წინააღმდეგ.

1895 წ. დუხობორებში იფეთქა მათმა ძველმა რელიგიურმა რწმენამ, რომ ძალადობას არ ებრ-

---

[1] ელენე ნაკაშიძე, — ილია ნაკაშიძის და, მაშინ ტოლსტოის მოძღვრების მაღიარებელი იყო და ავრცელებდა ტოლსტოის არალეგალურ წიგნებს. მუშაობდა ხილკოვთან და დადიანთან ერთად დუხობორებს შორის. შემდეგში აზრი გამოიცვალა და მიემხრო სხვა რელიგიურ სექტას. გარდაიცვალა 1943 წელს.

ძოლონ ძალადობით. დუხობორებს, ძველი რელიგიური სექტის მიმდევართ, ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის დროს, 1773 წ., მიაქცია მთავრობამ ყურადღება და მას შემდეგ განიცდიდნენ დევნას. ეკატერინე მეორეს დროს ისინი გადაასახლეს ეკატერინესლავის გუბერნიიდან მელიტოპოლის მაზრაში, (ტავრიდის გუბ.) და შემდეგ, 1837 წ. ახალქალაქის მაზრაში. მას შემდეგ დუხობორებმა თანდათან შეასუსტეს რელიგიური რწმენა და ასრულებდნენ მთავრობის ყოველ მოთხოვნას. ცხოვრობდნენ შეძლებული ცხოვრებით. განსაკუთრებით მესაქონლეობას მისდევდნენ, მაგრამ დ. ხილკოვისა და გ. დადიანის გავლენით, აგრეთვე თავიანთი ბელადის, პეტრე ვერიგინის, მოღვაწეობის შედეგად დაიწყო მათში მოძრაობა. ამავე დროს ხილკოვის საშუალებით გამართეს მიწერ-მოწერა ტოლსტოისთან და დაუბრუნდნენ ისევ თავიანთ ძველ რწმენას: გახდნენ ვეგეტარიანები, მთელი თავიანთი საომარი იარაღი სოფლის მოედანზე გაიტანეს და დაწვეს, არ მისცეს მთავრობას ახალგაზრდობა ჯარში გასაწვევად.

ამ ურჩობამ გამოიწვია მეფის მთავრობის რისხვა. თბილისის გუბერნატორის, შერვაშიძის განკარგულებით, შეესივნენ კაზაკები დუხობორების სოფლებს. დუხობორებმა შესეულ კაზაკებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს და ფსალმუნების გალობით, დაჩოქილნი შეხვდნენ სოფლის

მოედანზე. კაზაკები მაინც შეიჭრნენ დაჩოქილ ხალხში. არც ერთი დუხობორი არ ამდგარა, თურმე, მაგრამ მაინც სცემეს მათრახებით. ისინი, რომლებიც ჯარისკაცად არ გავიდნენ, დაატუსაღეს და 18 წლით იაკუტსკის მხარეში გადაასახლეს. ოთხი ათასი სული ქალი და კაცი აყარეს და ქართლის სოფლებში გადმოასახლეს.

სწორედ 1895 წ. დავბრუნდით პეტერბურგიდან ჩემი მეუღლე და მე, და მოწმენი გავხდით იმის, თუ როგორ მოდიოდა ბორჯომის გზით ახალქალაქის მაზრიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ეს აწიოკებული, დარბეული ხალხი. თავიანთ სოფლებში დაეტოვებინათ სავსე ოჯახი, მრავალი საქონელი. მხოლოდ წვრილმანის წამოღების ნება მიეცათ და ეს წვრილმანი, ბავშვები და მოხუცები მოჰქონდათ და მოჰყავდათ ფურგუნებით. თვითონ ქალები და კაცები ფეხით მოჰყვებოდნენ. მე მანამდის არ მენახა დუხობორები და გამაკვირვა იმათმა ახოვანმა შესახედაობამ და სახის იმედიანმა გამომეტყველებამ, აგრეთვე განსაკუთრებულმა ტანისამოსმა.

ილიკო ნაკაშიძე გამოესაუბრა მათ და შემდეგ გვიამბო, თუ როგორ იყო ყველა ალსავსე იმ რწმენით და იმედით, რომ ღმერთი არ დატოვებს მათ, რომ ეს შედეგია იმ ცუდი ცხოვრებისა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ მანამდე. არც ერთი საყვედური არავის მიმართ არ წამოსცდენიათ.

დუხობორები ჩაასახლეს ქართლ-კახეთის სოფლებში პატარ-პატარა ჯგუფებად. სოფლებთან რაიმე დამოკიდებულების დაჭერის ნებას არ აძლევდნენ. უმეტესობა ცხოვრობდა უბინაოდ, ფურგუნებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გლეხობა მათ ღვთის ხალხს ეძახდა და ძალიან ეხმარებოდა, დუხობორები მაინც დიდ სიღატაკეს და სიმშილს განიცდიდნენ, სნეულდებოდნენ და იხოცებოდნენ, ნამეტნავად — ბავშვები.

ლევ ტოლსტოის ძალიან აინტერესებდა დუხობორების ყოფა-ცხოვრება. რამდენიმე ათასი კაცი იზიარებდა მის მოძღვრებას. როგორც ტოლსტოი, ისინიც წინააღმდეგნი იყვნენ შებრძოლებოდნენ ბოროტებას ძალით, როგორც ტოლსტოი, ისინიც ვეგეტარიანები იყვნენ და, რაც მთავარია, მათი სარწმუნოება ეთანხმებოდა ტოლსტოის მიერ მრავალი წლის განმავლობაში შესწავლითა და ტანჯვით გამომუშავებულ რელიგიურ შეხედულებას. ამიტომ ტოლსტოი ყოველ ღონეს ხმარობდა შეემსუბუქებინა მათთვის უმწეო მდგომარეობა. იგი როგორც ზნეობრივ, ისე მატერიალურ დახმარებას უწევდა მათ. ცდილობდა გამოენახა საშუალება ამ მშრომელი ხალხისათვის და ისეთი ქვეყანა ალმოეჩინა საცხოვრებლად, სადაც თავიანთი რწმენის მიხედვით შესძლებდნენ ისინი თავისუფალ ცხოვრებას. ამ მიზნით დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა მას

თანამგრძნობებთან და მეგობრებთან. აგროვებდა სახსრებსაც.

გადმოსახლებული დუხობორები ჩვენთანაც დადიოდნენ, მით უმეტეს, რომ დ. ხილკოვი საქართველოში უკვე აღარ იყო და ილია ნაკაშიძის საშუალებით ჰქონდათ მათ დამოკიდებულება ტოლსტოისთან, ხოლო საზღვარგარეთ — ტოლსტოის მეგობრებთან.

ტოლსტოის მეოხებით დუხობორების აწიოკების ამბავი მთელი ქვეყნის განათლებულ ნაწილს მოედვა და დიდი დახმარებაც აღმოუჩინეს მათ ინგლისელმა და ამერიკელმა მეგობრებმა, განსაკუთრებით ამერიკის კვაკერებმა [1] და სხვა სექტანტებმა. გადაწყდა, რომ დუხობორების საცხოვრებლად აერჩიათ კუნძული კვიპროსი და კიდევაც გაგზავნეს ნაწილი, მაგრამ რადგან კუნძულ კვიპროსზე ციება მძვინვარებდა და დიდ მუსრს ავლებდა მთის წმინდა ჰაერს შეჩვეულ დუხობორებს, გადაწყვიტეს მათი ამერიკაში გადასახლება. დიდი ფული იყო საჭირო ამისათვის და აგროვებდნენ კიდეც.

ბევრი დაინტერესებული მოდიოდა საქართველოში რუსეთიდან და საზღვარგარეთიდანაც დუხობორების გასაცნობად, დასახმარებლად და შესამოწმებლად, თუ რამდენად ეთანხმებოდა მათი ცხო-

---

[1] კვაკერები რელიგიური სექტაა ამერიკაში.

ვრება იმას, რასაც მათზე წერდნენ, და ყველა ილია ნაკაშიძის საშუალებით იჭერდა მათთან კავშირს.

1897 წ. სწორედ ამ მიზნით მოსკოვიდან ჩვენთან ჩამოვიდა ინგლისელი არტურ სინჯონი, ინგლისის არმიის ყოფილი ოფიცერი, რომელმაც ტოლსტოის გავლენით დაანება თავი სამხედრო სამსახურს. სინჯონმა ჩამოუტანა ქართლის სოფლებში შეხიზნულ დუხობორებს ინგლისის თანამგრძნობთა შორის შეკრეფილი ფული. სინჯონმა პირველად ტოლსტოი მოინახულა მოსკოვში და წერილი ჩამოუტანა ილიკოს — დაეხმარეთ სინჯონს დუხობორების გაცნობაში, რადგან რუსული არ იცის, თქვენ კი ინგლისური იცითო. სინჯონთან ერთად ჩამოვიდა ლ. ტოლსტოის მეგობარი — ლეოპოლდ ანტონის ძე სულერჟიცკი, შემდეგში სამხატვრო თეატრის ნიჭიერი რეჟისორი.

სინჯონი, სულერჟიცკი და ილიკო ნაკაშიძე წავიდნენ ქართლის სოფლებში დუხობორების სანახავად. ორი თუ სამი დღის შემდეგ სულერჟიცკი და ილიკო დაბრუნდნენ, სინჯონი კი დარჩა დუხობორებთან ორი კვირით, რათა დაწვრილებით გაცნობოდა მათ ყოფა-ცხოვრებას.

არ შემიძლია აქ ორიოდე სიტყვა არა ვთქვა ლეოპოლდ სულერჟიცკის შესახებ. მაშინ 25 წლის კაცი იქნებოდა, საშუალო სიმაღლის, ქერა, მხიარული ახალგაზრდა. მეზღვაურის ტანისამოსი ეცვა. თბილისში ჩამოსვლამდის ერთი წელიწადი

სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში გაეტარებინა, ხოლო მანამდე დისციპლინარულ რაზმში ყოფილა გაგზავნილი, რადგან რელიგიური მოსაზრებით უარი უთქვამს სამხედრო სამსახურზე. იქ სულით ავადმყოფად გამოუცხადებიათ. თვითონ სულერჟიცკი ამბობდა: ყოველთვის სრულ გონებაზე ვიყავი, მხოლოდ ერთხანს მომეჩვენა თითქოს ჩემი ორგანიზმიდან მეორე სულერჟიცკი გამოდიოდა. ვცდილობდი, ეს ჩემი ორეული არ გამომეშვა, ნებას არ ვაძლევდი გამოსულიყოო.

რომ ჩამოვიდა, სრულიად ნორმალური და კეთილი ადამიანი იყო. ჩამოსვლისას მატროსის ქურთუკის ქვეშ პერანგი არ ეცვა. სინჯონმა გვიამბო, მათხოვარი შეგვხვდა უპერანგო და იმას მისცაო, თვითონ სინჯონს ჩემოდანი სავსე ჰქონდა საცვლებით და სხვადასხვა ნივთებით. სულერჟიცკის კი პატარა ცარიელი ჩანთის მეტი არაფერი გააჩნდა. სულერჟიცკი ჩქარა დაბრუნდა მოსკოვს.

ორი კვირის შემდეგ, როდესაც სინჯონი უნდა ჩაეოსულიყო სოფლიდან, ილიკო სადგურზე გავიდა მის შესახვედრად.

სწორედ იმ დროს ჩვენი ეზო და აივანი პოლიციელებით გაივსო.

— ნაკაშიძე აქ ცხოვრობს?—იკითხა ბოქაულმა.

— აქ ცხოვრობს, მხოლოდ ახლა შინ არ არის, — ვუპასუხე მე.

ბოქაული ცოტა ხანს დარჩა, შემდეგ დატოვა

აივანზე უბნის ზედამხედველი, რამდენიმე პოლიციელი, რამდენიმე პოლიციელი კიდევ ეზოში დაყენა და თვითონ წავიდა.

მალე მოვიდნენ სადგურიდან სინჯონი და ილიკო. მე ძალიან ვღელავდი, მაგრამ სინჯონიც და ილიკოც დამშვიდებულნი შემოვიდნენ, ისაუზმეს და სადღაც ისევ წავიდნენ. პოლიციელები არ განძრეულან და გაკვირვებულმა თვითონ ვკითხე, რასა დგახართ აქ-მეთქი. მიპასუხეს: არ ვიცით, ბოქაული უნდა მოვიდეს, იმან იცისო.

სადილობისას მოვიდნენ ილიკო და სინჯონი, მოვიდა ბოქაულიც და მოიტანა ბრძანება; რომ საღამოს 7 საათზე ორივენი გამოცხადებულიყვნენ პოლიცმეისტერ მასტიცკისთან. რამდენიმე პოლიციელი დატოვა, რომ ბინიდან სინჯონი და ილიკო არსად გაეშვათ და წავიდა.

პოლიცმეისტერი მასტიცკი ფეხზე წამომდგარი, ძალიან აღელვებული, ყვირილით შეხვდა, თურმე, ორივეს:

— როგორ გაბედეთ და ჩვენს ნებადაურთველად წადით ბუნტოვშჩიკებთან, ჩვენი სათაყვანებელი მეფის მტრებთან? თქვენ თვითონ ბუნტოვშჩიკები ხართ, ინგლისის მიერ მოგზავნილი ჯაშუშები! ახლავე, დღესვე უნდა გახვიდეთ თბილისიდან, ინგლისელი თავის სამშობლოში, თქვენ კი, ნაკაშიძე, ამიერკავკასიის ფარგლებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივეს დაგატუსაღებთ!

ინგლისელი ძალიან გააკვირვა ამნაირმა მოქცევამ, მით უმეტეს, ბევრი რამ ვერ გაიგო. მან სრულიად დამშვიდებით მიუგო პოლიცმეისტერს:

— დაბრძანდით, ბატონო, და ისე გვითხარით, რაც გსურთ, თქვენი ხნის კაცის ჯანმრთელობისათვის მავნებელია ყვირილი.

ინგლისელის სიტყვაზე ერთბაშად შეჩერდა თურმე, მასტიცკი, მაგრამ მერე არა თუ დაწყნარდა, უფრო გაბრაზდა და გადაწყვეტით მოითხოვა: დაუყოვნებლივ გასულიყვნენ თბილისიდან, თუ არ გინდათ ეტაპით გაგაგზავნოთო.

სინჯონმა ისევ დამშვიდებით მიუგო:

— მე ჯერ თბილისი არ დამითვალიერებია. მინდა ვნახო აქაურობა და მერე წავალ.

მასტიცკიმ ყვირილით განაგრძო:

— მაშინ თქვენ პოლიციელები უნდა მოგიჩინოთ, ისინი წაგყვებიან ყველგან, ხოლო თუ თქვენ სტრატეგიულ ადგილების გადაღებას აპირებთ, იცოდეთ, არ მოგცემენ ამის საშუალებას.

სინჯონი ძალაუნებურად დაყაბულდა.

— თუ თქვენი პოლიციელები მოცლილი ხალხია, ჩემთვის სულერთია, — უთხრა მან.

მასტიცკიმ სინჯონი სასტუმროში გაგზავნა, თეატრალურ შესახვევში იყო პატარა სასტუმრო, და ორი პოლიციელი დაუყენა ყარაულად. ერთ კვირას ცხოვრობდა ამ სასტუმროში სინჯონი, ათვალიერებდა თბილისს. დათვალიერების დროს

ყოველთვის დაჰყვებოდნენ პოლიციელები. ერთხელ დავინახე ჩურჩხელა და გოზინაყი ეყიდა და ჰკითხავდა, რისთვის არის საჭირო ესენიო. პოლიციელები უხსნიდნენ. ხალხი გაოცებული შეჰყურებდა ქუჩაში დამშვიდებით მიმავალ უცხოელს ორი პოლიციელის თანხლებით. მასთან სალაპარაკოდ არავის უშვებდნენ და ხანდახან შორიახლო მისდევდა ხალხი, რომ გაეგო, რაში იყო საქმე.

ილიკო ნაკაშიძე იძულებული გახდა რამდენიმე დღის შემდეგ გასულიყო თბილისიდან. ის პირდაპირ მოსკოვში წავიდა.

მალე მომწერა, რომ ლევ ტოლსტოი დიდი თანაგრძნობით შემხვდა და მისი დახმარებით მომცეს მოსკოვში ცხოვრების ნებართვაო. ტოლსტოიმ თვითონვე ინახულა გზათა მინისტრი ხილკოვი და თხოვა ჩემთვის რაიმე სამსახური, სამსახურში უკვე მოვეწყე და ჩამოდითო. თანაც უმატებდა: ახლად გახსნილ საერთაშორისო მატარებელში მომცეს მატარებლის უფროსის ადგილი. უფროსის მოვალეობაში შედის ენებისა და ლიტერატურის ცოდნა, რომ უცხოელ მგზავრებთან შემეძლოს ბაასი. მატარებელი ქ. ტომსკამდის მიდის და იქით და აქეთ მგზავრობას ორ კვირას ვუნდები. ტოლსტოისთან ხშირად დავდივარ და ბევრი მეგობარი შევიძინე. ვმუშაობ აგრეთვე გამომცემლობა „პოსრედნიკისათვისო“.

2

1898 წლის თებერვალში პატარა ბავშვით წავედი მოსკოვში. გზაში სულ ვოცნებობდი, რომ მეც ვნახავ და გავიცნობ ტოლსტოის. მაგრამ როდესაც მოსკოვში მივედი, გამბედაობა არ მეყო წავსულიყავი მის სანახავად, რა უნდა მეთქვა დიდი ადამიანისათვის მე პატარას, როგორ ვჩვენებოდი? და ვყოყმანობდი. ამ ყოყმანში გაზაფხულმაც მოაღწია, ტოლსტოი ადრე წავიდა იასნაია პოლიანაში და ნახვა თავისთავად გადაიდვა შემოდგომამდის. გავიცანი ტოლსტოის მეგობრები, „ტოლსტოველები“, როგორც მაშინ ეძახოდნენ ტოლსტოის მეგობრებს და რაც მათ ყოველთვის საწყენად მიაჩნდათ. ისინი ამბობდნენ: ჩვენ სექტანტები არა ვართ, რომ რაიმე სახელწოდება მივიღოთო, ყოველ სექტას ახასიათებს ფანატიკოსობა და ყველასათვის არსებობს ერთგვარი სავალდებულო ნორმა ცხოვრებაში, ჩვენ კი ჩვენი საკუთარი მსჯელობით და ტოლსტოის დახმარებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ქრისტიანული მოძღვრების საშუალებით შეუძლია ადამიანს ინდივიდუალურად მიაღწიოს ძმურ და სამართლიან ცხოვრებას ამქვეყნად, თუ კი ამ მოძღვრებას ჩამოვაშორებთ იმ ღვარძლს, რითაც ის სახელმწიფო ეკლესიამ შემოსაო.

მართლაც, „ტოლსტოველებს“ არავითარი ორ-

განიზაცია არა ჰქონიათ და არავითარი დადგენილება არ გამოჰქონდათ საერთო მოქმედების შესახებ.

შემოდგომაზე, გვიან, ჩამოვიდა მოსკოვში ტოლსტოი და მისი ოჯახი, გადავწყვიტე კიდევაც, მენახა. მეგობრებიც და ილიკოც იცინოდნენ, როდესაც შიშს გამოვთქვამდი: ამ დიდი ადამიანის დანახვა ისედაც პატარას უფრო დამაპატარავებს და, იქნება, ავტირდე კიდეც-მეთქი.

ტოლსტოი მიყვარდა, როგორც „ომისა და მშვიდობის“, „ანა კარენინას“, „ბავშვობისა და სიყრმის“ და სხვა მხატვრულ ნაწარმოებთა ავტორი, მაგრამ მეშინოდა მისი ფილოსოფიური მოძღვრებისა. ტოლსტოის მეგობრები მეუბნებოდნენ: ტოლსტოიმ უარჰყო თავისი მხატვრული შემოქმედება და ახლა მთელ თავის ყურადღებას რელიგიურ საკითხებს აქცევსო. იმათ უყვარდათ ტოლსტოი ფილოსოფოსი, მორალისტი, მე კი ვშიშობდი, რომ რამე ეკითხა, მეშინოდა ჩემი აზრის გამოთქმისა.

საღამოთი, ჯერ კიდევ დღის სინათლე იყო, როდესაც შევედით ხამოვნიკში [1], ფიცრებით შე-

---

[1] ხამოვნიკი ეწოდება მოსკოვის იმ ნაწილს, სადაც ტოლსტოი ცხოვრობდა. ახლა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მის სახლში მოწყობილია მუზეუმი, რაც შეადგენს ტოლსტოის მუზეუმის ნაწილს. სახლი დაცულია ისე, როგორც ტოლსტოის სიცოცხლის დროს იყო.

მოფარგლულ კარგა მოზრდილ ეზოში, სადაც დავინახე ორსართულიანი ხის ძველი სახლი, ზედ მიშენებული ნაწილებით. როგორღაც შეღავათი ვიგრძენი მიშენებული სახლის უბრალოების დანახვაზე.

შევედით მოზრდილ დერეფანში. დერეფნიდან კიბე ადიოდა ზევითა სართულში და ილიკო პირდაპირ ზევით ავიდა, მე კი შემიყვანეს ძირს, სასადილო ოთახში და იქიდან ტოლსტოის მეუღლის, სოფიო ანდრიას ასულის, დიდ ოთახში.

ერთ წუთს შევჩერდი კარებში. ტოლსტოის მეუღლე მაგიდასთან იჯდა და აბაჟურიანი ლამპის შუქზე რაღაცას ქსოვდა. სხვათა შორის, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სოფიო ანდრეევნა, როდესაც სახლში იყო, განსაკუთრებით საღამოობით, ყოველთვის რამეს ქსოვდა შალის ძაფით, საქველმოქმედო მიზნით.

დამინახა თუ არა, უცებ წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით ისე მომიახლოვდა, რომ კინაღამ უკან დავიწიე. ძალიან გამაკვირვა მაშინ ამან. შემდეგში დავრწმუნდი, რომ ასეთი ჩვეულება ჰქონდა, თურმე. გამომიწოდა ხელი და ხალისიანად მითხრა:

— კნეინა ნაკაშიძე? მობრძანდით, მობრძანდით! — დამსვა მაგიდასთან და განაგრძო:—ლიოვოჩკა (ასე ეძახოდა ლევ ნიკოლოზის ძეს) ჯერ არ გამოსულა სტუმრებთან. ჩემთან დაბრძანდით. მე მინდოდა თქვენი ნახვა. თქვენ იცნობთ ჩემ

შვილს, ანდრიუშას? არა? ჩემი შვილის ერთადერთი ღირსება ის არის, რომ ლევ ტოლსტოის შვილია, დიდი, ცნობილი მწერლის. სხვა არავითარი ღირსება მას არა აქვს, არც ჭკუა, არც სილამაზე, და, ვერ გამიგია, რისთვის უყვართ ასე ქალებს.

მე ვდუმდი. მან განაგრძო აჩქარებით:

— თქვენ იცნობთ კნიაჟნა ელენე გურიელს? [1]

---

[1] კნ. ელენე კონსტანტინეს ასული გურიელი ილიკოს მამიდაშვილი იყო. 1898 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა ლ. ტოლსტოის შვილი, ანდრია ტოლსტოი. მან ილიკოსგან მის ძმას, კოლია ნაკაშიძეს, ჩამოუტანა წერილი, რომ დახმარებოდა ლ. ტოლსტოის შვილს საქართველოს შესანიშნავი ადგილების დათვალიერებაში. კოლია ნაკაშიძე მაშინ თბილისში ცხოვრობდა და ა. ტოლსტოიც მასთან ჩამოვიდა. კოლიამ გააცნო ის თავის დეიდაშვილს, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჩოლოყაშვილს, თავის მეგობარს, ქიმიის ინჟინერს — გიორგი ილიას ძე ოქრომჭედლიშვილს. ოქრომჭედლიშვილმა მიიწვია ისინი სვანეთში და სამტრედიაში, სადაც მას ხეტყის დიდი ქარხანა ჰქონდა. შემდეგ წაიყვანეს ქუთაისში, იქიდან ბათომში. ბათომში ექ. გიგო ელიავას ოჯახში ტოლსტოიმ გაიცნო ახალგაზრდა, ლამაზი ქალი — ელენე გურიელი, რომელიც ისე მოეწონა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ სთხოვა, მეუღლედ გაჰყოლოდა. ელენემ მიუგო: დედმამის თანხმობის შემდეგ მოგახსენებთ პასუხსო. ელენეს დედმამა ოზურგეთში ცხოვრობდა. ტოლსტოი მაშინვე გაემგზავრა ოზურგეთში (ახლა მახარაძე) და, როდესაც იმათი თანხმობა მიიღო, გასწია მოსკოვს, მეც ჩემ მშობლებს შევუთანხმდები და ორ კვირაში ჩამოვალ თბილისში და ჯვარი დავიწეროთო. ელენე წავიდა თბილისს საქორწილო ტანისამოსის შესაკერად. სწო-

როგორი ქალია? ლამაზია? ამბობენ, ლამაზია და საუცხოვო ქალიაო და მერე რა ჰპოვა ლამაზმა და მშვენიერმა ქალმა ჩემს შვილში, რომ იმის გულისათვის თავს იკლავდა? კარგი, რომ არ მოკვდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ქარაფშუტაა ჩემი შვილი, იქ რომ კნიაჟნა გურიელს გაუკეთა წინადადება, აქ ჩამოვიდა და, ორი კვირაც არ გასულა, ოლღა კონსტანტინეს ასულ დიტერიხს სთხოვა ცოლობა და ახლა იმას ირთავს.

საქართველოდან სწერენ ანდრუშას გურიელის ნათესავები, ჩამოდიო, მაგრამ მე არაფრის გულისათვის არ გავუშვებ ჩემ შვილს.

— რატომ? — გამიკვირდა მე. მწყინდა, რომ როგორღაც ყველა ამას ის მშრალად და გულგრილად ამბობდა.

— იქ მოკლავენ ჩემ შვილს. კავკასიელები ფიცხი ხალხია და არ აპატიებენ ანდრუშას ამ საქციელს და, ამას გარდა, უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ქართველები არ გვიყვარს. თქვენ იცით უთუოდ, რომ ჩემი ძმის, ბერსის ცოლი, ქართველი ქალი

რედ ორი კვირის შემდეგ, როდესაც ყველაფერი მზად იყო და ელოდნენ ა. ტოლსტოის ჩამოსვლას, მოვიდა მისი წერილი, რომ სხვა ქალი ვითხოვე ცოლად და ნუ მელითო. ამ ამბავმა ისე ააღელვა ელენე, რომ იქვე, სასტუმროში, რევოლვერი დაიკრა მკერდზე და მძიმედ დაიჭრა. ერთ წელიწადს იავადმყოფა და გარდაიცვალა 1899 წ.

იყო, ფატი ერისთავი[1] და რა სიკეთე ვნახეთ იმისაგან?

მე ეს სიტყვები უფრო მეტად მეწყინა და ვკითხე:

— ლევ ნიკოლოზის ძესაც არ უყვარს ქართველები?

— რასა ბრძანებთ! ლევ ნიკოლოზის ძეს ქართველები კი არა, ზულუსებიც კი უყვარს. მაგრამ რა, ლიოვოჩკა უწინ მართლა რომ დიდი მწერალი იყო: დაწერა „ომი და მშვიდობა", „ანა კარენინა", „კაზაკები" და სხვ. ახლა კი, აბა, რასა წერს? რასა ჰგავს მისი ახალი წიგნი „აღდგომა"? ასწერა რაღაც ნაყარ-ნუყარი ხალხი. მე არავის არ ვურჩევ იმის წაკითხვას... ღმერთმა დაიფაროს, რომ ჩემმა უმცროსმა ქალმა, საშამ[2], წაიკითხოს. მე ვუმალავ და არ ვაძლევ წასაკითხავად. თქვენ წაიკითხეთ? მოგწონთ „აღდგომა"?

— ძალიან მომწონს, —ვუთხარი მე,— რა არის იქ ისეთი, რომ თქვენს ქალს...

აღარ დამამთავრებინა სიტყვა:

— კატუშა მასლოვას, მეძავი ქალის ცხოვრე-

---

[1] ფატი ერისთავის ქალი. მისი სურათი, როგორც ლამაზი ქართველი ქალისა, გამოფენილი იყო საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ბერსს გაეყარა და სხვაზე გათხოვდა.

[2] საშა — ტოლსტოის უმცროსი ქალი, მაშინ, თუ არ ვცდები, 17 — 18 წლისა იყო.

ბის აღწერის წაკითხვა არ არის მავნებელი ბავშ-
ვისთვის? ლევ ნიკოლოზის ძე სულ გამოჩერჩეტდა
ამ ბოლო დროს: შვრიის მეტს არაფერს ჭამს.
ამბობს: ყველა ადამიანი ერთნაირია და ერთი
მდიდარი, მეორე ღარიბი არ უნდა იყოსო. უსა-
მართლობაა, რომ ზოგმა მიწა, რომელიც ყველა
მიწის მუშისა უნდა იყოს, მიისაკუთრა, უმეტესო-
ბას კი საშუალება არა აქვს თავისთვის დაამუშავოს
იგი და პური ენატრებაო. პური მხოლოდ უქნარას
და ზარმაცს ენატრება. მისი მეგობრები კი ისე
მსჯელობენ როგორც ის, აიღეთ დუნაევი. ჭკვიანი
კაცი იყო, მდიდარი, სავაჭრო სახლები ჰქონდა.
სულ მოსამსახურეებს დაურიგა და ახლა აკვარი-
უმებს ჩაჰკირკიტებს. უწინ კიდევ აუარებელი ია-
დონები ჰყავდა. თუნდა, აიღეთ პოპოვი. ოფიცერი
იყო... ლიოვოჩკას ყველა მეგობარს ბნელ ხალხს
ვეძახი, არ მიყვარან. ლევ ნიკოლოზის ძეს სურს
შვილები ულუკმაპუროდ დატოვოს...

სოფიო ანდრეევნა კარგა ხანს განაგრძობდა
უკმაყოფილოდ ლაპარაკს.

მოსამსახურე შემოვიდა და მოახსენა, რომ
გრაფი სასტუმრო ოთახშიაო.

— თქვენ უთუოდ, როგორც ყველა აქ მომსვ-
ლელს, ლიოვოჩკას ნახვა გეჩქარებათ? თუ გნე-
ბავთ, წამობრძანდით, — მითხრა მან.

მძიმე სულიერი განწყობილებით გავედი ოთახიდან ამ ლაპარაკის შემდეგ. მივდიოდი ვიწრო დერეფნით. შემდეგ კიბით მაღლა სართულში ავედი. მუხლები მეკეცებოდა. ვფიქრობდი, ვნახავ ახლა გენიალურ მწერალს, დიდ, მკაცრ ფილოსოფოსს. გადმომხედავს ზევიდან ქვევით მედიდურად. ვინ იცის, რას მკითხავს. რა უნდა ვუპასუხო? შიში და მოკრძალება ტრიალებდა ჩემს გულში.

შევედი. კარგა მოზრდილ სასტუმრო ოთახში. შემდეგ გავიგე, რომ ამ ოთახში ათევდნენ ღამეს მხოლოდ სტუმრები, რომლებიც ღამე რჩებოდნენ, და ამიტომ ეძახდნენ სტუმრების ოთახს. ოთახში, საწოლზე, სავარძლებში და სკამებზე ისხდნენ ჩვენი მეგობრები. ილიკოც იქ იყო. ჩემს შესვლაზე წამოდგა საშუალო ტანის, თეთრწვერიანი, გამხდარი მოხუცი. მისი ნაცრისფერი, ღრმად ჩამჯდარი, შუქიანი, წვრილი თვალები დაკვირვებით იცქირებოდნენ სქელ, ჭაღარა წარბების ქვეშიდან, თითქოს უნდოდათ განეჭვრიტათ და გამოემჟღავნებიათ, რა ახალი ადამიანი შემოვიდა. თითქოს ამ შემოხედვით უნდა დაენახა ის, რაც საუკეთესო თვისება იყო შენს ბუნებაში. მაღალი, მელოტი შუბლი და ჭაღარა, მოგრძო თმა ჰქონდა. ოდნავ ბეჭებში მოხრილი იყო. ჯიბეებიანი, შავი, გრძელი, სრული და ნაოჭიანი ხალათი ეცვა. აი, რო-

გორი იყო მაშინ ლევ ტოლსტოი, რომელიც, შეეედი თუ არა, ნელი ნაბიჯით მომეგება გაღიმებული. არა, ის არა ჰგავდა იმ მკაცრ ადამიანს, რომელიც მე მყავდა წარმოდგენილი.

ხელი გამომიწოდა და ალერსიანი ხმით მითხრა:

—გამარჯობათ, თქვენ უთუოდ ნინა გქვიათ და ამიტომ პირდაპირ მინდა ნინა-მეთქი გითხრათ.

ყველას გაუკვირდა და გაეცინა.

— როგორ გამოიცანით? — გაისმა ხმები.

— მართლა, ნინა? — თვითონაც გაეცინა. — მხოლოდ მამის სახელი?

— იოსების ასული.

იცინოდა ყველა, მეც გამეცინა.

ყოველნაირი შიში გაქრა ჩემ გულში, შეხვედრა ისე უბრალო იყო და ყველაფერი ისეთი კეთილი გულით იყო ნათქვამი, რომ რაღაც სიახლოვე და სითბო ვიგრძენი ამ დიდი ადამიანის მოპყრობაში.

თავის მახლობლად, სავარძელში, დამსვა და დიდი თანაგრძნობით გამომკითხა: როგორ ხართ, როგორ მოგეწონათ აქაურობა? მე ხომ არ მემდურით, რომ ჩემი მიზეზით გადმოასახლეს ილია პეტრეს ძე და მოგწყვიტეს მშობლიურ მზეს? ახლა რას აპირებთ? პატარა როგორ შეეჩვია აქაურობას? და სხვ.

ჩემს პასუხს დიდი ყურადღებით ისმენდა.

— მაშ არ მემდურით? მე ძალიან მიყვარს ილია პეტრეს ძე, მარტო მე კი არა, ყველას. ბევრი

რამ გვიამბო დუხობორების შესახებ. თქვენ იცნობთ, ალბათ, დუხობორებს, იმათ ქალებს? მართლა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, რომ ვერ შეატყობ, რომელი ბავშვია თავისი და რომელი სხვისი, ყველა ერთნაირად უყვართ? ილია პეტრეს ძე ამბობს: იმათი ბავშვები ობლობას არ განიცდიანო.

— მერე, ილია პეტრეს ძეს არ დაუჯერეთ? — ვკითხე მე.

— როგორ არა, მაგრამ კარგი რამის მოსმენა ბევრჯერაც შეიძლება და გვიყვარს, — გაიცინა მან, — აი, როგორც კარგი ზღაპრის მოსმენა ბავშვებს, და დუხობორების ცხოვრება ხომ კარგ ზღაპარსა ჰგავს ჩვენს დროში.

ლაპარაკი გადავიდა დუხობორების გამგზავრების შესახებ კუნძულ კვიპროსზე და ამერიკაში.

ტოლსტოი ამბობდა, რომ ამერიკელი კვაკერები კისრულობენ გემების გამოგზავნას, ფულიც საკმაოდ იკრიბებაო.

— „აღდგომა“ ისეთ ჰონორარს იძლევა, რომ კარგა დიდი თანხა უნდა შედგეს. თუმცა, ჩემი მეგობრები მისაყვედურებენ, ჩერტკოვი[1] წინააღმ-

[1] ვლადიმერ გრიგოლის ძე ჩერტკოვი — ტოლსტოის მახლობელი მეგობარი და თანამოაზრე, ყოფილი მდიდარი მემამულე, ჩვენ დროს გაძევებული იყო მოსკოვიდან, ცხოვრობდა ინგლისში. იქ მან ტოლსტოის აზრების გასავრცელებლად დააარსა ჟურნალი „Свободное слово“. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში დაბრუნდა.

დეგი იყო, „მოოდი[1] კი ისე უკმაყოფილო დარჩა, რომ არც კი უნდოდა გადაეთარგმნა რომანი, მაგრამ ახლა დამეთანხმა და იბეჭდება კიდეც მისი თარგმანი ინგლისსა და ამერიკაში.

ცოტა ხანს სდუმდა. ყველანი ჩუმად იყვნენ. ეტყობოდათ, იზიარებდნენ ჩერტკოვის და მოოდის აზრს, რომ ტოლსტოიმ ვერ დაიცვა თავისი სიტყვა — ჰონორარი არ აეღო ნაწარმოებში.

— მე მგონია, ასე უნდა მოვქცეულიყავი,—განაგრძო მან, როგორც მომეჩვენა, ცოტა არ იყოს, დარცხვენით. — დუხობორების მდგომარეობა ისეთია ამჟამად, რომ საჭიროა მათთვის სწრაფი დახმარება. მაქვს თუ არა მე უფლება ამ დროს ვიფიქრო ჩემს თავზე, იმაზე, თუ ვინ რას იტყვის? არა, ასეთ დროს თავი უნდა დაივიწყოს ადამიანმა. თავის თავზე ფიქრი დანაშაულად მიმაჩნია, და თუ ეს სინიდისის ღალატია, ჩემს ცოდვებს ესეც მოემატოს. დუხობორებს კი ეს თანხა დახმარებას გაუწევს...

— დიდ დახმარებას! — გაისმა ხმები.

შემოვიდა ივანე ივანეს ძე გორბუნოვი, გამომცემლობა „პოსრედნიკის“ დირექტორი. მაშინ იბე-

---

[1] ელმერ მოოდი — ინგლისელი, ტოლსტოის თანამოაზრე, რუსული ენის კარგად მცოდნე. იგი თარგმნიდა და ავრცელებდა ტოლსტოის ნაწარმოებებს ინგლისურად. იმ დროს თარგმნიდა „აღდგომას“ ინგლისური და ამერიკული ჟურნალებისათვის.

ჭდებოდა, კარგად აღარ მახსოვს, მგონი, ტოლსტოის მოთხრობა „ბატონი და მოჯამაგირე". მოთხრობა გამოდიოდა სახალხო გამოცემის სახით. ტოლსტოიმ გადაფურცლა და დაპირდა მეორე დღისათვის წაკითხვას. დაკეცა და მაგიდაზე დადვა.

— დიდებული მოთხრობაა, ლევ ნიკოლოზის ძევ, — უთხრა აღტაცებით ერთმა სტუმარმა.

— თქვენ მაგრე ფიქრობთ? მე კი არა ვარ კმაყოფილი. საჭირო იყო უკეთ დამემუშავებინა. ჩემთვის დიდი ცდუნება იყო მხატვრული მოთხრობის დაწერა.

მიგვიწვიეს ჩაის დასალევად. ყველანი შევედით იმავე სართულის დიდ დარბაზში, სადაც საღამოობით მთელი ოჯახი და სტუმრები ჩაის სვამდნენ.

გამაკვირვა ამ დარბაზის სიცარიელემ: ერთი დიდი მაგიდა, რომელზედაც ჩაის მოწყობილობა ელაგა, როიალი, სკამები, მაღალი, აბაჟურიანი ლამპა, კანდელაბრი და სხვა არაფერი. ყველანი მაგიდას მივუსხედით. ლევ ნიკოლოზის ძემ თავის გვერდით დამსვა.

— წაიკითხეთ, ლევ ნიკოლოზის ძევ, ჩეხოვის ახალი მოთხრობა? — ჰკითხა ი. გორბუნოვმა.

— საუცხოოა, საუცხოო! კარგა ხანია არ წამიკითხავს ასეთი კარგი მოთხრობა, — მიუგო ლევ ნიკოლოზის ძემ.

— სრული სიმართლეა, მშვენიერი მოთხრობაა, — გაისმა ხმები.

— დიდი სიამოვნებით წავიკითხე. კარგ წიგნს რომ წაიკითხავ, ასე გგონია, გასუქდი და გაიზარდე, — თქვა ლევ ნიკოლოზის ძემ და უცებ მოტრიალდა ჩემკენ: — თქვენ წაიკითხეთ ჩეხოვის ახალი მოთხრობა „დუშეჩკა“? ხომ საუცხოო მოთხრობაა? რა საუცხოო ქალის ტიპია დუშეჩკა, არა? წაიკითხეთ?

მე ერთ წუთს ვდუმდი, მერე ვთქვი:

— წავიკითხე, მაგრამ...

— მაგრამ რა, არ მოგეწონათ?

— დუშეჩკა... არა, — ვთქვი, თუმცა ძალიან შემრცხვა ამის თქმა, რადგან ვხედავდი, ყველას მოსწონდა.

— როგორ, რატომ? — მკითხა მან სწრაფად.

— დუშეჩკა, მე მგონია, ლანდია ადამიანისა, და ლანდის მოწონება... — ვთქვი გაუბედავად, მოკრძალებით.

ყველა გააკვირვა ჩემმა პასუხმა. არ მოელოდნენ თუ შეიძლებოდა ისეთი რამის არ მოწონება, რაც ლევ ნიკოლოზის ძეს მოწონდა.

შემდეგში დავრწმუნდი, ლ. ტოლსტოის აზრებს ისეთი ძალა და მიმზიდველობა ჰქონდა, რომ უნებურად ემორჩილებოდი და მისი ყოველი სიტყვა ჰეშმარიტებად გევლინებოდა.

ჩემმა პასუხმა დუშეჩკას შესახებ თვითონ ტოლსტოიც გააკვირვა, მაგრამ ცოტა ხანს შეჩერდა და განაგრძო:

— იცით რა, ჩეხოვსაც სწორედ მაგის თქმა უნდოდა. მას უნდოდა დაეწყევლა დუშეჩკა და ნამდვილად კი ბალამის სახედარივით გამოვიდა, დალოცა იგი. აბა, წარმოიდგინეთ, — მოგვმართა მან, მარტო მე კი არა, ყველას,— ავტორის უნებურად რა ღრმა აზრია ამ მოთხრობაში გატარებული, ე. ი. დუშეჩკას დახასიათებაში: დუშეჩკა გულკეთილი ქალია, ძალიან გულკეთილი: არავის არასოდეს არ აწყენინებს და ცდილობს ყველა თავის მახლობელს შეუქმნას სასიამოვნო ცხოვრება. სწორედ ამიტომ ეძახიან მას დუშეჩკას. დუშეჩკას ყოველთვის ახსოვს ყველა, ვისთანაც რაიმე საქმე ჰქონია, ყოველთვის ივიწყებს თავის თავს და სხვის ინტერესებს უპირველეს თავის საქმედ ისახავს. ბევრთან ჰქონდა საქმე დუშეჩკას და არავისთვის არც ერთი უკმაყოფილების საბაბი არ მიუცია, არავის საყვედური არ გამოუთქვამს მის შესახებ. ის კი არ არის საინტერესო, თუ რა ხალხი ეხვია გარს, საინტერესო ის არის, თუ რას განიცდიდა თვითონ, როგორი თანაგრძნობით ეკიდებოდა მახლობლებს, როგორ იზიარებდა მათ ჭირსა და ლხინს და როგორი თანხმობა დაამყარა ყველასთან. ბოლოს მას დარჩა პატარა ბავშვი, სხვისი ბავშვი. წარმოიდგინეთ, როგორ უყვარდა და უვლიდა ამ ბავშვს: ბანდა, ურეცხავდა, უკერავდა; როგორი სიყვარულით იზიარებდა ამ ბავშვის ყოველ ინტერესს, ებრალებოდა იგი, რომ ბევრ გაკვეთილებს აძლევ-

დნენ სასწავლებელში და უჭირდა პატარა ბიჭიკოს სწავლა. როგორ ეხმარებოდა გაკვეთილების მომზადებაში და როგორ იყო დღე და ღამ იმის ზრუნვაში, რომ შეემსუბუქებინა მისთვის გაკვეთილების ათვისება. უჯერებდა და ხშირად იმეორებდა ბიჭუნას სიტყვებს, რომ მასწავლებლები მტრები არიან მოწაფეებისო. რასაკვირველია, ეს მეტისმეტი სიყვარულით მოსდიოდა... დიახ. მარტო ქალებს შეუძლიათ ასეთი გულკეთილები იყვნენ. აბა, რომელი მამაკაცი შესძლებდა ადამიანის სიყვარული თავის ცხოვრების მიზნად დაესახა, გულკეთილობა ბოროტებასთან საბრძოლველ იარაღად გაეხადა და შეემსუბუქებინა ჩვენი დროის დუხჭირი ცხოვრება?!

ტოლსტოიმ გაიცინა, როგორც მომეჩვენა, ეშმაკურად.

— იცით, — განაგძო მან, — ჩეხოვს უნდოდა გაეკიცხა დუშეჩკა, მაგრამ გაკიცხვის მაგიერ მან აწერა ქალის უაღრესად კეთილი ბუნება, კეთილი თვისება. ჩეხოვს ამ მოთხრობაში სწორად აქვს გაგებული ქალის საუკეთესო სულიერი მხარე.

ყველანი აღტაცებულნი იყვნენ მოთხრობით.

— არა, მოთხრობის წუნის დადება არ შეიძლება, — გაისმა ხმები.

მე ილიკოს შევხედე, ის დუმდა. ჩვენ წინათ გვქონდა ლაპარაკი ამ მოთხრობის შესახებ.

— თქვენ ეთანხმებით თქვენს მეუღლეს, ილია პეტრეს ძევ? — ჰკითხა ტოლსტოიმ, მაგრამ დუნაევმა აღარ დააცალა პასუხი:

— რას ამბობთ, ლევ ნიკოლოზის ძევ, ნინა იოსების ასული კურსისტია. აბა, ერთი მითხარით, როგორ მოეწონება დუშეჩკასთანა ქალები. აი, ჩემ მეუღლესაც, უმაღლეს კურსდამთავრებულს, არ მოსწონს დუშეჩკა.

ყველას გაეცინა, ლევ ტოლსტოი მაინც მომიბრუნდა და მითხრა:

— არა, გირჩევთ, კიდევ გადაიკითხოთ „დუშეჩკა".

შემდეგ ბაასი სხვა საგანზე გადავიდა. განსაკუთრებული ლაპარაკი გამოიწვია იმან, რომ ცენზორმა ბევრი ადგილი ამოიღო „აღდგომიდან", ტოლსტოის ახალი რომანიდან.

ტოლსტოი უცებ დუნაევს მიუბრუნდა:

— ალექსანდრე ნიკიფორის ძევ, როგორ შეეგუა თქვენი ახალი თევზი აკვარიუმს?

— ჯერჯერობით ძალიან კარგად, ლევ ნიკოლოზის ძევ. ისე მენატრება, რომ თქვენ მოხვიდეთ და ნახოთ.

— რა გაეწყობა, თუ გენატრებათ, მოვალ და ვნახავ თქვენს მზისუნახავს.

— მართლა რომ მზისუნახავია, ისეთი ლამაზია, — თქვა დუნაევმა და მოგვმართა ყველას, — თქვენც მობრძანდით.

4

ამ საღამოს მე პირველად ვნახე ჩრდილოეთ-კავკასიიდან ჩამოსული ტოლსტოის მეგობარი — ევგენი პოპოვი. მაღალი კაცი იყო, მისი შავი ცეცხლივით ანთებული თვალები მკაცრად გამოიყურებოდნენ შავ, გრძელ წამწამებიდან. შავი ხალათით შემოსილს, გრძელი, შავი წვერი ეფინა მკერდზე. ნელი და მკაცრი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. ლაპარაკში თითქმის არ ღებულობდა მონაწილეობას. მაგრამ თვითონ ტოლსტოი ხშირად მიმართავდა ლაპარაკის დროს სიყვარულით და მაშინ პოპოვს სახე გაუნათლდებოდა და მოკლე პასუხს აძლევდა. შემდეგში გავიგე, რომ იმანაც ტოლსტოის გავლენით დაანება სამსახურს თავი. სასტიკი ვეგეტარიანი იყო: არც კვერცხს, არც რძის ნაწარმს არა ჭამდა. ამბობდნენ: ვიღაცამ ჰკითხა, რატომ ხორცს არ მიირთმევო. პოპოვმა გაჯავრებით უპასუხა: მე არა მსურს, ქალბატონო, ღორის ან ძროხის მძოვრის საფლავი გავხდეო. სხვათა შორის, სოფიო ანდრიას ასულს ეს პოპოვი განსაკუთრებით არ უყვარდა. თუ ტოლსტოის მეგობრებს „ბნელ ხალხს“ ეძახდა, პოპოვს — ბნელზე უბნელესს. ის დარწმუნებული იყო, რომ პოპოვს ცუდი გავლენა ჰქონდა ტოლსტოიზე. ის რომ არა, მე დამიჯერებდა ყველაფერსო.

უკვე თორმეტი საათი შესრულდა და ყვე-

ლანი წამოვდექით. ტოლსტოიმ გამოგვაცილა და მკითხა:

—თქვენ იცნობთ ელენე გურიელს? ძალიან მიხდოდა იქის შესახებ თქვენთან ლაპარაკი. ამ დღეებში შემოვალ თქვენსა და, იქნებ, როგორმე მოვახერხოთ ანდრიუშას გაფუჭებული საქმის გამოკეთება.

მეორე დღეს დუნაევისას წავედით.

დუნაევი. თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ცხოვრობდა „დეევიჩიე პოლეზე", ტოლსტოის მახლობლად, დიდ, მრავალოთახებიან, ერთსართულიან ხის სახლში, ამ სახლის ეზოც მაღალი ფიცრულით იყო შემოფარგლული. ეზოს ერთ კუთხეში პატარა ბოსტანი ჰქონდა. უმთავრესად პომიდორები მოჰყავდა შიგ. მე არ მენახა ისეთი მშვენიერი, დიდრონი პომიდორები, როგორიც მის ბოსტანში იზრდებოდა. საუკეთესო, დიდრონ პომიდორებს ის ტოლსტოის უგზავნიდა.

შევედით დიდ დარბაზში. გამაკვირვა აკვარიუმებმა. სამი დიდი აკვარიუმი იდგა ფანჯარასთან; ორი უფრო დიდი, მესამე მომცრო. აკვარიუმები წყლით იყო სავსე და შიგ სხვადასხვა, გრძელფოთლებიანი წყლის მცენარეები ქანაობდნენ, ორივე აკვარიუმში მარჯნისებურად ღრუებიანი „კლდეები" იყო ამოყვანილი. მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი თევზები იყვნენ, ლაღად რომ დაცურავდენ მცენარეებსა და კლდეებს შორის.

აკვარიუმების ქვეშ წყლის გასათბობად ლამპები ენთო. წყალში თერმომეტრები იყო, რომ ისეთი დონის სითბო ყოფილიყო, როგორიც ამ თევზების სამშობლოს წყლებშია. ამას გარდა, წყალში გაყვანილ, რეზინის ძილებზე მიმაგრებული ბალონის საშუალებით ჰაერს ტუმბავდნენ, რომ აკვარიუმებში მუდამ სუფთა ჰაერი ყოფილიყო.

დუნაევმა მაშინვე აკვარიუმებთან მიგვიყვანა.

— აი, ეს არის ის თევზი, რომლის შესახებაც ლევ ნიკოლოზის ძე მეკითხებოდა. რამდენიმე დღეა, რაც მომიყვანეს თბილი ქვეყნიდან. ჯერ ყველა ამისი ზნე-ჩვეულება არ მაქვს შესწავლილი.

თევზი, მართლა, ძალიან ლამაზი იყო. გამჭვირვალე, მონაცრისფრო ზურგი და თეთრი, ვერცხლისფრად მოლაპლაპე მუცელი ჰქონდა. კუდი წითელი არშიის მარაოსავით გაეშალა და ლაღად დასცურავდა. სხვა თევზებიც ლამაზები და საინტერესონი იყვნენ, სხვადასხვა ადგილიდან მოყვანილნი და შესაფერი ტემპერატურის მიხედვით განაწილებულნი. ერთ ადგილას, კლდესთან, ჰაერის ბუშტულებს შორის დაგროვილი იყო ქვირითი.

— ეს ქვირითი უცნაური თევზისაა, — გვითხრა დუნაევმა. — როგორც კი ლიფსიტები გამოიჩეკებიან, მაშინვე დედა იწყებს მათ ჭამას, მამა კი არ ანებებს და უვლის. ჩვენშიც კი არის ერთი ამგვარი თევზი. მხოლოდ ლიფსიტებს მამა ჭამს, აქ კი დედა

მიირთმევს. ამიტომ ეს უხეირო დედა მესამე აკვარიუმში გადავასახლე.

ტოლსტოი შეუძლოთ გამხდარიყო და აღარ მოვიდა. რასაკვირველია, ყველას გვეწყინა, განსაკუთრებით თვითონ დუნაევი იყო შეწუხებული.

მესამე თუ მეოთხე დღე იყო, რომ შემოვიდა ჩვენთან თვითონ ანდრია ტოლსტოი. ანდრიას მე არ ვიცნობდი. მას შემდეგაც აღარ მინახავს. ძალიან გამაკვირვა იმისმა შეშინებულმა სახემ.

— რა საწყენია, რომ ილია პეტრეს ძე შინ არ არის, — მითხრა მან. — აღარ ვიცი, რა ვქნა! თქვენ ხომ გაიგეთ ჩემი ამბავი? მე მაშინ მეგონა, რომ გურიელის ასული მიყვარდა, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ მე ახლანდელი ჩემი საცოლე მიყვარს. ვერ მომისაზრებია, რა უნდა ვქნა. ქართველები უსათუოდ მომკლავენ.

— ქართველები არ მოგკლავენ, მაგრამ ასე არ უნდა მოქცეულიყავით...

— მართალია. მაგრამ რა უნდა მექნა? მაშინ მეგონა, კნიაჟნა ისე მიყვარს, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია-თქი... მამაჩემიც ასე მეუბნება, არ მოგკლავენო. მირჩევს წავიდე საქართველოში, გულწრფელად ავუხსნა ყველაფერი კნიაჟნა ელენეს. ეტყობა, კარგი ქალია, გაიგებს და გაპატიებსო. მაგრამ ვერა ვბედავ. ქართველები ისეთი ფიცხები არიან. თავადი ჩოლოყაშვილიც

მწერს: [1], ჩამოდი აქ, მოვილაპარაკოთო... აჰ, არა, წასვლა არ შეშიძლია. ილია პეტრეს ძეს ძალიან ვთხოვ დამეხმაროს რამენაირად ამ საქმეში.

5

რამდენიმე დღის შემდეგ, საღამოთი, გვესტუმრა თვით ლევ ნიკოლოზის ძე. ვცხოვრობდით ოსტოჟენკაზე, ერთ პატარა ოთახში. კარი გაიღო, მოულოდნელად შემოვიდა და მხიარულად მოგვესალმა, ძალიან გაგვეხარდა.

ჩვენს პატარა გოგონას ეძინა. მაშინვე ვადავწიე ფარდა და გავაღვიძე.

— აბა, გაიღვიძე, მაკა, ვინ მოვიდა?

ტოლსტოის გაუკვირდა:

— ქართულად ლაპარაკობს, აბა, დაელაპარაკეთ კიდევ!

ბავშვმა გაიღვიძა, გაიცინა და მითხრა:

— ვიცანი, ძია ლევ ტოლსტოია, სურათი რომ გვაქვს.

ტოლსტოის გაეცინა, მოეფერა ბავშვს, დაჯდა მასთან და დიცხანს ეფერებოდა. ამ ფერებაში

---

[1] ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჩოლოყაშვილი, ნაკაშიძეების ნათესავი, ელენე გურიელთან ბავშვობიდანვე შეზრდილი.

ბავშვს ისევ ჩაეძინა. ტოლსტოი ჩვენსკენ გადმოჯდა.

— წარმოიდგინეთ, ქართული ლაპარაკი არ გაგიგონია და მეუცხოვება,—გვითხრა მან.—1852 წ. თბილისში ვცხოვრობდი, სამხედრო სასწავლებელი იქ დავამთავრე, მხოლოდ ერთ ქართველს ვიცნობდი, ახლა გვარიც აღარ მახსოვს. სულ არ მაინტერესებდა მაშინ ადგილობრივი ცხოვრება. ჩვენი მთავრობა სულ იმის ცდაში იყო და არის, რომ როგორმე დააშოროს ხალხები ერთმანეთს და შეაძულოს. მე რომ ვიყავი, თბილისის ქუჩებში ჩადრიანი ქალები დადიოდნენ და მეგონა, ჩადრებით ქართველი ქალები დადიან-მეთქი, ახლა კი, თურმე, ისინი უმაღლეს კურსებზეც დაიარებიან. მართალი რომ თქვას კაცმა, ჩადრს კარგი მხარეცა აქვს: ჩადრი შალავს ქალის აგებულობის იმ ნაწილებს, რასაც ახლანდელი ქალების ტანისამოსი რელიეფურად ასახავს და აღელვებს და აღიზიანებს მამაკაცის ვნებას. ძველად, როდესაც ადამიანი უფრო ტლანქი იყო, ჩადრი უთუოდ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

— ჩადრი უთუოდ ეჭვიანმა მამაკაცმა გამოიგონა თავის ცოლისთვის, — თქვა ილიკომ.

ტოლსტოიმ გულიანად გაიცინა.

— ეგ კი სიმართლე იქნება. მამაკაცს ყოველთვის ეშინია, მის ცოლს არ შეხედოს სხვა მამაკაცმა ვნებიანი თვალებით. მაგრამ თვითონ სხვის ცოლს

კი უყურებს ხარბად. დაღესტნის ომში, — განაგრძო მან, — ქართველები იყვნენ, ზოგს ვიცნობდი კიდევაც. მაგრამ მაშინ უფრო დაღესტნელი მეომრების სულისკვეთება მაინტერესებდა. მიკვირდა, რა აძლევდა ძალას და აბედვინებდა ამ ერთ მუჭა ხალხს, რომ რუსის უამრავ შეიარაღებულ ჯარს შებრძოლებოდა. შარშან ალექსანდრე ნიკიფორეს ძე დუნაევის ახალგაზრდა მეგობრებმა, სტუდენტებმა [1], მიამბეს ბევრი რამ საინტერესო საქართველოს შესახებ. დიდი პატრიოტები კი არიან. ბევრი რამ საინტერესო გავიგე; მაგალითად, პომპეუსის შემოსევა საქართველოში და ზოგიერთი ლეგენდა.

— ისტორიაც და ლიტერატურაც საინტერესო გვაქვს, — უთხრა ილიკომ, — ნამეტნავად ლიტერატურა.

— აბა, მაჩვენეთ ერთი ქართული წიგნი.

ილიკოს მუდამ თან დაჰქონდა ჯიბით „ვეფხისტყაოსნის“ სახალხო გამოცემა. მაშინვე ამოიღო, წაუკითხა და გადაუთარგმნა ზოგიერთი ადგილი. ტოლსტოი დიდი ყურადღებით უსმენდა. მოეწონა „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?... მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“. მოეწონა აგრეთვე: „მიეც

[1] ეს სტუდენტები იყვნენ: ალ. დიასამიძე, ღამბაშიძე, კ. ელიოზიშვილი, გომართელი და სხვ. იცნობდნენ დუნაევის სტუდენტ შვილებს და დადიოდნენ მის ოჯახში. ტოლსტოი იქ გაიცნეს.

გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები". რელიგიური შეხედულება არისო. რაც შეეხება „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია", მან თქვა:

— რასაკვირველია, ღვთის წინაშე ყველა ერთია, ქალიც და მამაკაციც, რომლებიც უნდა ემსახურებოდნენ ღვთიური კანონების შესრულებას ცხოვრებაში. — გაიღიმა და დაუმატა — მხოლოდ არ მესმის, რისთვის უნდა ცდილობდნენ ქალები გახდნენ პოლიციელებად, მსაჯულებად და ჯარისკაცებად. რა საჭიროა ამნაირი თანასწორუფლებიანობა. როდესაც ამ უფლებებზე თვითონ მამაკაცებმაც ხელი უნდა აიღონ?

ილიკომ აღტაცებით ილაპარაკა „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ღირსების შესახებ. ტოლსტოი ერთხანს სდუმდა და შემდეგ თქვა:

— ძალიან საინტერესო წიგნია, დიდი ცდუნებაა ჩემთვის გავეცნო, თუ მოვასწარი. ილია პეტრეს ძევ, ახლა კი ბევრი რამ დამრჩა სათქმელი ისეთი, რაც უთუოდ უნდა ვთქვა, და ამისთანა ცდუნებისაგან, როგორც მხატვრული ნაწარმოების საკითხებია, თავი უნდა შევიკავო.

ტოლსტოი იმ დროს, გარდა დუხობორების გასამგზავრებლად ზრუნვისა, იმათთან და მათ შესახებ, მეგობრებსა და ნაცნობებთან მიწერ-მოწერისა, აგროვებდა აგრეთვე სახსრებს მათთვის.

წერდა დიდ მოთხრობას — „ჰაჯი მურატს“ და ფიქრობდა „Отец Сергий“-ს დასრულებას.

ტოლსტოი ძალიან წუხდა ამ საღამოს. ამბობდა:

— ჩემი შვილი, ანდრიუშა, სუსტი ნებისყოფის კაცია. არავითარი ლაგამი არა აქვს ამოდებული. ამგვარი ხალხი ბატონკაცურ, უქმ ცხოვრებას ატარებს: ჭამენ ტკბილ, მსუქან საჭმლებს, სძინავთ რამდენიც სურთ და არ იციან, რას მოახმარონ ენერგია. მათ ჰგონიათ, რომ მთელი ქვეყანა მათთვის არის გაჩენილი: ქალები, ცხენები, ღვინო, ბანქო და, რასაკვირველია, ყოველნაირი дурь лезет в голову. მარტო თავიანთ თავის სიამოვნებაზე ფიქრობენ და სხვის ბედნიერებას და უბედურებას არ დაგიდეევენ. მე ვურჩევ, წავიდეს საქართველოში, იქნება დაამშვიდოს გურიელის ქალი, მაგრამ, სამწუხაროდ, მშიშარაც გამოდგა ჩემი შვილი, ძალა არ შესწევს თავის მოქმედებისათვის პასუხი აგოს. რა უნდა ვქნა მე ამ გარემოებაში?

ჩვენთან შემოვიდა ჰენრი ჯორჯის წიგნების მთარგმნელი და პოპულარიზატორი — სერგეი დიმიტრის ძე ნიკოლაევი. ნიკოლაევი სწორედ იმ დროს თარგმნიდა ინგლისურიდან „Прогресс и бедность“-ს, რომელსაც ტოლსტოი დიდად აფასებდა და ძალიან გაეხარდა, როდესაც გაიგო, რომ ეს უკანასკნელ ოავებს ამთავრებდა.

— ჰენრი ჯორჯის ყველა ნაწარმოები უნდა

გადმოითარგმნოს, — თქვა მან, — აი, ილია პეტრეს ძევ, გადაუდებელი საქმე თქვენთვის, ქართველებისათვის, და ყველა ხალხებისათვისაც. ჰენრი ჯორჯი უსათუოდ წყვეტს თანამედროვე გარემოებაში მთავარ საკითხს — მიწის საკითხს ცხოვრებაში. დიაღ, ჰენრი ჯორჯი უნდა გადაითარგმნოს ყველა ენაზე.

ნიკოლაევი ნამდვილი „ჯორჯისტი“ იყო და იმავე დროს ტოლსტოის მიმდევარიც. სწორედ მათი სიყვარულით დაარქვა მან ორ თავის ტყუპ ვაჟს, ერთს — ლევ ტოლსტოი და მეორეს ჰენრი ჯორჯი. მთელი თავისი არსებით ცდილობდა ამ ორი დიდი ადამიანის მოძღვრების მიხედვით მოეწყო თავისი ცხოვრება. მოსკოვში მას მამის დანატოვარი სახლი ჰქონდა და ამ სახლის შემოსავლის განსაზღვრულ პროცენტს ჰენრი ჯორჯის მოძღვრების მიხედვით (იმის მიხედვით, თუ რამდენი ეკუთვნოდა მიწის იჯარას) იხდიდა სხვადასხვა სასარგებლო საქმისათვის, მაგალითად, სასარგებლო წიგნების გამოსაცემად, ღარიბი ბავშვების დასახმარებლად, დამშეულებისათვის და სხვა, იმ ხანად კი დუხობორებისათვის. სწორედ იმ დღეს ტოლსტოის შეატყობინა იმ პროცენტების რაოდენობა, რაც მთელი წლის განმავლობაში უწევდა.

მთელი ოჯახი ბავშვებიანად ვეგეტარიანები იყვნენ. მოსამსახურე არ ჰყავდათ და ყველაფერს თვითონ აკეთებდნენ. მის მეუღლეს, წვრილი შვი-

ლების პატრონს, ლარისა დიმიტრის ასულს, ძალიან უჭირდა ოჯახის მოვლა და ხშირად თავის მეუღლეს პურიტანელს ეძახდა და წუწუნებდა, მაგრამ ნიკოლაევი არასოდეს არ უთმობდა არაფერს და მთავარ საოჯახო საქმეებს თვითონ აკეთებდა. რამდენჯერ მინახავს ტახტთან მიმჯდარი, კისერზე ერთი ბავშვი აჯდა, მარცხენა ხელში მეორე ეჭირა, ტახტზე ქაღალდი ედვა და მარჯვენა ხელით წერდა. ცოლის წუწუნზე არასოდეს არა ბრაზობდა და მხოლოდ თავისი ბოხი ხმით ეტყოდა:

— ლარია, შენ გინდა არაქრისტიანულად ვიცხოვროთ? რომ ბავშვები შევაჩვიოთ მუქთახოროობას? ხომ იცი, მე ეს არ შემიძლია.

— უჰ, პურიტანელო, — იტყოდა ცოლი და შეუდგებოდა მუშაობას.

საკმაოდ ლამაზი და ქმართან შედარებით ახალგაზრდა იყო და თუმცა უჭირდა ამნაირი ცხოვრება, მაინც მიჰყვებოდა თავის მეუღლეს მხარდამხარ. ნიკოლაევი ახერხებდა თავისი ცხოვრების მოწყობას ისე, როგორც თვითონ ცნობდა საჭიროდ, ცოლთან ერთად თანხმობით, მაშინ, როდესაც თვითონ ტოლსტოიმ, მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მიუხედავად, ვერ მოახერხა თავის ცოლთან თანხმობა დაემყარებინა და თავისი მსოფლმხედველობის თანახმად ეცხოვრა.

ნიკოლაევი შემდეგ მთელი ოჯახით მოსკოვიდან

ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლდა, თავის და ტოლსტოის მეგობრებთან ერთად ცხოვრობდა კოლონიაში და ძეურნეობას ეწეოდა გარდაცვალებამდის. შვილები იზიარებდნენ მამის მსოფლმხედველობას და ყველა შრომისმოყვარე ადამიანად აღიზარდა.

ტოლსტოი იმ საღამოს კარგა გვიანობამდის იჯდა ჩვენთან და როღესაც მიდიოდა, შეხედა მძინარე ბავშვს, გაიღიმა და მითხრა:

— როდესაც ბავშვს სძინავს, არასოდეს არ უნდა გააღვიძოთ.

მე ვერაფერი ვთქვი, მაგრამ ილიკომ ჩემს მაგიერ უპასუხა:

— როდესაც ლევ ტოლსტოი მოვა სტუმრად, მაშინ კი შეიძლება გაღვიძება, ლევ ნიკოლოზისძევ! — ყველას გაეცინა.

ნიკოლაევმა და ილიკომ გააცილეს ტოლსტოი.

6

ილიკო ხშირად დადიოდა ტოლსტოისთან ხამოვნიკში და ყოველთვის კმაყოფილი მიამბობდა, თუ როგორ საინტერესოდ გაატარა დრო, როგორი საინტერესო ბაასი იყო. ყოველთვის დამშვიდებული და მხიარული ბრუნდებოდა. როგორც ზევითაც მოვიხსენიე, ილიკო მსახურობდა ახლად გახ-

სნილ საერთაშორისო მატარებელზე, რომელიც მაშინ მხოლოდ ტომსკამდის მიდიოდა და გზაში იქით და აქეთ ორ კვირას რჩებოდა.

მახსოვს, ერთხელ ილიკომ უამბო ტოლსტოის თუ როგორ აჩვენეს ეს მატარებელი ნიკოლოზ მეორეს.

მატარებელი ძალიან მდიდრულად იყო მოწყობილი: ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. შესანიშნავად დაკაზმული წიგნები, ხავერდისა და ატლასის ავეჯი. წითელი და შავი ხის მაგიდები, სარკეები. ორთქლმავალი უკანასკნელი სისტემისა იყო. მთელ კვირას მზადება იყო ნიკოლოზ მეორის შესახვედრად. როდესაც ნიკოლოზი მოვიდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა გზათა მინისტრს, ხილკოვს, რომ მატარებლის უფროსი, ნაკაშიძე, კავკასიიდან გადმოსახლებული, არასაიმედო კაცია. ძალიან შეშინდა, თურმე, რომ ვინმემ რამე ჰკითხოს, რაღა ვქნაო. მთელი მინისტრები და დიდკაცები იყვნენ თავმოყრილი. მეფესაც დიდი ამალა მოჰყვებოდა.

— ხილკოვი დაფაცურდა, დამიძახა და საჩქაროდ სადღაც საკუჭნაოში ჩამკეტეს და, სანამ ნიკოლოზი იქ იყო, საკუჭნაოში ვიჯექი, — ამბობდა ილიკო. — რომ გამოვედი, ნიკოლოზი წასულიყო და ყველა იცინოდა. ნიკოლოზს არც წიგნებისათვის და არც სხვა რამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მხოლოდ, როცა სამზარეულოში დიდი

სპილენძის ქვაბი დაუნახავს, უკითხია, რამდენს იწონისო. თურმე, არავინ არ იცოდა, რამდენს იწონიდა და ხილკოვმა ვარაუდით რაღაც ისეთი დიდი ციფრი დაასახელა, რომ ყველა გაშტერდაო. ყველას უკვირდა, რომ ხელმწიფემ მეტი ვერაფერი დაინახა საინტერესო.

ბევრი იცინა ტოლსტოიმ და რამდენჯერმე გაიმეორა სიცილით: „ქვაბი რამდენს იწონის... წიგნებს უთუოდ არ კითხულობს და ფარჩა-ატლასით ხომ ვერ გააკვირვებდნენ. საწყალი ახალგაზრდა კაცი, საწყალი ნიკოლოზ!“

გავიდა ზამთარი. გაზაფხულზე თბილისში წამოვედი, რადგან ავად გავხდი და ბახმაროზე უნდა წავსულიყავი.

სექტემბერში დავბრუნდი მოსკოვში. შემოდგომაზე, როდესაც ტოლსტოი იასნაია პოლიანადან დაბრუნდა, წავედით მის სანახავად. ჩვენთან წამოვიდა ერთი ჩვენი ნაცნობი, ვეგეტარიანელი, მაუდის ქარხნის მუშა, გვარად ბულახოვი, რომელიც ტოლსტოის დიდი თაყვანისმცემელი იყო, ტოლსტოის ნახვა ენატრებოდა, მაგრამ მარტო წასვლა ვერ გაებედა.

მივედით თუ არა, დერეფნიდან პირდაპირ მაღლა სართულში ავედით. შევედით პატარა სასტუმროში. იქ შეგვხვდა ახალგაზრდა ქალი. უცებ შევჩერდი გაკვირვებული, ისე ჰგავდა ეს ქალი ელენე გურიელს, მხოლოდ ეს ქალი შავგვრემანი იყო, ელ-

გურიელს კი ღია წაბლისფერი თმა ჰქონდა და უფრო დიდრონი, სხივებიანი თვალები. ილიკომ გამაცნო, ეს ანდრია ტოლსტოის ცოლიაო. სასტუმროდან შევედით დიდ დარბაზში, სადაც უწინაც ვიყავით. მაგიდასთან ისხდნენ ტოლსტოი და მისი მეგობრები: ა. დუნაევი, ი. გორბუნოვი, მიხაილოვი და მუსიკოსი გოლდენვეიზერი, ახლა მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, რომელმაც 1942 წელი თბილისში გაატარა. რასაკვირველია, მას შემდეგ ძალიან გამოიცვალა, მაგრამ ახლაც თბილისში კონცერტებზე ჭაღარა მოხუცი გოლდენვეიზერი ისევ ისე ახალგაზრდული სიძლიერით და ლამაზად უკრავდა როიალს, როგორც მაშინ, ტოლსტოის ოჯახში, როდესაც ახალგაზრდა 25 — 28 წლის თმაქოჩორა ქერა კაცი იყო.

თუმცა დღეს ტოლსტოის მეგობრების დღე იყო, სტუმრები სხვებიც იყვნენ. ტოლსტოი მაგიდასთან იჯდა და სტუმრებს ეგბაასებოდა იმ მიზეზებზე, თუ რად ხდება რუსეთში შიმშილობა და რა საშუალებაა საჭირო, რომ მოისპოს რუსი ხალხის ეს უბედურება (**бич**).

გამაკვირვა იმ დღეს ტოლსტოის განსაკუთრებულმა, რაღაც არისტოკრატიულმა უბრალოებამ. რა დიდი ნებისყოფა უნდა ჰქონოდა მას, რომ ყველას ერთნაირი ყურადღებით და სიყვარულით მოპყრობოდა. ბულახოვი მიიღო ისე, როგორც გულითადი მეგობარი.

შემოვიდა სოფიო ანდრიას ასული თავისი სწრაფი ნაბიჯით, თან ერთი ლორნეტიანი ქალი მოიყვანა, რომელსაც გრაფინიას ეძახდა. ალერსიანად მომესალმა სოფიო, ერთი გვერდით სტუმარი ქალი დაისვა, მეორე გვერდით მე. თეთრხელთათმანიანმა ლაქიამ დაიწყო ჩაის დასხმა. ტოლსტოიმ ჩვენსკენ გამოიხედა, გაიღიმა, გადმოვიდა ჩვენ მხარეს და დაჯდა ჩემს გვერდით.

— ნინა იოსების ასულო, მინდა გკითხოთ, — მითხრა მან.

ამ დროს ლაქიამ ჩაი დაასხა და ჩემსა და ლევ ტოლსტოის შუა გადააწოდა სუფრის მეორე მხარეს მჯდომ სტუმარს. ტოლსტოიმ რაღაცა უთხრა ლაქიას. მე არ გამიგონია, მერე განაგრძო:

— ჩვენმა კარგმა ილია პეტრეს ძემ მითხრა, რომ ავადმყოფობდი, მაგრამ მთის ჰაერმა, — ტოლსტოი შეჩერდა, — ჰო, ბახმაროს ჰაერმა...

ამ დროს ლაქიამ მეორე ფინჯანი მოიტანა და ისევ ჩვენ შუა გადააწოდა ვიღაცას. ტოლსტოი უცებ აენთო, თვალები ისე დააკვესა, თითქოს ნაპერწკლები გადმოაფრქვიაო, მაგრამ ძალიან დაბალი ხმით მიმართა ლაქიას:

— მე ხომ გითხარით, აქედან არ გადააწოდოთ-მეთქი.

— დამნაშავე ვარ, გრაფ,—წაიჩურჩულა ლაქიამ.

ტოლსტოი სწრაფად წამოდგა და ისევ თავის ადგილას გადავიდა.

სტუმარი გრაფინია ლორნეტით შეცქეროდა მეორე მხარეს მჯდომ ხალხს და დაბალი ხმით კითხულობდა ვინაობას. სოფიო ანდრიას ასული ჩუმადვე უსახელებდა ყველას, ვინ ვინ იყო. როდესაც ბულახოვის ვინაობა უნდა ეთქვა, მკვახედ წარმოთქვა:

— აბა, რა ვიცი, დღეს იმათი დღეა (ე. ი. ტოლსტოის მეგობრების) და ვინ იცის, ვინ არ მოდის ლევ ნიკოლოზის ძესთან. ვიღაც არამზადაა (сволочь), ეს კი ქართველი თავადიშვილია — ილია ნაკაშიძე. ძალიან სიმპატიური კაცია. აბა, უყურეო, მე არც ერთი ქართველი არ მინახავს უშნო, ყველას ფაქიზი (тонкий) ძვლები აქვს და სასიამოვნო მიხვრა-მოხვრა...

ტოლსტოი ბულახოვს ელაპარაკებოდა ქარხნის ცხოვრების შესახებ. ზევით უკვე ვთქვი, რომ ბულახოვი მაუდის ქარხნის მუშა იყო.

— საშინელი მდგომარეობაა, — ამბობდა ბულახოვი, — პირდაპირ აუტანელი. იმ აუწერელი შევიწროებისა და დამცირების გარდა, რასაც მუშები იტანენ ქარხნის ადმინისტრაციისაგან, პირდაპირ შიმშილობენ კიდეც. ძალზე მცირე ხელფასი აქვთ. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ოჯახის პატრონი მუშები, რომლებიც საერთო ბინაში ცხოვრობენ. მუშას თავისი ოჯახით ერთი საწოლი ეძლევა და ხშირად დედა, მამა და სამი-ოთხი ბავშვი ერთად წვანან ერთ საწოლში და ერთად

ძინებენ. განსაკუთრებით მძიმე პირობებს განიცდიან ბავშვები. თუ ორივე მშობელი ქარხანაში მუშაობს, იმათთვის არ არსებობს არც სკოლა, არც რაიმე სხვა საშუალება ადამიანურად აღზრდისა. მშიერ-ტიტველნი ჰყრიან ქუჩაში, უპატრონოდ. ხმის ამოღებისა ყველას ეშინია. შიგნით, ქარხანაში, მუშებთან არავის უშვებენ.

დიდი ყურადღებით ისმენდა ტოლსტოი ბულახოვის ლაპარაკს.

— რა საშინელებაა! — თქვა მან თავის ქნევით. თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ აქ, ჩვენს მეზობლად, პარფიუმერიის ფაბრიკაა და აქაც სწორედ მაგგვარი მდგომარეობაა. მთავრობისათვის, რასაკვირველია, ხელსაყრელია მუშები ამ მდგომარეობაში ჰყავდეს, დაჩაგრული, შიშის ქვეშ. ვერაფერი მოვახერხე, რომ ცოტათი მაინც შემემსუბუქებინა ბავშვების მდგომარეობა.

ამ საგანმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია. ათზე მეტი სტუმარი იყო და ყველამ მიიღო მონაწილეობა ბაასში. გამოირკვა, რომ ტოლსტოის შუამდგომლობით ფაბრიკა-ქარხნის ზოგიერთმა პატრონმა და ქალაქის მმართველობამ სახელოსნო სკოლები გახსნეს.

ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ზღაპარივით გვეჩვენება, რომ ოდესმე ასეთი მდგომარეობა იყო ფაბრიკა-ქარხნებში და რომ ბავშვებს არა ჰქონდათ საშუალება ესწავლათ და ქუჩისამარა იყვნენ დატოვებულნი.

— არა, ხსნა ისევ და ისევ გლეხობაშია, — განაგრძო ტოლსტოიმ, — და სწორედ ღვთის მაძიებელ გლეხობაში, სექტანტებში.

ლაპარაკი კვლავ დუხობორებზე გადავიდა.

ტოლსტოი ამბობდა, რომ ხარკოვის გუბერნიის შტუნდისტებიც დიდ დევნას განიცდიან და მთხოვენ ვიშუამდგომლო, რომ იმათაც ნება მისცენ კანადაში გადასახლებისა. მე კი არ ვურჩევ შტუნდისტებს გადასახლებასო. დუხობორების უმეტესობა ამ დროს თითქმის უკვე წასული იყო. ტოლსტოის წერილები მოსდიოდა გზიდან და კანადიდან. ზოგიერთი ადგილი წაიკითხა ხილკოვის წერილიდან.

ტოლსტოი იმ აზრისა იყო, რომ ყველა უნდა დარჩეს თავის ადგილას და ეცადოს თავის მსოფლმხედველობის გატარებას ცხოვრებაში, მიუხედავად სიძნელისა. იმათ არა აქვთ წარმოდგენა, რა სიძნელე მოელით კანადაში.

გორბუნოვმა თქვა, რომ ნალჩიკიდან კარგი ამბავი მოდის დადიანისა და სკოროხოდოვის [1] ცხოვრებაზე. აი, ვინ ცხოვრობს ნამდვილი ადამიანური ცხოვრებითო.

გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანი და სკოროხოდოვი ტოლსტოის თანამოზრენი იყვნენ.

პოლკოვნიკმა დადიანმა, ნამესტნიკის ფლიგელ-

---

[1] ვლადიმერ ივანეს ძე სკოროხოდოვი — ტოლსტოის მოძღვრების მიმდევარი. ნალჩიკის ახლოს, დადიანის მეზობლად, ცხოვრობდა.

ადიუტანტმა, ტოლსტოისა და თავის მეგობრის — დ. ხილკოვის გავლენით მიატოვა სამსახური და იმ დროს ცოლ-შვილით ჩრდილოეთ კავკასიაში (ნალჩიკის მახლობლად) ცხოვრობდა სკოროხოდოვთან ერთად, როგორც უბრალო გლეხი, თავისი შრომით. ჰყავდა ორი შვილი, ქალ-ვაჟი, ძესამე კი 1900 წელს დაიბადა ნალჩიკში.

ილიკომ უამბო ტოლსტოის, როგორ ცხოვრობდნენ გ. დადიანი და ხილკოვი 1894 წელს სოფ. კიკეთში თავიანთი ოჯახებით.

7

გ. ი. დადიანი მე გავიცანი 1895 წ. თბილისში, შემოდგომაზე, როდესაც იგი უკვე ტოლსტოის თანამოაზრე იყო. ჩვენს ოჯახში ხშირად დადიოდა და ყველას უყვარდა: განათლებული, ბრწყინვალე, ექსელბანტიანი, წარმოსადეგი, საინტერესო მოლაპარაკე ოფიცერი, რომელიც „ნამესტნიკის“ ბალებსა და სალამოებზე ასე მხიარულად ცეკვავდა და ატარებდა დროს, როგორ გადაიქცა უბრალო გლეხად და როგორ მოახერხა, რომ არისტოკრატი ნაზი ქალიც, თავისი მეუღლე, გაიტაცა თავის იდეებით და ყველაფერში დაითანხმა.

მახსოვს, კარი გაიღო და ჩვენს სასადილო ოთახში მაღალი კაცი შემოვიდა. თავზე მაღალი ბო-

ხოხი ეხურა. ცხვრის უბრალო ქურქი ეცვა. მთელი ოჯახი თავმოყრილი ვიყავით ჩაიზე.

— ოჰ, გიორგი, გიორგი! — წამოიძახა ყველამ მხიარულად და წამოცვივდნენ.

გიორგის ხელში წითელი ცხვირსახოცით რაღაც ეჭირა და პირდაპირ ილიკოს დედასთან მივიდა, რომელიც სუფრის თავში, მაღალ სავარძელში იჯდა, მერე გადმოყარა სუფრაზე ვაშლები და მიმართა დედას:

— Позвольте бабушка, преподнести вам яблоки.

ამისი თქმა და ილიკოს დედის უკმაყოფილებით აფეთქება ერთი იყო:

— მიკვირს, თავადო გიორგი, როგორ, ნუთუ გაუბრალოებასთან ერთად ლაპარაკიც დავიწყდათ? განა არ იცით, რა მქვია? ჩემი სახელი კნეინა ბარბარე სოლომონის ასულია. თუ კნეინა არ გინდათ დამიძახოთ, სახელი დამიძახეთ, თორემ ეს ბებია რა არის?

— მე მეგონა, ბებია უფრო პატივისცემაა, ბარბარე სოლომონის ასულო... რადგანაც ასეა, იყოს ნება თქვენი, — თქვა მან, ფეხი ფეხს შემოჰკრა, ნამდვილი არისტოკრატული შესახვედრობა მიიღო და მდაბალი სალამი მისცა.

ყველას გაგვეცინა და ყველაზე მეტს თვითონ დედა იცინოდა, რომელმაც დარეკა და როდესაც

ლაქია შემოვიდა, უბრძანა, ვაშლები გაერეცხა, ვაზაში ჩაეწყო და მოეტანა.

— აი, ეგ კი ველარ მოვიფიქრე თავადურად, მაპატიეთ, — თქვა გიორგიმ.

შემდეგ გადმოგვცა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მივდივარ, იქ უნდა დავსახლდე თანამოაზრე ამხანაგებთან და ვიცხოვრო როგორც შეეფერება ადამიანს და არა მუქთახორასო. ყველამ თანაგრძნობით მოისმინა ეს ამბავი.

დედას კი ისევ ეწყინა:

— არ მესმის, რა არის სადღაც ჩრდილოეთ კავკასიაში გადაკარგვა, უცხო ხალხში. მიწაზე მუშაობა თუ გინდათ, თქვენ მამულში ვერ დასახლდებით და ვერ იმუშავებთ? ბავშვები ქართულს მაინც ისწავლიდენ, — უთხრა მას დედამ.

— თქვენ დიდი პატრიოტი ყოფილხართ, — თქვა გიორგიმ. — მართალი გითხრათ, პირველად მეც სწორედ ასე ვფიქრობდი, მაგრამ ცხოვრება ისევ ისე თავადურად მე არ შემიძლია, გლეხურად ცხოვრებას კი ჩემი ძმები არ მომიწონებ ნ. მომიწონებენ კი არა, შერცხვებათ კიდევაც ჩემი და, აბა, რატომ უნდა შევარცხვინო. მეორე ის, რომ ჩემი „მამული“, რომელს ც მე ჩემად არ ვთვლი, მიეცი კანონიერ პატრონებს — მეზობელ გლეხებს და ახლა არავითარი მამული აღარა მაქვს. მართალია, ერთი ჩემი ძმა, პეტრეც [1], მაგრე მირჩევდა, მაგრამ

[1] გიორგი დადიანის ძმა, პეტრე დადიანი, გიორგის

მერე დამეთანხმა, წინააღმდეგი აღარ არის ჩემი ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლებისა.

— ნადეჟდა იოსიფის ასული რას ამბობს, ხომ გაუჭირდებოდა ასე შორს გადაკარგვა და ისეთი ცხოვრება? ჯერ კიკეთში როგორ ცხოვლობდა, — უთხრა დედამ და ხელზე ხელი ჩაავლო: — გიორგი, გთხოვთ, კიდევ იფიქროთ, ნადენკა სუსტი ქალია,

---

ტყუპი იყო. როგორც გიორგის რძალმა, ვლადიმერის მეუღლემ, მიამბო, ძმები, თურმე ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს, რომ ხშირად დედამაც ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან. ორივე ძმა შვიდ წლამდის, ძველი წესისამებრ, ძიძასთან იზრდებოდა და ძიძის შვილები ნამდვილ ძმებზე უფრო უყვარდათ შემდეგ დადიანები მიაბარეს კადეტთა კორპუსში (მოსკოვში) და იქ სწავლობდნენ. ძმებს აქაც ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და სწავლაშიაც ეხმარებოდნენ ერთმანეთს. მასწავლებლები, რასაკვირველია, ძმებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ და ერთს ხალათის სახელოს ნიშანი დააკერეს, თურმე.

ძმებს სიკვდილამდის ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ვლადიმერის ჰეუღლე 1919 წელს სამეგრელოში იყო და სიყვარულით იხსენიებდა ნათესავებსაც, თავისი ქმრის ბიძებს.

როდესაც გიორგი ნალჩიკში გადასახლდა, ჰყავდა ორი შვილი, ქალ-ვაჟი — ვლადიმერი და ელენე. მესამე, იაკობი. 1900 წელს ეყოლა. სწორედ ამ წელს გარდაიცვალა გ. დადიანი. იაკობს მამა არც კი უნახავს. გარდაიცვალა გიორგი შემოდგომაზე. მან და მისმა ამხანაგმა სკოროხოდოვმა საზოვაგე წაიღეს გასაყიდად მახლობელ ბაზარში, სადგურ პროხლადნაიაში. რომელიც მათ კოლონიას 60 ვერსით იყო დაშორებული. იქ, ბაკში, გიორგი უცებ ავად გახდა წელების გადასკვნით. ექიმი ვერ იშოვნეს და საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა ღამის 11 საათზე, 20 ოქტომბერს. მ. სკოროხო-

ხომ იცი, მძიმე ცხოვრებას შეჩვეული არ არის და თუ არ გეთანხმება...

— ვინ არ მეთანხმება, ბარბარე სოლომონისასულო, ნადეჟდას ჩვენ, ე. ი. ბავშვები და მე, ისე ვუყვარვართ, რომ ყველაფერში მეთანხმება და დიდი სიხარულით კისრულობს დედისა და მეუღლის მოვალეობას. არა თუ მეთანხმება, მისი რწმენაც ასეთივეა.

— ლევ ტოლსტოის სანახავად არ მიდიხართ? — ჰკითხა უცებ ელენე ჩოლოყაშვილმა [1].

დოვი ამბობდა შემდეგში: ღამის 11 საათზე გიორგი დაწყნარდა, სახე დაეწმინდა. ვიფიქრე, ახლა უთუოდ ცოლშვილს ემშვიდობება-მეთქი. სწორედ იმ დღეს, ღამის 11 საათზე, გიორგის ოჯახში, ნალჩიკში, უფროს შვილს, ვლადიმერს, გაეღვიძა თურმე. და დედას ჰკითხა: დედა, მამა თუ მოვიდა. ცოლმა უპასუხა: „როგორ არა, ეს არის აივანზე ამოვიდა, მაგრამ ისევ წავიდა, უთუოდ, აღარ აგვაყენა. სკოროხოდოვთან გაათევს ღამეს და დილას მოვა, დაიძინეო". დილით კი სკოროხოდოვმა იმ ფურგონით, რომლითაც პროდუქტები წაიღეს გასაყიდად, მოასვენა შინ გიორგი. დაასაფლავეს ბაღში, ვაშლის ხის ქვეშ, გიორგის სურვილისამებრ, რომელიც ამბობდა, თურმე, თუ მოვკვდე, ამ ვაშლის ქვეშ დამასაფლავეთო.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ნადეჟდა იაკობისასულმა საშიერ შვილი საზღვარგარეთ, შვეიცარიაში, წაიყვანა და რამდენიმე წელიწადი იქ დაჰყო. ვლადიმერი იყო ავრონომი. გარდაიცვალა 53 წლისა.

[1] ელ. ალექსანდრეს ასული ჩოლოყაშვილი. — ილიკო ნაკაშიძის დეიდაშვილი. მაშინ ცხოვრობდა ჩვენ ოჯახში, გარდაიცვალა პარიზში 1916 წელს.

— არა, არ მივდივარ, — თქვა მან, როგორც მომეჩვენა, ოდნავ სევდიანად. — რასაკვირველია, კარგია იმ ადამიანის ნახვა, რომელმაც, ტყეში დაბნეული, გზაზე გამოგიყვანა, მაგრამ... ეს მეტისმეტი ფუფუნება იქნება. მისი წიგნები მაქვს და რისთვის უნდა შევაწუხო...

კარგი, მხიარული მოლაპარაკე იყო გიორგი და ჩვენებს ყველას უყვარდა. ჩრდილოეთ კავკასიაში წასვლამდე რამდენიმეჯერ იყო ჩვენთან, ბევრი რამ გვიამბო დიდი ჰუმორით და გულისტკივილითაც იმ „უმსგავს“ ცხოვრებაზე, რომელსაც ის ატარებდა უმსგავსსა და აღვირახსნილ „დიდკაცობაში“. იმაზე თუ რა დიდი ტანჯვით და ვაივაგლახით დააღწია თავი ამნაირ ცხოვრებას.

— ვიხსენი თავი, მაგრამ ახლაც მიხდება შედეგების წვნევა.

ერთხელ ჰუმორისტულად გვიამბო, თუ როგორ სცემენ ჩვენში პატივს არა ადამიანს, არამედ მის პასპორტს. რომელიღაც სადგურზე, როდესაც გიორგი ვაგონში აპირებდა შესვლას, თურმე, არ შეუშვეს, უთხრეს, რომ აქ წმინდა ხალხია, შენისთანა ტყაპუჭიანი ხალხისათვის სულ ბოლო ვაგონია და იქ წადიო. გიორგი ამბობდა, ბოლო ვაგონი შორს იყო, მეშინოდა — არ დამგვიანებოდა, არ დავუთმე და მაინც დავაპირე შესვლაო.

იძულებულნი გახდნენ ჟანდარმისათვის დაეძახათ. ჟანდარმმა წამავლო ხელი კისერში და სადღაც

მიმათრევდა. ვუთხარი: თავი გამანებე, თორემ ინანებ, შენთვის არ ივარგებს-მეთქი. რომ არ შეისმინა და არაფერი გამოვიდა, ცოტათი განზე გავიხმე, ამოვიღე ჩემი პასპორტი და ვაჩვენე. წაიკითხა თუ არა, დავარდა ძირს, დაიჩოქა, დამიწყო ჩემი „ტყაპუჭის“ კალთებზე და მუხლებზე კოცნა და ვედრება: „მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაპატიეთ ღვთის გულისათვის“. ძლივს ავაყენე.

გიორგი იმავე 1895 წლის ბოლოს წავიდა და დასახლდა ნალჩიკის მახლობლად. მას შემდეგ არ მინახავს. ამბობდნენ: ცივი, მძიმე საცხოვრებელი ადგილია, მაგრამ კოლონისტები კარგად და თანხმობით ცხოვრობენო.

— დადიანი არ მინახავს, — თქვა ლევ ტოლსტოიმ ერთხელ, — ძალიან კი მინდა მისი ნახვა. ხანდახან ისეთი სურვილიც მაქვს, წავიდე და ვნახო, მაგრამ ვებრძვი ამ ცდუნებას: ведь живет же человек такой чудной жизнью და კიდეც ცდილობს უფრო ქრისტიანულად იცხოვროს. როგორც ამბობენ, ცოლიც საუცხოო ქალია, თურმე.

დადიანის გარდაცვალებამ ტოლსტოი ძალიან დააღონა, და მის ცოლს, ნადეჟდას, შემდეგი წერილი მისწერა:

„7 ნოემბერი. მოსკოვი.

ძვირფასო დაო!

„მე არასოდეს არ მინახავხართ არც თქვენ, არც თქვენი

განსვენებული მეუღლე, მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენი ცხოვრების ამბავი გავიგე, სულ მუდამ მიყვარდით და მახარებდა თქვენი მშვენიერი ცხოვრება, რომელიც, როგორც ყოველ რელიგიურ ადამიანს ჰგონია, თქვენც არ გაკმაყოფილებთ. ამიტომ ისეთი ძლიერი და საჭირო ადამიანის სიკვდილი, როგორიც თქვენი მეუღლე იყო, სამწუხაროა ჩემთვის, თქვენთვის კი აუტანელია.

თქვენს მდგომარეობაში, თქვენი ნუგეში მხოლოდ ღმერთია და იმის შეგნება, რომ ჩვენ როგორც ვიყავით ღვთის ხელში, ისე ვიქნებით ყოველთვის და ყველგან. შეუძლებელია ღმერთს ცუდი რამ სურდეს ჩვენთვის. მხოლოდ ის, რაც ჩვენ ცუდი გვგონია, გვგონია იმიტომ, რომ დავშორდით მას— ღმერთს. ყოველი მწუხარება, ყოველი მახლობლის დაკარგვა, გვაახლოებს ღმერთს, ეს დაახლოება კი აუმჯობესებს ჩვენს მდგომარეობას. როგორც ხალხი ამბობს: ღმერთი მოგვხედავს.

ყველაფერი, რაც მესმის და ვიცი თქვენი მეუღლის შესახებ, უფრო და უფრო ჰავსებს სინანულით, რომ არ ვიცნობდი მას და არ შემეძლო მასთან პირად ურთიერთობაში შემეძინა ის სიმტკიცე და კეთილი გულის თვისება, რომელიც, როგორც მეუბნებიან, განსაკუთრებით ახასიათებდა განსვენებულს.

თუ მომწერთ თქვენი მეუღლის შესახებ და აგრეთვე თქვენს შესახებ, რას აპირებთ შემდეგში, ძალიან დამავალებთ.

ძმურად მოგესალმებით.

ლევ ტოლსტოი".

მაგიდაზე ეწყო გალეტები, პურის კვერები, კარაქი და მურაბა. ჩაის ყველა ლურჯყვავილებიანი უბრალო ფინჯნებით ვსვამდით, ძალიან ნელა და ცოტას. ბულახოვს ისე რცხვენოდა, რომ ჩაის დალევაზე სრულიად უარი განაცხადა — არა ვსვამო.

ნამდვილად კი შინ თექვსმეტ ჭიქას სვამდა. ჩაის დროს მოვიდა კოლიჩკა გე. ასე ეძახდნენ ტოლსტოის ოჯახში მხატვარ გეს შვილს. გემ მოიტანა თავისი მამის დიდი, ახალი სურათებიდან გადაღებული გრავიურები: „იესო და ავაზაკი“, „რა არის ჭეშმარიტება“, „იუდა“ და სხვა. მე არ მენახა სურათი „იესო და ავაზაკი“ და პირდაპირ შევშინდი, ისეთი არაჩვეულებრივი და საშინელი მეჩვენა ავაზაკი და იესოს ტანჯული სახე.

სურათმა ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, გარდა ტოლსტოისა, რომელსაც დიდი სურათი ჰქონდა ნახული და სიამოვნებით შეჰყურებდა.

— ეს ღმერთს კი არა, რაღაც გამწარებულ მხეცსა ჰგავს,—თქვა ლორნეტინმა ქალმა და თვალები დახუჭა. — ამ სურათის შესახებ თქვა დიდმა მთავარმა სასაკლაოთ?—იკითხა მან მწუხარედ.

— მართალია, ქალბატონო, — მიუგო გემ გაბრაზებით.

მაგრამ ტოლსტოიმ უპასუხა:

— აი, სწორედ მაგაშია გეს ძალა: მან დაგვანახვა, რომ იესოს სიკვდილით დასჯა სწორედ სასაკლაო იყო, დაგვანახვა მისი ტანჯვა, როგორც ნაცემი, წაჰებული ადამიანისა, როგორიც იყო მაშინ ქრისტე. ძალიან ვუხვ რ, რომ ეს სურათი მოსწონეს და გამოფენაზე არ დაუშვეს.

ყველას მოეწონა მეორე სურათი „რა არის ჭეშ-

მარიტება". ეს სურათი, ფერებით შესრულებული, გამოფენილი იყო ტრეტიაკოვის გალერეაში და ნახული მქონდა.

ტოლსტოი ამბობდა:

— რა არის ჭეშმარიტება? ქრისტეს კარგად ესმის, რომ პილატე იმიტომ კი არ ეკითხება, რომ მართლა უნდოდეს მისგან ჭეშმარიტების გაგება. ქრისტემ ძალიან კარგად იცის, რომ განსწავლული რომაელი არც ელის ამ უბრალო ებრაელისაგან ჭეშმარიტების შესწავლას, მაგრამ მაინც უხსნის. ყოველი ადამიანის მოვალეობაა აუხსნას ჭეშმარიტება ყველას, ვინც უნდა იყოს იგი.

„იუდაც" ყველას მოსწონდა.

რეპინი თავის მოგონებაში (გამოვიდა 1940 წ.) ამბობს რომ: გე დიდი მხატვარი იყო, მაგრამ, მას შემდეგ, როდესაც მან თავისი მეგობრის, ლ. ტოლსტოის, მოძღვრება მიიღო, აღარაფერი ღირსსაყურადღებო აღარ შეუქმნიაო. გოგოლმა და ტოლსტოიმ დაკლა თავისი ისააკი მორალის გულისათვისო. მე მგონია, რეპინი ცდება ამ შემთხვევაში. თუ გემ ტოლსტოის მორალის მიღების შემდეგ შექმნა ისეთი სურათი, როგორიცაა „რა არის ჭეშმარიტება", ხოლო ტოლსტოი-მორალისტმა დაწერა „აღდგომა", „ჰაჯი მურატი", „მამა სერგი", და სხვა, განა ეს „თავის ისააკის დაკვლას" ნიშნავს? საზოგადოდ რეპინს არ უყვარს ტოლსტოის მორალი და აკი ვერც გამოხატა ტოლსტოი თავის

სურათებში. როდესაც ადარებთ კრამსკოის მიერ დახატულ სურათს რეპინისას, დიდ განსხვავებას გრძნობით შესრულებაში. კრამსკოიმ გამოხატა ტოლსტოი სულით აღშფოთებული, ეჭვებით დატანჯული, ტოლსტოი — ცხოვრების გზის მაძიებელი, დაფიქრებული, ისეთი, როგორიც იყო 1873 წელს. რეპინმა კი ვერც ერთ სურათში ვერ ასახა ტოლსტოი 1890 — 1900 წლებისა, როდესაც მან უკვე ჰპოვა გზა უკვდავებისაკენ და დამშვიდებული მიდიოდა წინ ამ გზით.

მე, რასაკვირველია, არ ვეხები რეპინს, ხელოვანს. მხოლოდ. ჩემის აზრით, მან ვერ გადმოგვცა ტოლსტოის შინაგანი სულის მოძრაობა. რეპინს განსაკუთრებით არ მოწონს „იუდა". ამბობს: ბნელში მხოლოდ მოკუნტული კაცის ზურგი ჩანს. შორს იყურება, მაგრამ საით, არა ჩანს. არც ხელოვნების თვალსაზრისით არის დამაკმაყოფილებელი (სიტყვა სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ აზრი ასეთია). მაგრამ მაშინ იუდას ამ მოკუნტულმა ზურგმა პირდაპირ ჟრუანტელი მოჰგვარა ყველას, ყველამ იგრძნო, რომ იუდა მიხვდა, თუ რა საშინელი გაუსწორებელი საქმე ჩაიდინა თავის მასწავლებლის და მეგობრის იესოს ღალატით, იმ მეგობრის, რომელმაც იხსნა ის სიკვდილისაგან, იხსნა მაშინ როდესაც იცოდა, რომ იუდამ გაყიდა იგი, მტრები მიიყვანა და ხელში ჩაუვდო მათ. იუდამ ეს

საკვებით შეიგნო და მის ირგვლივ წყვდიადი დამ-
ყარდა.

ყველაზე მეტი ლაპარაკი სურათების დათვალი-
ერების დროს იუდას სურათმა გამოიწვია. ტოლს-
ტოი. განსაკუთრებული ლმობიერებით და გულ-
მტკივნეულად იგონებდა თავის მეგობარს ნ. გეს.

გოლდენვეიზერი როიალს მიუჯდა და რაღაც
მწუხარე დაუკრა, როგორც მახსოვს, შოპენის ნა-
წარმოები, ხოლო შემდეგ ვენიავსკის მხიარული
მაზურკა.

თორმეტმა საათმა დაჰკრა. ყველანი ავდექით
წასასვლელად. ტოლსტოის ჩვეულება ჰქონდა, 12
საათზე, ვინც უნდა ყოფილიყო, დგებოდა და მიდი-
ოდა დასაძინებლად. დილით ადრე დგებოდა, გაი-
სეირნებდა და შემდეგ მუშაობდა სადილობამდის.
სადილის წინ კიდევ სეირნობდა ერთ ან ორ საათს
და შემდეგ-კი 8—12 საათამდის სტუმრებთან გა-
დიოდა და ბაასობდა.

8

სოფიო ანდრიას ასული და დუნაევის მეუღლე,
ეკატერინე ადოლფის ასული, მეგობრები იყვნენ და
როდესაც შეიყრებოდნენ, თავიანთ ქმრების საყვე-
დურებს ლაპარაკობდნენ. ერთ ამგვარ ლაპარაკს
შეესწარი ერთხელ დუნაევის ოჯახში. დუნაევის

მეუღლე განათლებული, უმაღლეს კურსდამთავრებული ქალი იყო. ის შესჩიოდა სოფიო ანდრეევნას, თუ როგორ მძიმეა მისი ცხოვრება „გაუბრალოებული“ ქმრის მეოხებით.

სოფიო ანდრიას ასული ჩოდა, რომ მას, ლიოვოჩკას ხასიათის წყალობით, არასოდეს ადამიანური ცხოვრება არა ჰქონია.

— ავიღოთ თუნდა ის დრო, როდესაც ლიოვოჩკამ პირველად მიმიყვანა იასნაია პოლიანაში. არ დაიჯერებთ, ასე მეგონა, ბოსელში მიმიყვანა-მეთქი. ერთ უბრალო ხის ტახტზე ეგო მაგარი ლეიბი, ზედ გადაფარებული იყო შინ დამზადებული რუხი ტილოს ზეწარი. ზევიდან ნაჭრებისაგან შეკერილი სოფლური საბანი ეხურა, ხოლო თავქვეშ მეშის ბალიში ედვა. მე როგორც მივედი, მაშინვე ჩემი მზითვის კარგი საწოლები დავდგი. ჰოლანდიური წმინდა ტილოს ზეწრები გავშალე. როგორც ჩემთვის, ისე მისთვისაც, აბრეშუმის საბნები გადავახურე, ბუმბულის ბალიშები დავაწყე. საწოლების წინ კი პატარა ნოხები დავაგე. როდესაც ლიოვოჩკა შემოვიდა ოთახში და ეს დაინახა, ძალიან ეწყინა. თავისი ნოხი და ბალიში აიღო, იქით გადადვა და, ისევ მეშის ბალიში დაიდვა. მე დავიცადე და როგორც კი გავიდა ოთახიდან, ისევ ისე დავაწყე ბალიშები და ნოხიც დავაგე თავის ადგილას. მაგრამ, შემოვიდა თუ არა, ისევ გაჯავრდა, ნოხი აიღო, ფანჯრიდან გადააგ-

დო და გარეთ გავარდა. კარგა ხანს აღარ შემოსულა. ნოხი ისევ ამოვატანინე და დავაგე. როდესაც კვლავ შემოვიდა, გაბრაზებულმა გადაფურთხა. მაგრამ ნოხი თავის ადგილას დატოვა. ბალიშს ღამღამობით მაინც მეშისას იდებდა დიდი ხნის განმავლობაში. მერე კი, რასაკვირველია, კარგად შეეჩვია. ახლა წმინდა ტილოს თეთრეულს ხმარობს და აბრეშუმის წინდებს ატარებს. რაც შეეხება ავეჯის შეძენას, ამაზე ლაპარაკიც კი მეტია. არასოდეს არ მქონია საშუალება, ხეირიანი რამე შემომეტანა სახლში, ყოველთვის ბრაზობდა.

შემდეგში სწორედ ეს ამბავი მიამბო იმავე სიტყვებით ტოლსტოის თანამოაზრე და მეგობარმა ქალმა — მარია ალექსანდრეს ასულმა შმიდტმა [1].

— ნუთუ, ასე გაბრაზება იცის ლევ ნიკოლოზის ძემ? — ვკითხე შმიდტს, ეს რომ მიამბო.

— იცის, იცის, სულიკო, — მითხრა მან და მიამბო: — ერთხელ, აი, რა მოხდა. გაცნობიდანვე ლევ ნიკოლოზის ძე მე და ჩემ ამხანაგ ქალს ძალიან კარგად გვღებულობდა. ხშირადაც დავიარებოდით, ვიწერდით მის ნაწერებს, ვამრავლებდით და ვსწავლობდით მისგან სიბრძნეს. მაგრამ სოფიო ანდრიას ასულმა პირველ დღიდანვე შეგ-

---

[1] მარიამ ალექსანდრეს ასული შმიდტი — მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის შვილი. ტოლსტოის თანამოაზრე, შემდეგში კი მთელი ოჯახის მახლობელი მეგობარი გახდა. ჩვენ კიდევ გვექნება მის შესახებ ლაპარაკი.

ვიძულა და ერთხელ ისე გაბრაზდა, რომ სახლი-
დან გამოგვაგდო კიდევაც. რას ვიზამდით, ხელი
ავიღეთ მის ოჯახში სიარულზე. ლევ ნიკოლოზის
ძეს უკვირდა, და თურმე, კითხულობდა: სად არი-
ან, რა დაემართათ, რატომ აღარ მოდიანო. სოფიო
ანდრიას ასული იძულებული გახდა ეთქვა, რომ
გამოგვრეკა. ტოლსტოის ძალიან ეწყინა, თურმე,
აღელდა და უთხრა, ახლავე წადი და ბოდიში მოი-
ხადეო. ერთ დღეს ვზივართ სახლში. უეცრად სო-
ფიო ანდრიას ასული დაგვადგა თავზე: „მოვედი,
რომ ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე", — მოგ-
ვმართა მან. — რასა ბრძანებთ, სოფიო ანდრიას
ასულო, როგორ შეიძლება! „ასე მიბრძანა ლევ
ნიკოლოზის ძემ, მაპატიეთ ღვთის გულისათვის.
გთხოვთ, იაროთ ჩვენსა უწინდებურად",—გვითხრა
მან. ჩვენც, რასაკვირველია, იმ საღამოსვე წავე-
დით. შემდეგ ჩვენ შორის კარგი განწყობილებაც
კი დამყარდა. რასაკვირველია, ლევ ტოლსტოის
გაჯავრებით შეეძლო ნაწილობრივ გავლენა მოეხ-
დინა ცოლზე, მაგრამ გაჯავრებას და სიმკაცრეს
იგი სისუსტედ თვლიდა, ყოველთვის ერიდებოდა
და ცდილობდა თავი შეეკავებინა გაჯავრებისაგან.
ამასთან, უნდა გითხრათ, რომ მას ცოლი უყვარდა
და ეცოდებოდა კიდევაც. უნდოდა, ნებაყოფლო-
ბით გამოენახა თანხმობის გზა. მაგრამ ცოლს არ
ესმოდა თავისი დიადი ქმრის სულისკვეთება; მას
ეგონა, რომ პოპოვს, ბოჩკარიოვს და სხვებს აქვთ

მასზე გავლენა, ისინი რომ არა, ტოლსტოი მას დაუჯერებდა ყველაფერს და იცხოვრებდნენ კარგად. მე ყოველთვის ვეუბნებოდი: რას ამბობ, სულიკო, ბოჩკარიოვი, პოპოვი, მიხაილოვი და ჩვენ ყველანი მისგან ვსწავლობთ ცხოვრების კანონებს და როგორ გაივლეთ გულში, რომ ისეთი ბრძენი ჩვენ ჭკუაზე ივლის-მეთქი.

— დიდი ადამიანის მეუღლეა და ასე უბედური? — გავიკვირვე მე.

— რასაკვირველია, უბედურია, — მიპასუხა მან. — მით უმეტეს, რომ უიმისოდ ცხოვრება არ შეუძლია.

9

ერთხელ, ხუთი საათი იქნებოდა, ილიკო ის-ის იყო დაბრუნდა სამსახურიდან, რომ კარი გაიღო და ლევ ტოლსტოი შემოვიდა. მაშინ ჩვენ პლიუშჩიხაზე ვცხოვრობდით.

— რამდენიმე წუთით შემოვედი, ილია პეტრეს ძევ, — თქვა მან მისალმების შემდეგ. — მინდა ექსპლოატაცია გაგიწიოთ, — დამეხმაროთ, თუ ძალიან არ შეწუხდებით, „ჰაჯი მურატის“ შესახებ ზოგიერთი ცნობის შეკრებაში. აქ, მოსკოვში, არის მოხუცთა თავშესაფარი. იქ უნდა ცხოვრობდნენ დალესტნის ომის მეომრები. მინდა გავიგო, მართალია თუ არა ეს. იქნება იციან რამე, შემდეგ კი თვი-

ონ ვნახავ. ამას გარდა, ეგებ, თქვენ გყავთ ვინმე ნაცნობი კავკასიაში, რომ არქივში — უთუოდ იქნება რამე — ცნობები გამონახოს და მომაწოდოს. ძალიან მრცხვენია, რომ გაწუხებთ, მაგრამ ჰაჯი მურატს ყველა თავისი ხალხის მოღალატედ თვლიდა, მე კი ეს შეცდომად მიმაჩნია...

ჩვენ ვურჩიეთ, პოლკოვნიკ სიმონ სპირიდონის ძე ესაძისათვის მიემართა, რომელმაც კარგად იცოდა დაღესტნის ომის და შამილის ისტორია. შემდეგში ტოლსტოიმ ისარგებლა ამ რჩევით. ს. ესაძემ საჭირო მასალა გაუგზავნა. ტოლსტოისაგან ილ. ნაკაშიძემ, უკვე თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მიიღო მადლობის წერილი:

„საყვარელო ილია პეტრეს ძევ, ძალიან გმადლობთ გამოგზავნილი ცნობებისათვის. გადაეცით აგრეთვე ჩემგან მადლობა თავაზიან შულგინსა და ესაძეს. თუმცა ძალიან მრცხვენია, ჩემ ნაწერებს ვუგზავნი იმათ, რადგან სხვა არაფრით არ შემიძლია მადლობა გადავუხადო.

იასენკოში [1] კარგა ხანია ერთი ამანათია მოსული, უთუოდ, თქვენგან იქნება. ყოველ შემთხვევაში სთხოვეთ შულგინსა და ესაძეს, ნულარ გაისჯებიან ჩემთვის. მე ახლა შევაჩერე მუშაობა „ჰაჯი-მურატზე", საზოგადოდ, ეს მოთხრობა იმ შრომის ღირსი არ არის, რომელსაც კეთილი ადამიანები მისთვის ეწევიან. ჩემ წიგნებს მოსკოვიდან გამოგზავნიან. მე აქ ჩემს სახელსა და გვარს მოვაწერ.

ძმურად გკოცნით. მოკითხვა თქვენს მეუღლეს.

ლევ ტოლსტოი.

1903 წლის აპრილის 27.

---

[1] იასნაია პოლიანასთან უახლოესი ფოსტის განყოფილება. ი. ნ.

სიმონ სპირიდონის ძე ესაძე ყოველთვის დიდი სიამოვნებით იგონებდა ამ წერილს და დიდად აფასებდა ტოლსტოის ნაჩუქარ წიგნებს წარწერით.

აი რას წერენ ლ. ნ. ტოლსტოის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავ კომისიის კრებულში[1]:

„ს. ს. ესაძე კავკასიის ცნობილი ისტორიკოსი გარდაიცვალა 15 ნოემბერს 1927 წელს.

სიმონ სპირიდონის ძე ესაძემ, რომელიც 1903 წ. მუშაობას ეწეოდა კავკასიის სამხედრო-საისტორიო არქივში, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ლ. ტოლსტოის მოთხრობა „ჰაჯი-მურატის“ წერის დროს. ს. ს. ესაძემ გამოუგზავნა მაშინ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის თავის ხელით ამოწერილი მრავალი ცნობა არქივის საქმეებიდან და ამ მასალების მიღებამ ტოლსტოის საშუალება მისცა შეეტანა თავის ახალ თხზულებაში ჰაჯი-მურატის ცხოვრების ფაქტებზე დამყარებული ბევრი მხატვრული დეტალი. უკანასკნელ წლებში ს. ს. ესაძე მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ მაინც განაგრძობდა თავის საყვარელ საარქივო მუშაობას. მის პირად ქაღალდებში ინახებოდა ტოლსტოის წერილი, რომელშიც ტოლსტოი მადლობას სწერდა დიდი დახმარებისათვის“.

ს. ს. ესაძე დასაფლავებულია თბილისში დი-

---

[1] წერილი ამოღებულია ნაკაშიძის ძოგონებიდან „როგორ გავეცანი ტოლსტოის“.

დუბეში მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში. სხვათა შორის, იმ დღეს ტოლსტოიმ გვიამბო: ერთი ახალგაზრდა მეგობრისაგან, კ. ზლინჩენკოსაგან[1], რომელიც ჩემი წიგნების გავრცელებისათვის გადაასახლეს, წერილი მივიღეო. ის კიდევ მთხოვს წიგნებს, მაგრამ ჩემი წიგნები არ ღირს იმად, რომ ასე სტანჯავდნენ ადამიანს და ასედაც ვწერო. ძალიან წუხდა, მე თავისუფალი ვარ და ამდენ ხალხს სდევნიან და აწუხებენ ჩემი გულისათვისო...

---

[1] კირილე კონსტანტინეს ძე ზლინჩენკომ კურიოზულად დააღწია თავი ჯარისკაცობას. ჯერ ტოლსტოის არ იცნობდა, რომ გადაწყვიტა თავისი რელიგიური რწმენის მიხედვით არ გასულიყო მეფის სამხედრო სამსახურში. როდესაც დაიბარეს, როგორც წევამდელი, იფიქრა, როცა კომისია გამსინჯავს, მაშინვე ციხეში გამგზავნიან და რომ ციხეში უსაცვლებოდ არ დარჩენილიყო, ჩაიცვა რამდენიმე წყვილი საცვალი. ზლინჩენკო მაღალი, ჯან-ღონით სავსე კაცი იყო. თვითონ შემდეგში მიამბო: რომ დამინიშნეს კომისია, ყველას მოვეწონე და მითხრეს: ტანთ გამეხადა. საშინლად შემრცხვა და დავიბენი. დავიწყე უხერხულად ტანის გახდა. მეცვა ეგერის ტრიკოტაჟის საცვლები. გავიხადე ჯერ ერთი პერანგი. საშინლად გაიწელა და გაგრძელდა. მეორის გახდას კიდევ უფრო დიდხანს მოვუნდი. ვღელავდი და აღარ ვიცოდი, როგორ და რას ვშვრებოდი. რამდენსაც მეტს ვცდილობდი, უფრო და უფრო იწელებოდა და უფრო და უფრო დიდხანს ვუნდებოდი გახდას. ექიმები იცინოდნენ და ეს უფრო მტანჯავდა და მაბნევდაო. პერანგების მერე პერანგის ამხანაგების გახდა რომ დავიწყე, ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს, არანორმალურ ადამიანად გამომაცხადეს და გამანთავისუფლესო.

ტოლსტოი ეცემ გამოცოცხლდა, და იკითხა:

— თქვენი გოგონა სად არის?

ბავშვი ეზოში იყო და როდესაც დაძახება გაგონილ ზრახე, არ გამიშვა.

— იყოს, ითამაშოს ბავშვებთან. მე მინდოდა მეკითხა, როგორ ზრდით რელიგიური მხრით — და გვიამბო, რომ ბავშვებს ძალიან აინტერესებთ ღვთის არსებობის საკითხი. — ერთმა ჩემმა ნაცნობმა ბავშვმა თხოვა თავის დედას, ღმერთთან მიეყვანა. დედამ აიყვანა ხელში და კუთხეში ხატთან მიიყვანა. ბავშვმა დაუკაკუნა ხატს და დაუძახა: ღმერთო, ღმერთო, სად არის ჩემი მამიკო? მამა იმ დღეებში მოუკვდა. თავისი შეკითხვა ბავშვმა რამდენჯერმე გაიმეორა, ატირდა კიდევაც და როდესაც „ბოჟენკამ" არაფერი უპასუხა, თქვა, ახლა კი მივხვდი, რომ არაფერი ბოჟენკა არ ყოფილაო.

ილიკომ უამბო, რომ ჩვენ ბავშვს, მღვდელი ეგონა ღმერთიო. თურმე, ჩვენ დიასახლისს ჩუმად ეკლესიაში დაჰყავდა, იქ ნახულობდა მღვდელს. ჩვენ შემთხვევით გავიგეთ ეს ამბავი, სოფელში რომ ვიყავით, აგარაკზე. ეცებ, მოგვესმა ჩვენი ბავშვის ყვირილი: ღმერთი მოდის, ღმერთი მოდისო. ყველანი გამოვცვივდით გარეთ და დავინახეთ ქუჩაში მიცვალებულს მიასვენებდნენ, წინ შემოსილი მღვდელი საცეცხლურის ქნევით მოუძღოდა.

ლევ ნიკოლოზის ძემ ბევრი იცინა.

10

ერთხელ ჩვენ ვოზდვიჟენსკის ქუჩით მივდიოდით (ახლა იმ ქუჩას კროპოტკინის ქუჩა ეწოდება). იმ ქუჩაზე საბჭოთა ხელისუფლებამ ტოლსტოის მუზეუმი გამართა. იქ ეცნობით ტოლსტოის საინტერესო, ხანგრძლივ, შინაარსიან ცხოვრებას.

ტოლსტოის წამოვეწიეთ. მიდიოდა მარტო, ხელში ჯოხი ეჭირა. პირველხანს ვერც კი ვიცანი. ძველი პალტო ეცვა, თავზე ძველი რბილი ქუდი ეხურა. გრძელი, თეთრი წვერი პალტოში ჰქონდა ჩატანებული და ყელზე რაღაც ფერადი ყელსახვევი ეხვია.

სადილის წინ სასეირნოდ გამოსულიყო და ახლა შინ ბრუნდებოდა. მიდიოდა ყოჩაღად, მხიარულად. რომ წამოვეწიეთ, ესიამოვნა. გავყევით, ვინც გზაში გვხვდებოდა, თითქმის ყველა სცნობდა, ჩერდებოდა და ღიმილით გვაცილებდა.

ლაპარაკის დროს მღვდელი დავინახეთ, იდგა ქუჩის მეორე მხარეს და გადმოსვლას აპირებდა. ლევ ნიკოლოზის ძე შეჩერდა.

— აბა, გადაგვიჭრის გზას თუ არა ხუცესი, გადაგვიჭრის თუ არა, — თქვა მან სიცილით.

მღვდელი შეჩერდა, შეყოყმანდა, მიტრიალდა და უკან გაბრუნდა.

— კაი ნიშანია, — უფრო მაგრად გაიცინა ტოლსტოიმ, ჩვენც გაგვეცინა.

— იცით, ნინა იოსების ასულო, ეს ცრუმორწმუნოება მონადირის ძველი ჩვეულებაა. ყოველი მონადირე, დაინახავს თუ არა მღვდელს, ან კურდღელს, უთუოდ ჩაუთქვამს, გადასჭრის თუ არა გზასო. გადაჭრა არ ვარგა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი მონადირე ხელს იღებს ხოლმე ნადირობაზე, ნამეტნავად, თუ კურდღელმა გადაურბინა გზაზე. აი, მეც ბებერი მონადირე ვარ.

ცოტა გავცილდით იმ ადგილს და შესახვევიდან სკოლის ბავშვები გამოცვივდნენ. დაგვინახეს თუ არა, შეჩერდნენ. რამდენიმემ დაიყვირა:

— პაპა ტოლსტოი!

— პაპა ტოლსტოი!

ტოლსტოი თვითონაც გაჩერდა გაღიმებული.

— დიახ, პაპა ტოლსტოი. მერე?

— პაპა, ახლა რას სწერ ჩვენთვის?

— რაც დავწერე, ის წაიკითხეთ?

— მაშ, არ წავიკითხეთ?

— მე ფუნთუშა წავიკითხე.

— მე სოკოებზე.

— მე კურკა.

— მე ხოლსტომერი...

— მე ბატონი და მოჯამაგირე...

— კიდევ დაგვიწერე პაპა, კიდევ, — ისმოდა გარშემოხვეული ბავშვების ხმაური.

— პაპა, ხორცს მართლა არა სჭამ? — ჰკითხა

ერთმა მალალმა ბიუმმა, რომელიც ცალკე იდგა და ცდილობდა როგორმე დალაპარაკებოდა.

— არა, არა ვჭამ, — მიუგო სერიოზულად ტოლსტოიმ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მცენარეული საუმელი უფრო შეეფერება ჩვენს აგებულებას. მეორე და უმთავრესი კი ის არის, რომ ცოცხალ არსებას არ უნდა მოუსპო სიცოცხლე...

ამასობაში ხალხმა კარგა ბლომად მოიყარა თავი. ტოლსტოი, თითქოს შეშინდა:

— ახლა გამიშვით, მეგობრებო, და სხვა დროს მოვილაპარაკოთ, — მიმართა მან ბავშვებს.

— პაპა, ჩვენ მოვალთ თქვენთან, შეიძლება? — გაისმა აქეთ-იქიდან.

მაგრამ ახლა დიდები შემოეხვივნენ გარს სხვადასხვა კითხვებით. გაჩნდნენ პოლიციელები და ხალხი დაშალეს. როდესაც ხალხი ჩამოგვეცალა, ლევ ნიკოლოზის ძე მიუბრუნდა ილ. ნაკაშიძეს.

— იცით ილია პეტრეს ძევ! სულერჟიცკის წერილები მივიღე, კვიპროსის [1] დუხობორები უკვე ჩავიდნენ კანადაში. ახლა ი. კ. დიტერიქსისაგან ველი.

[1] დუხობორების ერთი პარტია პირველად კუნძულ კვიპროსზე გადასახლდა, მაგრამ კვიპროსზე იმდენად ცუდი ჰავა აღმოჩნდა, რომ იძულებული გახდნენ ისინიც კანადაში წასულიყვნენ.

იოსებ კონსტანტინეს ძე დიტერიქსი, — აგრონომი — მეაბრეშუმე, ტოლსტოის ახლო მეგობარი იყო, კარგა ხანს მსახურობდა თბილისში, მეაბრეშუმეობის სადგურში. დუხობორებს გაჰყვა კანადაში ერთ-ერთ გემზე და კარგახანს დარჩა იქ, სანამ დუხობორები დაბინავდებოდნენ. ბოლო დროს მუშაობდა თავის სპეციალობაზე აზერბაიჯანში, განჯაში (ახლანდელი კიროვაბადი). გარდაიცვალა 1931 წ.

სწორედ ი. კ. დიტერიქსმა მაჩვენა ის სახლი პლეხანოვის პრ., სადაც 1851 — 1852 წლებში ლევ ტოლსტოი ცხოვრობდა. პატარა ყვითლად შეღებილი სახლი იყო. ამჟამად მის ადგილზე ახალი სახლი დგას, ნაცრისფრად შეღებილი. როგორც მამიდასთან მიწერილი წერილიდან სჩანს, ლ. ტოლსტოიმ სწორედ თბილისში, იმ პატარა სახლში დაიწყო თავისი პირველი მხატვრული მოთხრობის წერა. აი რას სწერს ლ. ტოლსტოი თავის მამიდას ტ. ა. ერგოლსკაიას:

ძვირფასო მამიდა! [1]

ერთი კვირის შემდეგ სწორედ 4 თვე შესრულდება, რაც მე თქვენი ამბავი არაფერი ვიცი, მაგრამ ახლა მაინც მაქვს იმედი, რომ თქვენი წერილები სტაროგლადოვსკაიაში იქნება.

ნამდვილად ჩვენ გამოვემგზავრეთ 25 ოქტომბერს და შვიდი დღის მგზავრობის შემდეგ, ყოველ სადგურზე ცხენების

---

[1] წერილი ამოღებულია ილია ნაკაშიძის მოგონებიდან „როგორ გავეცანი ლ. ნ. ტოლსტოის".

უშოვნელობით გაბეზრებულნი და ძალიან ნასიამოვნები იმ ადგილების მშვენიერებით, რომელიც გამოვიარეთ, ამ თვის (ნოემბრის) 1 რიცხვს მოვედით.

მეორე დღეს წავედი გენერალ ბრიმერთან, რომ წარმედგინა იძისთვის ტულაში ძიღებული ქაღალდები და ჩემი საკუთარი პიროვნება. მიუხედავად მისი გერმანული ზრდილობიანი სურვილისა დამსმარებოდა, იგი მაინც იძულებული შეიქნა ჩემთვის უარი ეთქვა, რადგან ჩემი ქაღალდები არ გამოდგა რიგიანად შედგენილი და მაკლდა დოკუმენტები, რომელიც ამ წამს პ-შია[1] და მე უნდა ვუცადო იმათ მიღებას.

თუ ჩემი ქაღალდები ერთი თვის განმავლობაში არ მომივიდა, სამხედრო სამსახურზე ხელს ავიღებ, რადგან ამ წელიწადში საზამთრო ექსპედიციაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, რაც ჩემი ერთადერთი სურვილი იყო, როცა სამსახურში შევდიოდი.

მოულოდნელად ტფილისში ვნახე ერთი კარგი ჩემი პეტერბურგელი ნაცნობი, თავადი ბაგრატიონი, ის დიდ დახმარებას მიწევს. იგი ჭკვიანი და განათლებული კაცია. ტფილისი ძალიან დაწინაურებული ქალაქია. ძალიან ჰბაძავს პეტერბურგს და აღწევს მიზანს, რჩეული მრავალრიცხოვანი საზოგადოებაა. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლითაც მე ვსარგებლობ იმდენად, რამდენადაც ამის ნებას მაძლევს ჩემი პატარა შეძლება. მე ვცხოვრობ გერმანელების კოლონიაში. ეს ადგილი წარმოადგენს ქალაქის გარეთა უბანს. მაგრამ იმას ჩემთვის ორი დიდი სარგებლობა მოაქვს: ერთი, რომ ეს მშვენიერი ადგილია, ირგვლივ ბაღებსა და ვენახებშია ჩაფლული, ასე რომ, აქ თავს გრძნობ უფრო სოფელში, ვიდრე ქალაქში (აქ ჯერ კიდევ ძალიან ცხელა და ნათელი, მხიარული დღეებია, არ ყოფილა არც თოვლი, არც ყინვა). ამ ადგილის მეორე უპირატესობა ის არის, რომ აქ ორს საკმაოდ სუფთა ოთახში ვიხდი ხუთ მა-

---

[1] პეტერბურგში.

ნეთს თვეში, როცა აბეთი ბინა თვით ქალაქში არ შეგიძლია დაიქირავო 40 მანეთ ნაკლებად თვეში.

გარდა ამისა, გერმანული ენის უფასო პრაქტიკაც მაქვს, მაქვს აგრეთვე წიგნები, სამეცადინო საქმე და მოცლაც, რადგან არავინ მოდის ჩემთან მესაწუხებლად, ასე რომ, საერთოდ, მოწყენილი არა ვარ.

გახსოვს, კეთილო მამიდა, ერთხელ თქვენ მირჩიეთ — წერე რომანებიო, და, აი, მეც მივდევ თქვენს რჩევას, და ჩემი მეცადინეობაც, რის შესახებაც გწერდით, ლიტერატურულ შრომაში გამოიხატება. მე ჯერ კიდევ არ ვიცი, გამოვა როდისმე ის, რასაც მე ვწერ, თუ არა, მაგრამ ამ სამუშაოს, რომელიც მე მართობს და რომელმაც უკვე ძალიან შორსაც გამიტაცა, თავს ვეღარ გავანებებ.

აი ჩემი სამუშაო მეცადინეობის შესახებ სწორი ანგარიში. რაც შეეხება ჩემს გეგმებს, თუ სამხედრო სამსახურში ვერ შევედი, ვეცდები გამოვძებნო ჩემთვის რაიმე სამოქალაქო სამსახური აქვე, — რუსეთში კი არა.

მშვიდობით, ვეამბორები თქვენს ხელებს და ველოდები თქვენს წერილებს.

პირდაპირი მისამართია — საქართველო, ტფილისი.

ტფილისში ლ. ნ. ტოლსტოიმ დაჰყო 1851 წლის 1 ნოემბრიდან 1852 წლის იანვრის პირველ ნახევრამდის.

წერილზე აღნიშნულია: გრაფს ლ. ნ. ტოლსტოის. ტფილისი 1851 წ. 23 დეკემბერი.

ლ. ტოლსტოის პირველი მხატვრული ნაწარმოები იყო „ბავშვობა და ყრმობა“, რაც დასტურდება ნ. ნეკრასოვის მიერ ორი წერილით ლ. ტოლსტოისადმი.

ნ. ნეკრასოვი სწერდა ტოლსტოის:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

მივიღე თქვენი ხელნაწერი მოთხრობა (ბავშვობა), მოთხრობა იმდენად საინტერესოა, რომ მე მას დავბეჭდავ. რადგანაც მოთხრობის გაგრძელება არ მაქვს, გადაწყვეტით არ შემიძლია ვთქვა, მაგრამ მე მგონია, რომ ავტორს ტალანტი აქვს. ყველა შემთხვევაში ავტორის მიმართულება, უბრალოება და შინაარსის სინამდვილით ასახვა, ამ ნაწარმოების განსაკუთრებით დიდი ღირსებაა. თუ შემდეგ ნაწილშიაც (როგორც მოსალოდნელია), ასეთივე დიდი სიცოცხლე და მოძრაობა იქნება, კარგი რომანი გამოვა. გთხოვთ გამომიგზავნოთ გაგრძელება. თქვენმა რომანმა და ტალანტმა დამაინტერესა. ამას გარდა მე თქვენ გირჩევდით ნუ ეფარებით ასოებს (ინიციალებს) პირდაპირ დაიწყეთ ბეჭდვა თავისი გვარით, თუ თქვენ შემთხვევითი სტუმარი არ ხართ ლიტერატურაში. ეელი თქვენს პასუხს.

ნ. ნეკრასოვი

ამ წერილს ერთი თვის შემდეგ მოჰყვა 1852 წ. 5 სექტემბერს მეორე წერილი.

„მოწყალეო ხელმწიფევ!

მე გწერდით თქვენი მოთხრობის შესახებ; მაგრამ ახლა ჩემ მოვალეობად ვთვლი კიდევ მოგახსენოთ იმის შესახებ რამდენიმე სიტყვა. მე გადავეცი ის „სოვრემენიკის" IX ნომრისათვის ამოსაწყობად და როდესაც ყურადღებით წავიკითხე კორექტურაში, მოთხრობა ბევრად უკეთესი გამოდგა, ვიდრე პირველად ხელნაწერში წაკითხვის დროს მომეჩვენა. შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ავტორს აქვს ტალანტი. ეს აზრი დადებითი აზრია, თქვენთვის, როგორც დამწყები მწერლისათვის, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჟურნალ „სოვრემენიკის" ნომერი, რომელიც ხვალ გამოვა პეტერბურგში და დაბეჭდილი იქნება თქვენი მოთხრობა.

ჩქარა მოგწერთ დაწვრილებით.

გამომიგზავნეთ თქვენი მისამართი. ვფიქრობ, წიგნს სამი კვირის შემდეგ მიიღებთ. ახლა კი დრო არა მაქვს. ველი თქვენგან პასუხს და გთხოვთ, თუ გაქვთ გაგრძელება, გამომიგზავნოთ. —

ნ. ნეკრასოვი

11

როდესაც ერთ საღამოს მივედით, ტოლსტოის დიდი დარბაზი სავსე იყო სტუმრებით. ტოლსტოის მეგობრები, ტოლსტოის ასული ტატიანა, ვიღაც ახალგაზრდა ქალები, პროფესორი ჩიჩერინი, გლეხი მწერალი სემიონოვი და სხვ. ჩვენ მიგვყვა ტამბოვიდან ჩამოსული ერთი გლეხი, გვარი აღარ მახსოვს, რომელიც სპეციალურად ტოლსტოის სანახავად იყო ჩამოსული. ტოლსტოის მეუღლე, სოფიო, ამ საღამოს შინ არ იყო.

ჩვენ რომ შევედით, თედორე ანდრიას ძე უშაკოვის შესახებ [1] ლაპარაკობდნენ. როგორც ყოველთვის, ტოლსტოი სწუხდა უშაკოვის შესახებ და

[1] თედორე ანდრიას ძე უშაკოვი (1871 — 1927) ტოლსტოის ნაწერების გავრცელებისათვის დაატუსაღეს და შემდეგ გადაასახლეს მოსკოვიდან. უშაკოვმა პატარა ნაკვეთი მიწა იყიდა ბათუმის მახლობლად, ს. ჭანისეულში და თავისი შრომით ირჩენდა თავს. უშაკოვს ქართველები ძალიან უყვარდა და უსაზღვროდ მადლობელი იყო ილიკო ნაკაშიძი-

ილიკო ნაკაშიძეს დაპირდა წერილის მიწერას პეტერბურგში ნაცნობთან, შეიძლება რამე შეღავათი მისცენო.

— ლევ ნიკოლოზის ძევ, — მიმართა მწერალმა სემიონოვმა, — როგორ უნდა მოვეპყრათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ჯარიდან იპარებიან და ცხოვრობენ სოფელში არალეგალურად?

ტოლსტოი მაშინვე მიბრუნდა მისკენ. ცოტა ხანს სდუმდა.

— არა, გამოპარვას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რასაკვირველია. საქმე ისაა, რითი ხელმძღვანელობს ადამიანი. ის, ვინც გაურბის თავის მოვალეობის შესრულებას, მხოლოდ საქმის სიმძიმის გამო, მშიშარაა. აიღეთ დუხობორები: თავიანთი რწმენის გამო არ წავიდნენ სამსახურში და წამება არჩიეს.

— ეჰ, ლევ ნიკოლოზის ძევ, ასეთ გმირობას ვერ მოვთხოვთ საშუალო ადამიანს. გამოიპარა და, მადლობა ღმერთს, დემორალიზაცია ხომ შეიტანა ჯარში, — თქვა პროფ. ჩიჩერინმა.

სა, რომ ურჩია საქართველოში დასახლება. მეზობლებთან მეგობრული, ძმური დამოკიდებულება ჰქონდა. თ. ა. უშაკოვი 1927 წ. დეკემბერში, ღამე ყაჩაღებმა მოჰკლეს გაძარცვის მიზნით. უშაკოვი იმ დღეს ბანკში იყო და ყაჩაღებს ეგონათ, უთუოდ ფული მიიღოო, ნამდვილად კი აღმოაჩნდა 150 მანეთის ჩეკი. მეზობლები აღშფოთებულნი იყვნენ ამ მკვლელობით.

— თუ კაცს თავის საქმის რწმენა აბულდგმულებს, ტვირთი მისი იქნება მსუბუქი. ამის მაგალითი ბევრია, აიღეთ ისეთი სუსტი, გამხდარი კაცი, როგორიც არის ფრანგი სინე. თქვენ იცნობთ იმას, სამხედრო სამსახურზე უარისათვის საფრანგეთის მთავრობამ ალჟირში გაგზავნა. მან დისციპლინური რაზმის რეჟიმი არჩია და ერთ წელიწადს დაჰყო იქ. რაც შეეხება დემორალიზაციას, არ შეიძლება გამოპარულმა კაცმა რამე დემორალიზაცია შეიტანოს ჯარში. ამხანაგები ვერც კი იგებენ მის გაპარვას და თუ გაიგეს, სდუმან. ჩემთან იყვნენ გამოპარული ჯარისკაცები, მე ყველას ვურჩიე, დაბრუნებულიყვნენ ისევ ჯარში და მოეხადათ სამსახური. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავ, რომ მე ომის მომხრე ვიყო, — დაუმატა მან ცოტა სიჩუმის შემდეგ.

მერე ადგა, თავის განიერ, გრძელ „ტოლსტოვკაზე" შემორტყმულ ქამარში ხელები ჩაიწყო და ტამბოველ გლეხთან მივიდა.

— ილია პეტრეს ძემ მითხრა, რომ ჩემთან საუბარი გსურთ, ხვალ 5 საათზე მოდით და ვილაპარაკოთ.

— მინდა ძალიან თქვენთან ლაპარაკი, ლევ ნიკოლოზის ძევ. ცუდად ვიხოვრობდი, ძალიან ცუდად. თქვენი ნაწერები ჩამივარდა ხელში და, მგონია, სწორ გზას დავადექი, მაგრამ მაინც ზოგიერთი კითხვა...

— პაპა, პაპა, — დაუძახა ტატიანა ლეონარდ ლევ ნიკოლოზის ძეს, — აბა, ყური დაუგდე, რას გვიამბობს პროფესორი.

პროფ. ჩიჩერინი სიცილით გვიამბობდა, როგორ მოაწყვეს „უმაღლეს სფეროებში“ საქველმოქმედო საღამო და რა ლექსი დაწერა ამის გამო პოეტმა (ვერ გავიგონე — ვინ). პროფ. ჩიჩერინი განზე გადგა, განსაკუთრებული პოზა მიიღო და პათოსით წაიკითხა (ლექსი მთლიანად აღარ მახსოვს).

Нуждающимся братьям

В пользу голодных я шампанское пил,
В пользу безногих я танцовал,
В пользу слепых я на дам смотрел...

და ამგვარად ჩამოთვლილი იყო ყოველი უბედურებისათვის როგორ მხიარულობს უსაქმო, მოქეიფე ხალხი ვითომდა ღარიბთა დასახმარებლად გამართულ საღამოებზე.

ყველა გულიანად იცინოდა ტოლსტოი პირდაპირ ფერდებზე ხელმოჭერილი ხარხარებდა. ასე გაცინებული მე ის არ მინახავს. უცებ ჩიჩერინმა ხმა დაიდაბლა და რაღაცა უთხრა.

— ჰო, თქვით, თქვით, არა უშავს.

—არ შემიძლია, ლევ ნიკოლოზის ძევ, ქალები არიან.

— ქალებს საყურეები აქვთ ყურში, ვერ გაიგონებენ, — თქვა ტოლსტოიმ.

ჩიჩერინმა მაინც არ თქვა ხმამაღლა, რისი თქმაც უნდოდა. მე მეწყინა, რომ ტოლსტოიმ ასე დასცინა ქალებს. მაგრამ შემდეგში დავრწმუნდი, რომ ის ქალებს მამაკაცებზე დაბლა არ აყენებდა. თუ ავიღებთ მის რომანს „აღდგომას“, სადაც მარია პავლოვნას სახით გამოყვანილი ჰყავს ქალის ტიპი, ნათელი გახდება, რომ მან აზრი ბევრ რამეში შეიცვალა და თუ „ომისა და მშვიდობის“ გმირი ქალის — ნატაშას ტიპი დადებითად მიაჩნდა, „აღდგომაში“ მან სხვა მოთხოვნილება წამოაყენა ქალის დადებითი ტიპისათვის.

ტოლსტოიმ ამ საღამოს გვიამბო სემიონოვის ახალი მოთხრობის შინაარსი. გვიამბო ძალიან თანაგრძნობით, თუ როგორ ითხოვა ცოლი გლეხის კოხტა ბიჭმა და როგორ ჩქარა მობეზრდა უბრალო, მშრომელი ქალი, რომელიც არ აწონებდა თავს არავის და ოჯახზე და ქმარზე ზრუნავდა. ბიჭს კი უყვარდა ცეკვა-თამაში, „გარმოშკა“ და კოხტა გოგოები. ქალი დაჭლექდა და როდესაც მოკვდა, მაშინ მიხვდა ბიჭი, ვინც დაკარგა. ამის შემდეგ მთელი თავისი არსებით შეიყვარა მიცვალებული. სწორედ ჭეშმარიტებაა, რომ ამბობენ: „კაცი რომ მოკვდება, მაშინ გაიგებ ვინც დაკარგეო“, — დააბოლოვა მან. სემიონოვს ის ძალიან აფასებდა. მან თქვა:

— ის წერს სწორედ იმათ ცხოვრებაზე, ვინც რიცხვით დიდ უმრავლესობას შეადგენს — გლე-

ხებზე, რაც მართლაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ჩემი ძველი ნაწერები ეხებიან ხალხის იმ ნაწილს, რომლის ცხოვრების შესახებ წერა და მოსმენა არც კია საჭირო... მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც მწერალს მეძახიან...

— ოოჰ, ლევ ნიკოლოზის ძევ, თუ თქვენ მწერალი არა ხართ, მაშ, ვილაა მწერალი? — მოისმა ჩიჩერინის და სხვების ხმები.

ლევ ნიკოლოზის ძემ გაიღიმა.

— იცით, მე კიდევ ვიმეორებ, მწერლობა არ არის ისე ძნელი საქმე; საამისოდ საჭიროა ერთგვარი „ნახალობა". ჩანს, მე არ მაკლია „ნახალობა", თორემ, ჩემი ძმა ნიკოლოზი ჩემზე ბევრად ნიჭიერი კაცი იყო და, რადგან „ნახალობა" ვერ გამოიჩინა, მწერალი არ გახდა. მე კი, ეტყობა, იგი საკმაოდ მქონდა, — იცინოდა და ჩვენც ყველა ვიცინოდით მის ხუმრობაზე.

ლაპარაკი ისევ ხელოვნებას შეეხო. ამ ლაპარაკში ტამბოველმა გლეხმაც და საყურეებიანმა ქალმაც მიიღეს მონაწილეობა.

საოცარი თვისება ჰქონდა ტოლსტოის: ლაპარაკის დროს მან ისეთი კითხვების დასმა იცოდა და იმგვარად, რომ დამსწრეთა შორის დიდ გამოძახილს პოულობდა. ერთ წუთს არ წყდებოდა საინტერესო ლაპარაკი. მახსოვს, იმ საღამოს ტოლსტოი რამდენიმე წუთით გავიდა რაღაც წერილის გამოსატანად. მთელი საზოგადოება დაჩუმდა,

ჯგუფ-ჯგუფად დაიყო. და როდესაც ლევ ნიკოლოზის ძე დაბრუნდა, მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა.

სხვათა შორის, ლევ ნიკოლოზის ძემ გვიამბო იმ საღამოს, როგორ მივიდა მასთან ერთი ახალგაზრდა კაცი და რჩევა თხოვა. ამ ახალგაზრდას რამდენიმე ათასი მანეთი ვალი დასდებოდა. ახლა ყველაფერი მობეზრებოდა და გადაეწყვიტა ტოლსტოისათვის ეკითხა, რა ცხოვრებისათვის მოეკიდა ხელი, სადმე კომუნაში შესულიყო თუ ცალკე დაეწყო გლეხური ცხოვრება.

ტოლსტოიმ თქვა:

— მე ვუთხარი, ჯერ ვალი გადაეხადა და თუ მოინდომებდა, შემდეგ დაეწყო ახალი ცხოვრება.

— მერე მან რა თქვა? — კითხა ტამბოველმა.

— მგონია, არ მოეწონა.

— რასაკვირველია, ვალის გადახდა ბატონს გაუძნელდებოდა. წარმოიდგინეთ, ლევ ნიკოლოზის ძევ, როდესაც მე ათასობით მეწყო ფული, განგებ ვიღებდი ვალს, მაგრამ, თქვენა გგონიათ, ადვილად ვიხდიდი? მიჭირდა ფულის შელევა. თუ რომელიმე საწყალი მეზობელი სესხად მთხოვდა ფულს, ხუთი მანეთი რომ ეთხოვა, ორზე მეტს ვერ ვიმეტებდი და იმასაც ბევრი ხვეწნის შემდეგ, — თქვა ტამბოველმა.

თორმეტი საათი შესრულდა, ავდექით წამოსასვლელად. როგორც ზევითაც ვთქვი, ტოლსტოის

ჩვეულებად ჰქონდა, 12 საათზე უთუოდ წასულიყო დასაძინებლად. დილით ადრე იწყებდა მუშაობას. არასოდეს ტოლსტოი ღამე არ წერდა. სერიოზული წერა დღისით უნდა, როდესაც გონება დაღლილი არ გაქვსო, — ამბობდა იგი.

გზაში რომ მივდიოდით, ტამბოველი გლეხი გვიამბობდა, როგორ შემთხვევით დაინტერესდა ის ტოლსტოის ნაწერებით და როგორ აიღო ხელი კულაკურ ცხოვრებაზე. ფული, რაც მქონდა, ღარიბ ნათესავებს დავურიგე და ახლა მხოლოდ საკუთარი შრომით ვაპირებ ცხოვრებასო.

— პირველად ძალიან მიძნელდებოდა იმის შეგნება, რომ იესო არ იყო ღმერთი და არ შეეძლო ჩემი სასუფეველში შეყვანა მას შემდეგ, რასაკვირველია, როდესაც ძალიან გავმდიდრდებოდი და ეკლესიას ავაშენებდი. ეკლესიის აშენებას ვაპირებდი. მაგრამ ახლა იესო ადამიანი, იესო ღმერთზე უფრო მიყვარს და მისი მოძღვრება ჩემთვის უფრო ხელმისაწვდომია და ძვირფასი. ყველაფერი ეს ტოლსტოის მეოხებით ვისწავლე და როგორ არ უნდა მიყვარდეს ასეთი კაცი. მან ხომ პირდაპირ სანთელი მომცა ხელში და ბნელი გზა გამინათა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, — განაგრძო მან ცოტა სიჩუმის შემდეგ, — მინდა, წამებაც კი გადავიტანო ჩემი წარსული ცხოვრების მოსანანიებლად. აქ სპასსკის ჭიშკარია, კრემლში, და მითხრეს, ვინც ამ ჭიშკარში გავლის დროს ქუდს არ

მოიხდის, დაიჭერენ და ციხეში ჩასვამენო. მე ამ ჭიშკარში გუშინ სამჯერ გავიარე, ქუდი არ მოვიხადე. მესამეჯერ რომ გავიარე, ვუთხარი პოლიციელს, რომელიც მართლა იდგა იქ ყარაულად, ქუდი არ მოვიხადე და რატომ არ მიჭერ-მეთქი. მან მითხრა: გაიარე, გაიარე, ბევრს ნუ ყბედობ. თუ გინდა დაგიჭირონ, ხვალ გაიარე, სხვა ვინმე იქნება აქ, ის დაგიჭერს, ჩემთვის კი სულერთია, როგორც გინდა, ისე გაიარე, თუ გინდა, ხუთი ქუდი დაიხურეო. შემაგინა კიდეცა. ტამბოველი ძალიან ნაწყენი იყო, რომ ასცდა წამება.

12

ზაფხულში სამშობლოში დავბრუნდი და რადგან მოსკოვის ჰაერს ვერ ვიტანდი, ზამთარშიც აქ დავრჩი. იმ წლის (ე. ი. 1900 წ.) შემოდგომაზე მოსკოვს წავიდა ილიკოს უმცროსი ძმა, ალექსანდრე. ალექსანდრე მოეწონა ტოლსტოის და რამდენჯერმე იყო მის სანახავად, განსაკუთრებით, ავადმყოფობის დროს. ავად კი გახდა შემდეგი მიზეზის გამო. კარგა შებინდებისას შინ მიდიოდა, თურმე. გზაზე დაინახა, რომ ორი პოლიციელი ერთ ქალს სცემს. ალექსანდრე გამოესარჩლა ქალს. მაშინ პოლიციელებმა ქალი მიატოვეს და ალექსანდრეს დაუწყეს ცემა. ეს მოხდა 1901 წლის იან-

ვარში. იმ დროს ალექსანდრე გაცივდა და ძალიან ავად გახდა ფილტვების ანთებით. ტოლსტოი აღშფოთებული იყო ამ გარემოებით და წერილი მისწერა მოსკოვის მაშინდელ ობერ-პოლიცმეისტერს, ტრეპოვს. ტრეპოვმა მოხსნა პოლიციელები სამსახურიდან, მაგრამ ალექსანდრე კინაღამ იმსხვერპლა ამ შემთხვევამ. ტოლსტოიმ თვითონ გამოუგზავნა ალექსანდრეს ექიმი. მეგობრების დაუზარებელმა მოვლამ იხსნა იგი სიკვდილისაგან. ალექსანდრე ყოველთვის იგონებდა, როგორ მიდიოდა მის სანახავად ტოლსტოი და როგორ ალერსიანად ეპყრობოდა მას.

ალექსანდრე იგონებდა, როგორ შეხვდა ის ტოლსტოის, როდესაც მოსკოვში ჩასვლის შემდეგ პირველად ნახა იგი. ილიკო ამ დროს ცხოვრობდა ერთ ძველ ხის სახლში, პატარა ოთახში. ალექსანდრე, თურმე, მარტო იყო, როდესაც შეესმა ძახილი:

— ილია პეტრეს ძევ, ილია პეტრეს ძევ, გამოიხედეთ!

— გავედი და დავინახე, — იგონებდა ალექსანდრე, — ქვევით, კიბის ძირს, იდგა ვილაც მოხუცი და ილიკოს ეძახდა. კიბე დანჯღრეული იყო და ისეთი ვიწრო, რომ ორი კაცი გზას ვერ აუხვევდა ერთმანეთს. „თქვენ ილია პეტრეს ძის ძმა ხართ?“ მკითხა მოხუცმა. მე უცებ ვიცანი ტოლსტოი და ისე დავიბენი, რომ ვერც ერთ კითხვაზე

პასუხი ვერ გავეცი. ვერც სახლში შევიპატიჟე, მაგრამ თვითონ შემოუდგა კიბეს ამოსასვლელად. მაშინ მე თვითონ ჩავირბინე. გაეცინა, ხელი ჩამომართვა და მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი და დაეუწყე ლაპარაკი — ილია პეტრეს ძის ნახვა მინდა და მერე მოვალო, — მითხრა და გამომემშვიდობა. რომ მიდიოდა, კიბეზე აიხედა და მითხრა, ილია პეტრეს ძეს უთხარით, რომ თქვენ კიბეს პალმები აკლია აქეთ-იქით დასამშვენებლად და მაშინ ნამდვილი თავადური კიბე იქნება გრაფების მისაღებად-თქო.

1901 წ. გაზაფხულზე, როდესაც მოსკოვს დავბრუნდი, ტოლსტოის მეგობრები ძალიან აღშფოთებული და აღელვებულები იყვნენ სინოდის განკარგულებით ტოლსტოის მართლმადიდებელ ეკლესიიდან განდევნის შესახებ. არა თუ მეგობრების, მთელი საზოგადოებრიობის მღელვარება გამოიწვია ამ ამბავმა. აღშფოთებულნი იყვნენ სტუდენტები და მწერლები. ქუჩებში და მოედნებზე ხდებოდა საპროტესტო კრებები. ამას მოჰყვა მთავრობის მკაცრი რეპრესიები. ტოლსტოის აუარებელი თანაგრძნობის წერილი და დეპეშა მისდიოდა. ტოლსტოისაც უხდებოდა აუარებელი წერილების წერა როგორც შეკითხვების საპასუხოდ, ისე პრინციპიალური, მთავრობის მიერ მიღებული რეპრესიების წინააღმდეგ. ტოლსტოის მეგობრები უფრო იმიტომ სწუხდნენ, რომ ეს მოუ-

სვენარი ცხოვრება ღლიდა და უფრო და უფრო ასუსტებდა მოხუც ტოლსტოის, და შიშობდნენ, ავად არ გახდესო. ამბობდნენ: მთავრობის რეპრესიები რომ არა, თვითონ ტოლსტოიზე ეკლესიიდან განდევნა გავლენას არ იქონიებდა, რადგან თვითონ ტოლსტოიმ დიდი ხანია დაანება თავი მართლმადიდებლობას, მაგრამ მისი ოჯახი, განსაკუთრებით ცოლი, წუხდა ამის გამო. მან მიწერა კიდეც აღშფოთებული წერილი მიტროპოლიტ ანტონის, სინოდის ობერ-პროკურორს პობედონოსცევს და სხვებს, ვინც ხელი მოაწერა ლევ ტოლსტოის ეკლესიიდან განდევნას.

ყველა ამ გარემოებამ შეაგვიანა ლევ ტოლსტოის გამგზავრება სოფელში. ბოლოს, აღარ მახსოვს, აპრილის დამლევს თუ მაისის პირველ რიცხვებში გაემგზავრა. ამ დროს ილიკო და ყველა მისი მეგობრები ხშირად დადიოდნენ მასთან, და ილიკო ყოველთვის გვიამბობდა ტოლსტოის სულიერ სიძლიერესა და სიმშვიდეზე.

სოფელში წასვლამდის ლევ ნიკოლოზის ძე ჩვენთან მხოლოდ ერთხელ შემოვიდა. ზემოთაც აღვნიშნე, რომ ჩვენ იმ დროს შედარებით ახლოს ვცხოვრობდით — პლიუსჩიხაზე. თან მოჰყვა ალ. იარცევი, ჩვენი საერთო მეგობარი. საღამოს ხუთი საათი იქნებოდა.

— რამდენიმე წუთით შემოვიარე, ნინა იოსების ასულო. თქვენ აღარ მოხვედით. უნდა გამო-

გემშვიდობოთ. ალექსანდრე პეტრეს ძე ხომ აღარ ავადმყოფობს? შინ არ არის? სალამი გადაეცით ჩემს მაგიერ. ილია პეტრეს ძეს უთხარით, რომ ძალიან კარგია მისი თარგმანი ჰენრი ტოროს წიგნის რჩეული აზრებისა [1], უთხარით კიდევ, რომ შემოიაროს ჩემთან, ჰაჯი მურადის შესახებ უნდა ველაპარაკო.

უცებ ლაპარაკის საგანი გამოცვალა და მკითხა:

— იცით, ნინა იოსების ასულო, რა არის лоби? „ლ“ ასო ძალიან რბილად გამოთქვა. მე გამეცინა და ვუთხარი რომ ლობიო და მჭადი ძალიან უყვართ ჩემს სამშობლოში-მეთქი. ჩვენი ხალხი ამბობს: ღმერთმა ჩვენ რომ ლობიო და მჭადი გამოგვიგზავნა, თვითონ რაღა დაიტოვაო. ტოლსტოის ძალიან მოეწონა ეს თქმა და მეორედ გამამეორებინა.

— ნუთუ, ასეთი გემრიელი საჭმელია ლობიო? ერთმა ჩემმა უცნობმა მეგობარმა მთელი ფუთი გამომიგზავნა კავკასიიდან. სადგურ კაზლოვკაშია, ჯერ არ გამომიტანია. მეგობარი მწერს: რადგან თქვენ ვეგეტარიანი ხართ, ლობიო საუკეთესო და ნოყიერი საჭმელიაო.

ამ დროს მან მაგიდაზე ჭადრაკი დაინახა.

— თამაშობთ? — მკითხა.

---

[1] ჰენრი ტოროს რჩეული ნაწერები ილია ნაკაშიძის თარგმანი ცალკე წიგნად დაიბეჭდა „პოსრედნიკის“ გამომცემლობის მიერ რუსულად.

— ცოტას.

— არ ვიცოდი, თორემ გეთამაშებოდით.

— ქალებს მოთმინება არ ყოფნით ჭადრაკის სათამაშოდ, — ჩაერია ლაპარაკში ა. იარცევი.

— მე მგონია, ეგ ქალების კარგი თვისებაა, დედობრივი ინსტიქტი, თორემ, თუ დედები მამებივით გადავარდებიან ჭადრაკის თამაშობაში, детям не сдобровать, — დაუმატა მან ღიმილით.

ლევ ნიკოლოზის ძე იმ დღეს როგორღაც ძალზე ფერმკრთალი და ბეჭებში შარშანდელზე უფრო მოხრილი მეჩვენა.

13

ის ზაფხული ჩვენ სოფელ ბიკოვოში გავატარეთ. ილიკოსა და ალექსანდრეს იქ პატარა ბოსტანი ჰქონდათ, დიდი გატაცებით მუშაობდნენ. ბიკოვოში ცხოვრობდნენ ტოლსტოის და ჩვენი მეგობრები. ილიკო ზაფხულის განმავლობაში რამდენჯერმე იყო იასნაია პოლიანაში და ყოველთვის გაკვირვებით გვიამბობდა, როგორი ლმობიერებით იტანდა ლ. ტოლსტოი ფიზიკურ ავადმყოფობას, სულიერად ისევ ისე მხნეა და ყველაფერი აინტერესებს, წერს წერილებს, სტატიებს, ღებულობს მნახველებს, ებაასებაო. ერთხელ მიამბო თუ როგორ აწყენინა ცოლმა ლევ ტოლსტოის. გლე-

ხებმა, თურმე, თივის ზვინი დადგეს ცუდად. ცოლმა დაიწუნა, ხელფასი არ მისცა, მოთხოვა, ზვინი ხელახლა დაეშალათ და კარგად დაედგათ. გლეხები ამბობდნენ: თუ დავშლით, ფული უნდა დაგვიმატოთო. ბევრი ეხვეწა, თურმე, ტოლსტოი ცოლს, დაუთმე, ხელფასი მიუმატე ან ნუ დააშლევინებ ზვინსო.. მაგრამ ცოლი არ დაეთანხმა და სანამ ზვინი არ დაშალეს და ხელახლა არ დადგეს, არ მიიღო, გასამრჯელოც თავდაპირველი მორიგების ,ვალობაზე გადაუხადა.

ილიკოს წყინდა, რომ ცოლმა ხათრი არ გაუწია ლევ ნიკოლოზის ძეს, რომელიც არ გაუჯავრდა მეუღლეს, არც საყვედური უთხრა, მხოლოდ ძალიან დაღონებული მოშორდა და სასეირნოდ წავედითო.

შემოდგომაზე იასნაია პოლიანადან ჩვენთან ჩამოვიდა ორი ინგლისელი, ისინი ლონდონიდან ჩამოსულიყვნენ ტოლსტოის „მოსარჯულებლად". ორივე სპირიტები იყვნენ, გვარად ფერის და როუ. რადგან ტოლსტოი იმ დროს კარგად ვერა გრძნობდა თავს, სტუმრები მოსკოვში გაგზავნა მეგობრებთან. ჩვენთან მათ გაიცვნეს ჩვენი მეგობრები, — აგრეთვე ქართველი სტუდენტები და პროფ. ა. ხახანაშვილი. ისინი ისევ ტოლსტოისთან აპირებდნენ წასვლას, მისი „შემცდარი" აზროვნების გასასწორებლად. ისინი ამბობდნენ: ტოლსტოი ძალიან ნიჭიერია და დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია

ჩვენი კავშირისათვისო (სპირიტების კავშირისთვის). ცდილობდნენ, ტოლსტოის მეგობრებსა და ახალგაზრდობაზე შთაბეჭდილება მოეხდინათ. მაგიდებიც ატრიალეს. მიცვალებულებსაც გამოუძახეს, ჰიპნოზით დაძინებაც სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, თანაგრძნობა ვერ მოიპოვეს. გადაწყვიტეს წასვლა. ილიკომ გააცილა. გზაში რომ მიდიოდნენ, სამივენი დაატუსაღეს. კარგა გვიან დაბრუნდა ილიკო შინ და სიცილით გვიამბო:

— მივდიოდით და ვლაპარაკობდით მშვიდობიანად. უეცრად ხელი დაგვადვა პოლიციელმა და გვითხრა, დატუსაღებული ხართო. რისთვის-მეთქი? იქ, უბანში, გაარჩევენო. წაგვიყვანეს უბანში. ბოქაული იქ არ დაგვხვდა. იმის ლოდინში ინგლისელებმა სპირიტიზმის გამოყენება მოინდომეს, მაგრამ მრგვალი მაგიდა არ იყო, სკამი არ დატრიალდა და ვერც ერთი მიცვალებული ვერ გამოიხმეს. კარგა ხნის შემდეგ მოვიდა ბოქაული და პასპორტები მოგვთხოვა, წაიკითხა და გვითხრა, თავისუფალი ხართო. ვკითხე, რატომ დაგვიჭირეს-მეთქი, მიპასუხა: ებრაელებს მოსკოვში ცხოვრების ნება არა აქვთ. თქვენ ქუჩაში ებრაულად ლაპარაკობდით, ეს კი აკრძალულია. მე ვუთხარი: ჩვენ ინგლისურად ვლაპარაკობდით, ინგლისური ლაპარაკი კი არ არის აკრძალული-მეთქი. ინგლისური და ებრაული ჩემი პოლიციელებისათვის სულერთია, მათ არც ერთი არ ესმითო. როდესაც ინგლისელებს გა-

დავუთარგმნე და ავუხსენი, რაშიაც იყო საქმე, ძალიან გაუკვირდათ. ფერისმა ერთი თითი მაღლა ასწია და რუსულად თქვა — Бог. ვითომ ღმერთი ერთია ყველასთვისო. ხოლო ბოქაულმა დაგვარიგა: ნურც ინგლისურად, ნურც ბერძნულად და ნურც გერმანულად ნუ ლაპარაკობთ ქუჩაში, ჩემი პოლიციელებისათვის სავალდებულო არ არის არც ქრისტიანული ენების ცოდნაო.

14

შემოდგომაზე, 5 სექტემბერს, ლევ ტოლსტოი ყირიმში წაიყვანეს ავადმყოფი და დასუსტებული. თან წაჰყვნენ: ცოლი, ქალიშვილები — მარია და ალექსანდრა, მათი მეგობარი მხატვარი ქალი ივუმნოვა და ერთი მახლობელი თანამოაზრე და მეგობარი პ. ა. ბულანჟე.

მოსკოვში დარჩენილი, თითქოს დაობლებული მეგობრები მოუთმენლად ელოდნენ ამ მგზავრობის ამბავს. ბულანჟესაგან თითქმის ყოველდღე მოდიოდათ წერილები. შეიკრიბებოდნენ და მხოლოდ ტოლსტოის შესახებ იყო ლაპარაკი. ბულანჟე დაწვრილებით იწერებოდა ამ საოცარი მგზავრობის ამბავს. ეს წერილები შემდეგ დაიბეჭდა კიდევაც. მინდა აქ შემოკლებით მოვიყვანო რამდენიმე ადგილი ბულანჟეს წერილებიდან.

„ბნელ, ცივ საღამოს, ჩავაცვით ქურქი ლევ ნიკოლოზის ძეს და იასნაია პოლიანადან გავწიეთ ტულაში, 15 ვერსის მანძილზე. გზა საშინელი იყო. ცოტაოდენი მანძილი მამულიდან გზატკეცილზე გასვლამდის ჟინჟღილებით მოგვიხდა მგზავრობა. ათ საათზე ჩავედით სადგურზე და მაშინვე გადავიყვანეთ ლევ ნიკოლოზის ძე მისთვის მომზადებულ ვაგონში. იქვე დაგვხვდნენ ლევ ნიკოლოზის ძის გამოსამშვიდობებლად მოსული დანარჩენი მისი შვილები. მატარებელი სამ საათზე უნდა გასულიყო. მგზავრობისაგან ლევ ნიკოლოზის ძე უარესად გახდა. სული ეხუთებოდა. ისევ სიცხე მისცა. არ ვიცოდით, რა გვექნა, გაგვეგებედა და წაგვეყვანა ავადმყოფი ამ მდგომარეობაში თუ არა. გადავწყვიტეთ, გამოგვეწვია ექიმი ქალაქიდან. ექიმმა გასინჯა და გადაჭრით ვერაფერი გვითხრა. რაღაც იდუმალი რწმენა მქონდა, რომ თუ ავადმყოფისათვის საჭიროა სითბო და მზე, მაშინ ხომ ხვალ, როდესაც კურსკს გავცილდებით, წვიმისა, სიცივისა და ჯანღის მაგიერ ნათელი მზე გამოანათებს, სითბო იქნება და ავადმყოფი მოიკეთებს. მგონი, ყველას გადაედვა ეს ჩემი განწყობილება და ვიფიქრეთ, უკან დაბრუნებას და 15 ვერსის საშინელი გზის ეტლით გავლას, სჯობია 500 ვერსი თბილი ვაგონით მგზავრობა. ვარჩიეთ წასვლა.

თითქმის არავის არ დაგვიძინია მთელ ღამეს. შიშით ვადევნებდით თვალყურს ავადმყოფის ყო-

ველ გაფაჩუნებას. დილით ათ საათზე უკვე კურსკში ვიყავით. თბილოდა. მზე აშუქებდა. ავადმყოფმა ძალიან მოიკეთა და ყველანი გავმხიარულდით.

გამხნევებულნი, მხიარული სულიერი განწყობილებით, ყოველივე კარგის მოლოდინში მივუახლოვდით ხარკოვს. მატარებელი იქ 20 წუთს უნდა გაჩერებულიყო. იმედი გვქონდა, დავნაყრდებოდით. როლები გავინაწილეთ, ვის რა უნდა გაეკეთებინა: ვინ უნდა წასულიყო სადგურში სანოვაგის მოსატანად, ვინ უნდა დარჩენილიყო ვაგონში ლევ ნიკოლოზის ძესთან და სხვ. მივუახლოვდით სადგურს და გავშტერდით: ბაქანზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ყველაზე უფრო გამაცვიფრა იმან, რომ არა თუ ბაქანზე, ბაქანის ფარდულის ხარიხებზედაც შეეკუჭკულიყო ხალხი და დაძაბული ყურადღებით მიჩერებოდა ჩვენ მატარებელს.

უცებ აზრმა გამიელვა თავში.

— ლევ ნიკოლოზის ძევ, — ვუთხარი მე, — ეს ხალხი თქვენ შესახვედრად არის მოსული სადგურზე.

— რას ამბობთ, შეუძლებელია, — მიპასუხა მან, ცოტათი დაფიქრდა და მითხრა: — ყოველ შემთხვევაში ჩამოაფარეთ ფარდა ფანჯარას. ეგ რომ მართალი გამოდგეს, ხომ საშინელება იქნება!

შევატყვე, რომ შეშფოთდა და დასუსტდა კიდეც.

გარეთ კი ხალხის გუგუნში გაისმოდა ხმები:

„ტოლსტოი“, „ტოლსტოი“, „ამ მატარებელშია“, „ბოლო ვაგონში“ და სხვ. გამოვედი, მინდოდა ბაქანზე გამეცლო, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა: კარებთან, ვაგონის შესავალში, კიბეებზე და ბაქანზე მოჯარებული იდგა აღელვებული ხალხი. ვიღაც სტუდენტი ეცდრებოდა სოფიო ანდრიას ასულს, გაეშვა ლევ ნიკოლოზის ძესთან დეპუტაცია სალამის გადასაცემად. სტუდენტთან იდგა ვიღაც მოხელე, ისიც სტუდენტთან ერთად ლაპარაკობდა. უკან მოჩანდა ოფიცრის ფიგურა და ისიც ცდილობდა რაღაცის თქმას. სოფიო ანდრიას ასული ეხვეწებოდა მათ, დაწყნარებულიყვნენ, ეუბნებოდა, რომ ლევ ნიკოლოზის ძე ძალიან ავად არის, სუსტად გრძნობს თავს და რომ მიიღოს ვინმე, აღელდება, ყოველი აღელვება კი მისთვის სასიკვდილო იქნებაო.

მე მებრალებოდა ეს მღელვარე ხალხი, მაგ წრფელი გულით უნდოდა იმ ადამიანის ნახვა, რომელსაც ტუზომო პატივს სცემდა.

ლევ ნიკოლოზის ძე ძალიან აღელვებული იყო.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! — ამბობდა ის. — რა მოხდა, რატომ მოვიდნენ? იცით რა, იქნებ მოხერხდეს და ჩქარა გაუშვან მატარებელი?

ვუთხარი, ეგ შეუძლებელია-მეთქი. ვუთხარი ისიც, რომ, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, მიეღო ისინი, ვინც ასე თხოულობდნენ მის ნახვას.

— აჰ, რისთვის, რისთვის, რა საჭიროა, სულ მეტია ახლა ეგ. არ შემიძლია! — ამოიკვნესა როგორღაც უმწეოდ და უფრო მოიკუნტა სკამლოგინის კუთხეში.

ათი წუთი-ღა რჩებოდა მატარებლის წასვლამდის, ეს აუარებელი თავმოყრილი ხალხი როგორღაც დაბნეულად იყურებოდა ჩვენი ვაგონისკენ. ისმოდა ხმები: „ავად არის“, „უიმედო ავადმყოფია“, „წევს“. ბოლოს ლ. ტოლსტოი დათანხმდა და დეპუტაცია შეუშვეს. დაბნეულად, აჩქარებით წარმოთქვა დეპუტაციამ რამდენიმე სიტყვა: მოვიდნენ, როგორც პატივისმცემელი ხალხის წარმომადგენლები, რათა გადასცენ წრფელი სალამი. ლევ ნიკოლოზის ძე ყველასათვის ძვირფასია, ყველა აღელვებულია მისი ავადმყოფობით და ყველას წყურია ჩქარა გაიგონ მისი განკურნების ამბავი მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ და სხვა.

ლ. ტოლსტოიმ იკითხა, ვინა ხართო. როდესაც გაიგო, რომ ერთი სტუდენტი იყო, უსურვა მას, შერჩენოდა წმინდა ახალგაზრდული სულისკვეთება, რომლითაც აღგზნებულია ახლა ის, და თხოვა, მადლობა გადაეცა ყველასათვის, ვინც ის გამოგზავნა.

გავიდნენ თუ არა ისინი, რამდენიმე კაცმა კიდევ ითხოვა შეეშვათ. შეუშვეს ისინიც, როდესაც ისინი წავიდნენ და ხალხმა მოისმინა მათი შთაბეჭდილებანი, გაისმა ხმები: „ვთხოვოთ ლევ ნიკოლო-

ზის ძეს, ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით გვეჩვენოს ფანჯარაში".

ლევ ნიკოლოზის ძე დავთანხმეთ. დასუსტებული და აღელვებული ადგა, დაეყრნო ფანჯარას და სალამი მისცა. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ ქუდი მოიხადა, ყველა მოწიწებით და დიდი პატივისცემით შეჰყურებდა ამ სუსტ, ავადმყოფ, უმწეო ადამიანს, რომელიც ასე ტიტანურად აღვიძებდა ყველას გულში საუკეთესო გრძნობებს".

შემდეგ ბულანჟე წერს, ამ შემთხვევის მერე როგორ ცუდად გახდა ტოლსტოი, მაგრამ შემდეგ როგორ თანდათან მომჯობინდა გზაში. სევასტოპოლში კვლავ მანიფესტაციით შეხვდნენ პატივისმცემლები. იქ მან ინახულა სევასტოპოლის მუზეუმი, სადაც მისი სურათიც ეკიდა. ტოლსტოიმ იცნო ის ადგილები, სადაც 45 წლის წინათ იყო. აგვიხსნა, სად და როგორ იყო განლაგებული ჯარი, სიმაგრეები და სხვ.

ერთ კურიოზულ შემთხვევაზედაც იწერებოდა პ. ა. ბულანჟე:

„ბაიდარის კარების შემდეგ, სანამ ცხენებს გამოსცვლიდნენ და ახლებს შეაბამდნენ ეტლში, ლევ ნიკოლოზის ძემ მოისურვა ცოტა ფეხით გაევლო გზატკეცილზე. მეც თან გავყევი. ნელა მივდიოდით. ლევ ნიკოლოზის ძე იგონებდა ადგილებს, მაგრამ ზოგი ადგილი ვერ იცნო. ამ დროს შეგვხვდა ერთი ახალგაზრდა კაცი, უფრო ნოქარს თუ წვრილად

მოვაჭრეს ჰგავდა. ლევ ნიკოლოზის ძე გამოელაპარაკა, ჰკითხა იმ ადგილების შესახებ. კაცმა აათვალ-ჩაათვალიერა ტოლსტოი. უნდა ეენახათ, რა ამაყად და ზიზღით აძლევდა პასუხს ამ ულბრალო, გრძელხალათიან, ღარიბულად ჩაცმულ მოხუცს. ამ ლაპარაკში ეტლები უკვე შეებათ და სოფიო ანდრიას ასული წამოგვეწია. ლევ ნიკოლოზის ძემ მადლობა გადაუხადა კაცს და ეტლში ჩაჯდა. როდესაც ეტლი წავიდა, კაცმა მკითხა:

— არ იცით, ვინ იყო ის ბერიკაცი?

— გრაფი ტოლსტოი, — ვუთხარი მე.

— როგორ, გრაფი ტოლსტოი? აი, ის ტოლსტოი? მწერალი?

— სწორედ.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — დაიყვირა მაშინ, — რა საზიზღარი (подлец) ვარ, რა ვქენი, — რატომღაც თავზე ქუდი მოიგლიჯა და გზატკეცილზე მტვერში დაანარცხა — როგორ ველაპარაკე, როგორ! მთელ ჩემ სიცოცხლეში ვნატრობდი მენახა და რომ ვნახე... აჰ, რა საზიზღარი ვარ! როგორ ველაპარაკე! ვიღაც სალოცავად მიმავალი ბერიკაცი მეგონა...

მეორე ეტლიც მოვიდა, მეც ჩავჯექი და წავედი, რომ მოვიხედე, კაცი ისევ ისე იდგა იმავე ადგილას და უყურებდა ლევ ნიკოლოზის ძის მიმავალ ეტლს".

ყველას ახარებდა, რომ ტოლსტოიმ ჯერ კიდევ

გზაში მოიკეთა. ყირიმის ნიშვნიერმა ჰავამ და მზემ განკურნა ტოლსტოი ციებისაგან.

მოსკოვში დარჩენილი მეგობრები დაძაბული ყურადღებით ელოდნენ მის ამბავს და ყოველთვის იცოდნენ რა მდგომარეობაში იყო იგი. ორი დიდი ავადმყოფობა—ფილტვების ანთება და მუცლის ტიფი გადაიტანა მან ყირიმში.

15

1902 წლის ივნისის პირველ რიცხვებში მე ბავშვით რამდენიმე კვირით სოფ. ოსიანიკოვოში წავედი, იასნაია პოლიანას მახლობლად, სადაც საზაფხულოდ გაემგზავრნენ ჩვენი მეგობრები — გორბუნოვები.

მატარებელი გაჩერდა სადგურ კაზლოვკა-ზასეკაზე. გადმოვხტით. იქ ეტლი უნდა დაგვხვედროდა და წავეყვანეთ, მაგრამ არც ეტლი და არც მეეტლე არსად ჩანდა. ვიხედებოდი აქეთ-იქით და ვფიქრობდი, რა ლამაზი ადგილებია და როგორ ჰგავს რუსეთის ადგილმდებარეობა ერთმანეთს: ვაკე, ვაკე: ოეთრი, აშოლტილი არყები, თმაგაშლილი ტირიფები, ფართოფოთლებიანი კანკალა ვერხვები, ხოლო ყვავილებით ამოქარგულ მინდორს იქით, შორს, მუქი ტყე. ბაქანზე აქა-იქ ჩილარტნიანი გლეხები და თავწაკრული დედაკაცები მოჩანდნენ.

სიწყნარე იდგა ირგვლივ. არც ხილი, არც სხვა რამ გასაყიდი სადგურზე არ იყო. ეტლის მოლოდინში ჩემოდანზე ჩამოვჯექით.

— თქვენ ხართ, ნინა იოს ბის ასული? — ჰკითხა ჩემესმა ხმა.

მივიხედე. ჩემს წინ იდგა (უცებ შემეშინდა კიდევაც, რომ შევხედე) მოხუცი, გამხდარი ქალი, ისე გამხდარი, რომ ჩვეულებრივი სახის მაგივრ ერთმანეთზე დაფენილი ორი პროფილი გეგონებოდათ.

— დიახ, მე გახლავართ, — ვუთხარი.

— გამარჯობა, სულიკო, გამარჯობა! ჩვენთან მოდიხართ? ეს თქვენი გოგონაა? აბა, გავწიოთ.

— ეტლი არ მოსულა...

— ჰოი, სულიკო, ეტლი აქ არის. მე მარია ალექსანდროვნა ვარ.

— მარია ალექსანდროვნა შმიდტი? ტოლსტოის მეგობარი?

— სწორედ ის.

მან ჩემოდანს ხელი წამოავლო. შემეშინდა არ წაქცეულიყო და მაშინვე გამოვართვი ჩემოდანი.

— რაკი თვითონ გსურთ, სულიკო, წამოიღეთ, — მოჰკიდა ბავშვს ხელი და დავიძარით ვერხვისაკენ, სადაც ჩრდილოში პატარა ძველი შარაბანი იდგა.

— აბა, წყნარად, პიატაჩოკ, ჩემო სულიკო, — უთხრა მან ცხენს და თავზე ხელი გადაუსვა.

პიატაჩოკი ისე წყნარად იდგა, რომ სულაც თუ დაიძვროდა, არ მეგონა, იმდენად დაბერებული ჩანდა. თუმცა გამხდარი არ იყო, მაგრამ სიბერისაგან, თითქოს დამოკლებულიყო და კოჭები დასიებოდა.

— თქვენს მეტი არავინ ჩამომხტარა სადგურზე, — მეუბნებოდა გზაში ის, — აბა, ლევ ნიკოლოზის ძე ყოფილიყო აქ, რამდენი ხალხი ჩამოვიდოდა!

შარაბანზე დასდო ჩემოდანი, ბავშვიც დასვა და მითხრა:

— ჩვენ, სულიკო, ფეხით წავიდეთ, აქ ახლოსაა, 5 ვერსი ან ცოტა მეტი თუ იქნება. არ გაგვიძნელდება. პიატაჩოკი უძლური არ გეგონოთ, ჩვენი წაყვანაც შეუძლია, მაგრამ ტყუილად რაზე შევაწუხოთ პირუტყვი, — ამბობდა ის გაბმით, სასიამოვნო ხმით, თითქოს მღერისო.

უცებ შევკრთი, ბავშვის ჩამოყვანაც განვიზრახე, მაგრამ არ დამანება.

— არა, არა, ბავშვი იყოს. ჯერ კიდევ საკმაოდ ღონიერია, ყოველდღე ტულაში დავდივარ, რძეს და ბოსტნეულს ვყიდი. აქ სააგარაკო ადგილი როდია, აქ არაფერი არ იყიდება. ახლა ცოტა ფეხები ტკივა, — მეუბნებოდა გზაში, ხელში აღვირი ეჭირა, წინ მიუძღოდა ცხენს, რომელიც ყურების ფართხუნით დინჯად მიაბიჯებდა.

ოვსიანიკოვო ტოლსტოიმ ქალიშვილის, ტატიანას, მამული იყო. დიდი სახლი დამწვარიყო და გადარჩენილ ოთხ თუ სამთვალა ჩვენებური ოდის მსგავს ფლიგელში ცხოვრობდნენ სააგარაკოდ ჩამოსული გორბუნოვები. მიწურ სამზარეულოში, რომელიც ახლა ორად იყო გაყოფილი, ზამთარზაფხულ ცხოვრობდა შმიდტი.

მარია ალექსანდრეს ასული შმიდტი, ტოლსტოის მეგობარი, ნამდვილი მიმდევარი იყო ტოლსტოის მოძღვრებისა. მოხუცი, სუსტი, ავადმყოფი ქალი თავისი შრომით ცხოვრობდა. უვლიდა ცხენს, ძროხას და ძაღლს, უვლიდა მათ, ეალერსებოდა როგორც ბავშვებს და ცალკე უმზადებდა საჭმელს. ჰქონდა მშვენიერად დამუშავებული ბოსტანი.

ჩვენ რომ მივედით, პირველი, რაც თვალში მეცა, ეს იყო ხენდროს „პლანტაცია", როგორც თვითონ ხუმრობით უწოდებდა იმ პატარა ადგილს, სადაც ხენდროს კვლები იყო გაშენებული.

თავისუფალ დროს ის ამ „პლანტაციაში" ტრიალებდა, წმენდდა, ასუფთავებდა, აცლიდა მეტ „ულვაშებს" და ფოთლებს, რწყავდა. როდესაც ხენდრო შემოდიოდა, ღაღადობითაც (ის და ძაღლი პლანტაციასთან იძინებდნენ), ყარაულობდა, რომ სოფლის ბიჭებს არ მოეპარათ. რასაკვირველია, ხშირად არა, მაგრამ მაინც ჰპარავდნენ. იცოდნენ, რომ კეთილი „ბებია" არავისთან არ დააბეზღებდა მათ. გლეხებში დიდი პოპულარობა ჰქონ-

და მოპოვებული შმიდტს. დახმარებას უწევდა რჩევა-დარიგებით, წამლებით და ტოლსტოის საშუალებით ებრძოდა იმ ჩაგვრას, რასაც ისინი იტანდნენ მეფის მოხელეებისგან. განსაკუთრებით ქალები ეცოდებოდა. დიდი შრომა დაჭირდა, რომ სწორედ ქალებს დახმარებოდა და სოფელში „მონოპოლკა“ არ გაეხსნათ. ამისათვის სოფლის ქალებმა მარია ალექსანდროვნას საშუალებით ფული ისესხეს და 400 მან. ქრთამიც კი გაიღეს, ტოლსტოიც ჩაერია ამ საქმეში და სოფელი გადაარჩინეს ლოთობას.

მარია ალექსანდროვნა შმიდტი ქალთა ინსტიტუტში იყო გაზრდილი. კურსის დამთავრების შემდეგ მასწავლებლად იყო. ძალიან მორწმუნე ვიყავი და როდესაც პირველად გავიგე, ტოლსტოიმ ახალი სახარება დაწერაო, კინაღამ გადავირიე, — მიამბობდა ის. აღვშფოთდი, როგორ გაბედა ამისთანა მკრეხელობა-მეთქი. მძულდა ტოლსტოიო, მაგრამ მაინც მინდოდა გამეგო, რას წერდა ისეთს, რომ ბევრი ჩემი ნაცნობი აღტაცებული იყო. დიდხანს ვებრძოდი ფიქრს ამ სახარების შესახებ, ვერიდებოდი მისი სახელის ხსენებასაც. მაგრამ ბოლოს ვიფიქრე, მასწავლებელმა, რომელსაც ამდენი ბავშვი აბარია ალსაზრდელად, უნდა იცოდეს მოწინააღმდეგის აზრი, რათა ებრძოლოს მას. ამ მიზნით წავედი ამ „სახარების“ სასყიდლად, დავიარე მთელი წიგნის მაღაზიები, ბიბლიოთეკები და ვერ ვი-

შოვე. თურმე, წიგნი აკრძალული იყო და იმიტომ მიყურებდნენ გაკვირვებულნი, როდესაც ვკითხულობდი.

შემდეგ თვითონ ტოლსტოისთან წავედი და რომ მივედი, ტოლსტოი უნდობლად შემხვდა. მაშინ, სულიკო, ასე კი არ ვიყავი უბრალოდ ჩაცმული, კორსეტში და არშიებში ვიყავი გამოწყობილი. დიდი მუდარის შემდეგ მათხოვა ლევ ნიკოლოზის ძემ წიგნი, რადგან მასაც ერთი ცალი ჰქონდა. ამ სახარებამ მთლად შეცვალა ჩემი მსოფლმხედველობა. სახარებას მოჰყვა სხვა აკრძალული წიგნების წაკითხვა და გადავწყვიტე, მასწავლებლობისათვის თავი დამენებებინა, დავსახლებულიყავი მიწაზე და ჩემი შრომით მერჩინა თავი".

მე რომ ვნახე შმიდტი, 60 წელზე მეტის იქნებოდა, მაგრამ ენერგიით სავსე იყო, მხიარული, ალერსიანი. ყველას, ვინც კი მას იცნობდა, უყვარდა ეს სტუმართმოყვარე, კეთილი დედაბერი. ტოლსტოი ძალიან აფასებდა და პატივს სცემდა მას. ეს ჩანს მასთან მიწერ-მოწერიდან. ბევრი მეგობარი და თანამგრძნობი ჰყავდა. ხშირად მოდიოდა ვინმე და დახმარებას უწევდა: დაუბრავდა ბოსტანს, დაუმზადებდა თივას საქონლისთვის. — სწორედ ჩვენს მისვლამდე იყო მასთან ტოლსტოისა და მისი საერთო მეგობარი, საზღვარგარეთ განათლებამიღებული, მდიდარი ფაბრიკანტის — აბრიკოსოვის შვილი, ხრისანფ ნიკოლოზის ძე აბრიკოსოვი, რო-

მელიც ეხმარებოდა მას თივის დამზადებასა და ბოსტნის დამუშავებაშიც, აგრეთვე დადიოდა ტულაში შარაბანით და რძესა და ხაჭოს ჰყიდდა, ტულიდან კი მოჰქონდა საჭირო სანოვაგე. აბრიკოსოვი მოსკოვს წავიდა და დაპირდა, ხენდრო რომ დამწიფდება, ისევ მოვალ და გაგიყიდო.

ვინც კი მოვიდოდა ოვსიანიკოვოში, მარია ალექსანდრეს ასული პირველად თავის ხენდროს „პლანტაციას" აჩვენებდა.

— რა მშვენიერია, რა მოვლილია, რა დიდრონი ხენდროები გამოუსხამს (მაშინ უკვე შეწითლებული იყო), — ამბობდა ყველა.

— ეს რა არის, სულიკო, — გვითხრა ერთხელ მარიამ შმიდტმა, — შარშანწინ ერთი ხენდრო გაიზარდა, ისეთი დიდი, წითელი და ლამაზი, რომ თვალს ვერ მოაშორებდი. იზრდებოდა და იზრდებოდა ეს ხენდრო. ჩამოიწია ძირს, ნაფოტი შევუდევი, რომ მიწაზე არ გაფუჭებულიყო. დამწიფდა. ვფიქრობ, როგორ უნდა გავყიდო ასეთი მშვენიერი რამ, ვინ იცის, იქნებ, ვინმე არამზადამ შეჭამოს-მეთქი, ვუყურებ და ვნატრობ: რა კარგი იქნება, ლევ ნიკოლოზის ძე მოვიდოდეს... აკი მართლა არ მოვიდა საღამოთი ცხენით, ისეთი მხიარული. მაშინვე სამოვარი დავდგი, ჩაი მოვამზადე, და სწორედ ჩემს „პლანტაციასთან" მივართვი. ხენდრო მოვწყვიტე, ლამბაქით დავდგი მაგიდაზე და ვუყურებ. ლევ ნიკოლოზის ძემ ერთხანს უყურა,

მერე ჯიბის დანა ამოიღო, ცოტა-ცოტას სჭრიდა, ჩაის ატანდა და ამბობდა თავის ქნევით: „რა კარგია, აჰ, რა გემრიელია! აბა, რომელი შაქარი შეედრება ამას? რა მშვენიერია, სურნელოვანი!“ აი, სულიკო, ხენდრო ის იყო, მთელ დედამიწის ზურგზე ცნობილ, უპირველესს ადამიანს მოაწონა თავი...

1902 წელს ოვსიანიკოვოში ხშირად მოდიოდა ლევ ტოლსტოის ამბავი. ამბობდნენ, ჩქარა ჩამოვაო, მაგრამ დაბეჯითებით არ იცოდნენ, როდის უნდა ჩამოსულიყო. გორბუნოვებისას ხშირად მოდიოდნენ სტუმრები მოსკოვიდან და, როგორც ყოველთვის, ტოლსტოის შესახებ იყო ლაპარაკი. დუხობორები უკვე დაბინავებულნი იყვნენ კანადაში. უმეტესობა, ვინც ისინი გააცილა, უკვე დაბრუნდა რუსეთში.

ივანე გორბუნოვის მეუღლე, ელენე ევგენისასული, სწორედ იმ დროს ადგენდა სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოს და მთელი დღეობით უჯდა თავის წიგნებს და მუშაობდა. იმავე დროს პაწია ძუძუთა ბავშვი ჰყავდა. მის დაღლილ, მშვენიერ, ლურჯ თვალებს რომ ვუყურებდი, მებრალებოდა, თანაც ნშურდა მისი მოღვაწეობა. მეც ვოცნებობდი მაშინ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე.

ჩვენს იქ ყოფნის დროს გორბუნოვებს ესტუმრა ექიმი ქალი — ვერა მიხეილის ასული ველიჩკინა, ვლადიმერ დიმიტრის ძე ბონჩ-ბრუევიჩის მე-

ულლე. ცოლ-ქმარი კანადაში იყვნენ ნამყოფი. ვ. მ. ველიჩკინა 1899 წ. წაჰყვა, როგორც ექიმი, დუხობორების მეოთხე გემს, დარჩა დუხობორებთან კანადაში ერთ წელიწადს, სანამ ისინი დაბინავდებოდნენ და მოეწყობოდნენ.

ველიჩკინა ძალიან საინტერესო ადამიანი იყო. სოც-დემოკრატი იყო, მაგრამ ძალიან მეგობრობდა ტოლსტოის, ჰქონდა მასთან მიწერ-მოწერა. უწინ ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ტოლსტოისთან შიმშილობის დროს. ერთხანს კიდევაც ცხოვრობდა ტოლსტოის ოჯახში და ეხმარებოდა, როგორც მდივანი. ტოლსტოის ცხოვრების შესახებ ხშირად მოგვითხრობდა სხვადასხვა ამბებს. მას აკვირვებდა ტოლსტოის უბრალოება, თავდაბლობა, ნამდვილი დემოკრატობა, გულკეთილობა.

თავის ნაცნობებში (თავისი მეუღლის, ბონჩ-ბრუევიჩის, ჩათვლით) ყველაზე მაღლა აყენებდა ტოლსტოის და ლენინს. ეს ორი კაცია ამჟამად ქვეყნიერებაზე საინტერესო და ამ ადამიანების დროს ცხოვრება ბედნიერებაა თანამედროვე ხალხისათვისო. რასაკვირველია, ლენინი ახალგაზრდაა, მაგრამ დიდ გავლენას მოახდენს ცხოვრებაზეო.

ტოლსტოის მახლობლად ცხოვრებას საუკეთესო დროდ თვლიდა თავის სიცოცხლეში. დიდ უბედურებად მიაჩნდა, რომ პირად ცხოვრებაში ტოლ-

სტოი ბედნიერი არ იყო. ტოლსტოის ცოლი ქსანტიპაზე [1] უარესიაო, — ამბობდა.

სხვათა შორის, მან გვიამბო, როგორ ერიდებოდა ტოლსტოი აურზაურს და წყენას ოჯახში.

— როდესაც სოფიო ანდრიას ასული შინ არ იყო, ჩვენთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. ლევ ნიკოლოზის ძე გვაერთებდა ყველას და არავითარ სოციალურ განსხვავებას არა ვგრძნობდით, — გვიამბობდა ველიჩკინა. — ერთხელ, საღამოთი, ვისხედით იასნაია პოლიანაში მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე და ჩაის შევექცეოდით. ლაქიაც, მზარეულიც და ჭურჭლის მრეცხავიც ჩვენთან ისხდნენ, ყველანი მხიარულად ვიყავით. ლევ ნიკოლოზის ძე სიცილით მოგვითხრობდა რაღაცას. სოფიო ანდრიას ასული მოსკოვს იყო წასული რამდენიმე დღით და იმ საღამოთი სრულიად არ ველოდით. უცებ გაისმა ზარის წკარუნი. ვიღაცამ დაიძახა, გრაფინია მობრძანდაო. ყველანი წამოვცვივდით. ყველაზე უწინ ლევ ნიკოლოზის ძე წამოხტა და დაფაცურდა. აბა, ჩქარა სუფრაო, — დაიძახა. მაშინვე გაჩნდა სუფრა, სამოვარი თავის ადგილას წამოიჭიმა, ფინჯნები წესიერად დალაგდა და როდესაც გრაფინია შემოვიდა, ყველაფერი რიგზე დახვდა, მოსამსახურეები ყველანი გაქრნენ და თეთრხელთათმანიანი ლაქია ჩაის ასხამდა.

---

[1] ქსანტიპა — ბერძენ ფილოსოფოს — სოკრატეს მეუღლე იყო, ძალიან კაპასი ქალი.

სოფიო ანდრიას ასულმა კრიტიკულად გადაგვავლო თვალი, კმაყოფილი დაჯდა და მოგვიყვა მოსკოვის ამბებს.

ველიჩკინა სოფელში დადიოდა, ექიმობდა ავადმყოფებს და ყოველთვის შეწუხებული ბრუნდებოდა. ასეთი სილატაკე და სიბნელეა და ეს ხდება ტოლსტოის მახლობლად, რაც პირდაპირ გაუგებარია. მღვდლისა და დიაკვნის გარდა, ყველას საქათმის მსგავსი ქოხი აქვს, ყველანი კვამლში იხრჩობიანო.

ერთხელ დამიძახა და აღშფოთებულმა მითხრა:

— აბა, ერთი მოუსმინეთ, რას ამბობს ეს ქალი. აბა, მოჰყევი, — მიუბრუნდა ის ხანშიშესულ ქალს, რომელიც იჯდა და ელოდა მას, ველიჩკინას, სოფელში ავადმყოფთან წასაყვანად.

— რა უნდა გიამბო, ჩემო მტრედო, — დაიწყო ქალმა გაჭიანურებულ-წამღერებული ხმით, — ჩვენ რანი ვართ, გლეხობა ღმერთს კი არ გაუჩენია, ეშმაკმა, სატანამ გააჩინა, ჩემო მტრედო, თავადაზნაურები — აი, ისინი ყოფილან ღვთის გაჩენილები. სამღვდელო წოდებაც ღვთის ნებით არის, თურმე, მოვლენილი... ამიტომ...

— არა, შენ ისა თქვი, ვინ გითხრა ეგ აბდაუბდა.

— ჩვენმა ფოფოდიამ გვიამბო, ის ხომ ნასწავლია. ამბობს, ასე წერია წმინდა წიგნებშიო. წმინდა

წიგნები კი ანგელოზების დაწერილია და ამიტომ სარწმუნოა.

— შენს მეტს, ალბათ, არავის არა სწამს ეგ.

— რას ამბობთ, მთელ სოფელს სწამს, ჩვენ კი არა, კრაპივენსკის მაზრაში ვიყავი, იქაც იციან, რომ ჩვენ, ბლეხობა, სატანას ხვედრი ვართ და არასოდეს გაგვიშვებს ბრჭყალებიდან.

— თქვენ ლევ ტოლსტოის სახელი არ ვაგიგონიათ?

— ოჰ, როგორ არა, ჩემო მტრედო, — გაიღიმა ქალმა, — კაი ბატონი იყო, მაგრამ ის ხომ შეაჩვენეს ჩვენმა არქიელებმა. ფოფოდია ამბობს, ივის სახელის ხსენებაც დიდი ცოდვაა, არაფერი დაეჯერებაო.

— არა, მე არ წამოვალ თქვენი ავადმყოფის სანახავად, — გაჯავრდა ველიჩკინა, — ფოფოდიას უჯერებთ სისულელეებს და ჭკვიან, გენიოს ტოლსტოის არ უჯერებთ, არა, არ წამოვალ...

— შენი ნებაა, ჩემო მტრედო. თუ სატანას ნება არ იქნება, ვერაფერი წამალი ვერ მოარჩენს, სულ ერთია.

— ჰოდა, არ მოვდივარ!

ამ დროს მარია ალექსანდრეს ასულმა მოირბინა.

— რას ამბობ, სულიკო, უთუოდ წაჰყევი. განა ლევ ნიკოლოზის ძემ არ იცის ეს ამბავი? მაგრამ მისი ყოვლისმოყვარე, ბრძენი გული განა არ იბრ-

ძვის ბნელი ხალხისათვის? ასეთი ბნელი ხალხია აქ. არც ერთი წერაკითხვის მცოდნე არ არის სოფელში და ის პატარა ბიჭები, ჩემთან რომ დადიან ჩუმად და ანბანს სწავლობენ, განა ლევ ნიკოლოზის-ძე არ მაძლევს ქაღალდს და წიგნებს მათთვის?

მოსკოვიდან ჩამოვიდნენ გორბუნოვი და ილიკო. ძალიან გახარებულნი იყვნენ, რომ ლევ ნიკოლოზის ძე ჩქარა უნდა დაბრუნდეს ყირიმიდანო. ეს იყო ივნისის ბოლო რიცხვებში. სწორედ ივნისის ბოლო რიცხვებში ჩვენ, ე. ი. მე და ბავშვი, წამოვედით საქართველოში და მხოლოდ სექტემბერში დავბრუნდით მოსკოვს.

16

როგორც უკვე მოვიხსენე, ილიკო გადასახლებული იყო ამიერკავკასიის ფარგლებიდან 5 წლით. ეს ხუთი წელი მან მოსკოვში დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი თვით ჩამოვიდა თბილისში ჩუმად. მიუხედავად იმისა, რომ ტოლსტოი და მისი მეგობრები გულით უყვარდა და მათ მსოფლმხედველობას იზიარებდა, ძალიან ემძიმებოდა ცივ, ხანგრძლივ თოვლით დაბურულ მოსკოვში უმზეოდ ცხოვრება და სწყუროდა სამშობლოში დაბრუნება.

ეუბნებოდნენ, ნებართვა უნდა ითხოვო და იქნება დაგაბრუნონო. ნებართვის თხოვნა ილიკოს არ უნდოდა და გადავწყვიტეთ უნებართვოდ წამოვსულიყავით.

1903 წლის თებერვალში გამოვწიეთ თბილისი-სკენ. გადაწყვეტილი გვქონდა შეგვეარა დიდი მოხუცის სანახავად და გამოსამშვიდობებლად იასნაია პოლიანაში, სადაც ის მთელ ზამთარს ცხოვრობდა ავადმყოფობის შემდეგ ყირიმიდან დაბრუნებული.

ჩამოვხტით სადგურ კაზლოვკა-ზასეკაზე, დავიქირავეთ მარხილი და გავწიეთ იასნაია პოლიანაში.

თოვდა. ირგვლივ გადათეთრებული მიდამო იყო გადაშლილი. აქა-იქ თოვლით დატვირთული, დადრეკილ-ტოტებიანი ხეები ამართულიყვნენ. შორს, თეთრ ბურუსში, მოჩანდა გატიტვლებული ტყე. არ ყინავდა. მეეტლე იქაური სოფლელი აღმოჩნდა, ლაპარაკის მოყვარული. ლანძღავდა ზამთარს, რომ ასე ადრე დათბა და ზამთარი ზამთარს არა ჰგავსო. გზაში სულ ტოლსტოის შესახებ გველაპარაკებოდა: კარგი კაცია, ყველას გვიყვარს, ძალიან ებრალება საწყალი ხალხი და ეხმარებაო ძალიან. უწინ სკოლა ჰქონდა ბავშვებისათვის. მამაჩემი მისი მოწაფე იყო. მთავრობამ დახურა სკოლა, მაგრამ მისი მეოხებით ჩვენს სოფელში ყველამ იცის წერა-კითხვა და ყველა ვკითხულობთ მის დაწერილ წიგნებს. ზღაპარი „ივანე სულელი" ჩვენთვის დაწერა, თურმე. რა ხალხი გინდა, რომ მის სანახავად არ მოდიოდეს. ამას წინათ ამერიკელები მოვიყვანე, უფრო ადრე ჩინელები იყვნენ, სპარსეთიდანაც მოვიდნენ. მოდიან და კითხულო-

ბენ: სად ცხოვრობს აქ თქვენი ბრძენი წინასწარ-
მეტყველიო და ჩვენც ვიცით, რომ ლევ ნიკოლო-
ზის ძეს კითხულობენ. თქვენ უნდა ნახოთ ზაფ-
ხულობით: დილით გამოვა თუ არა სახლიდან,
აუარებელი ხალხი ელის ხის ქვეშ. მოდიან სხვა-
დასხვა რჩევისათვის, ნუგეშისათვის, ჭკუის სას-
წავლებლად. ყველას მოუსმენს, ყველას დაამშვი-
დებს.

ამ ლაპარაკში მივაღწიეთ ტოლსტოის ეზოს
ფართოდ გაღებულ კოშკებიან ჭიშკარს. სახლამდის
კარგა დიდი მანძილი გავიარეთ ხეივნით.

იასნაია პოლიანას სახლი ძალიან ჰგავდა მოსკო-
ვის სახლს. ისიც ორსართულიანი იყო, მიშენებული
ნაწილებით. შევედით ქვემოთ დერეფანში და პირ-
დაპირ მეორე სართულში ავედით. მთელი ოჯახი
თავმოყრილი იყო. ის-ის იყო სადილი გაეთავები-
ნათ და სუფრას ალაგებდნენ. ლევ ნიკოლოზის ძე
ჭადრაკის სათამაშოდ ჯდებოდა.

ტოლსტოიც და სოფიო ანდრიას ასულიც ალერ-
სიანად მოგვეგებნენ. გამაცვნეს თავიანთი შვილე-
ბი, რადგანაც ყველას მე არ ვიცნობდი. უფროსი
შვილი, ილია, რომ შევხვედე, ლევ ნიკოლოზის ძე
მეგონა, სახის მოყვანილობით ისე ჰგავდა მამას,
უკვე ჭაღარა, გრძელწვერიანი კაცი იყო, მხოლოდ
უფრო მოსული და მხარბეჭიანი. მერე — ლევ
ლევის ძე კი ცოტა გამხდარი, სუსტი, მაღალი კაცი
იყო. სულ არა ჰგავდა თავისიანებს.

მაშინვე მაგიდასთან დაგვსვეს და ვეგეტარიანული სადილი მოგვიტანეს: წვენი და ბრინჯით და სოკოთი დაგუფთული კომბოსტო. ლევ ნიკოლოზის ძე გვერდით მიუჯდა ჩვენს ბავშვს და სულ აცინებდა. როდესაც კომპოტი მოუტანეს, ჩქარ-ჩქარა დააყარა კითხვები:

— მაკა, მოგწონს კომპოტი? კარგია? ცუდია?..

ბავშვმა პასუხი ვერ მოასწრო.

— ჰო, არა, ჰო, არა, — მიუგო მან.

— აი, სონია, — უთხრა ცოლს ტოლსტოიმ სიცილით, — შენი კომპოტი არ მოეწონა მაკას.

— არა, არა, მომეწონა! — წამოიძახა სწრაფად მაკამ.

— აი, ხედავ, მოეწონა, — თქვა სოფიო ანდრიას ასულმა, გადაუსვა ბავშვს თავზე ხელი და კუთხის მაგიდას მიუჯდა ხელსაქმით.

სუფრა აალაგეს და სანამ ჩაის მოამზადებდნენ, შიგნით ოთახიდან გამოვიდა ორი მოხუცი მონაზონი. ლევ ნიკოლოზის ძემ გამაცნო ისინი; ერთზე, რომელიც უფრო მოხუცი იყო, მითხრა, ჩემი და, მარია ნიკოლოზის ასულიაო. მას კი უთხრა: ილია პეტრეს ძეს ხომ იცნობ, ეს მისი მეუღლეა.

— აჰ, რა მიხარია, ძალიან გულით მინდოდა კავკასიელი ქალის ნახვა და ამისრულდა სურვილი...

— კავკასიელი კი არა, ქართველი. მაშა, ქართველებს არ უყვართ, როდესაც კავკასიელებს ეძა-

ხიან. ქართველები ძალიან ძველი ხალხი ყოფილა. გახსოვს, მაშა, გიამბე, ალექსანდრე ნიკიფორეს ძის მეგობრებმა, სტუდენტებმა, გადმომცეს-მეთქი, რომ ორი ათასი წლის წინათ საქართველოს რომის სარდალი — პომპეუსი შესევია თავისი ჯარით და ქართველებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ-მეთქი, რადგან ძალიან შეიარაღებულნი ყოფილან და ომის წესებიც კარგად ცოდნიათ. ერთი ისეთი მაგარი ციხე ჰქონიათ, — ლევ ნიკოლოზის ძე ცოტა შეჩერდა, — ილია პეტრეს ძევ, — დაუძახა ილიკოს, — ის რა ქალაქი იყო საქართველოში, თანაგრძნობის დეპეშა რომ გაუგზავნეს გარიბალდის ოჯახს გარიბალდის გარდაცვალების გამო?

— გორი.

— დიაღ, დიაღ, გორი. ყველამ იცოდა, რომ ეს გორი სადღაც რუსეთშია, მაგრამ არსად რუკაზე აღნიშნული არ იყო და არავინ იცოდა ზუსტად სად იყო. არც მე ვიცოდი, რასაკვირველია. ჰოდა, აი ეს გორის ციხე ვერ აუღია პომპეუსს თავის ახალგამოგონებული დიდი მანქანითაც კი... ხედავ, მაშა, ქართველები რომაელებივით განათლებულნი ყოფილან მაშინ, — უთხრა სიცილით დას და დაუმატა, — ციხე ახლაც დგას, თურმე. გინახავთ ეს ციხე, ნინა იოსების ასულო? არა? — გაუკვირდა. ჩვენი მეგობარი, ე. ი. ჩემი და დუნაევის მეგობარი სტუდენტები, ყველანი ყოფილან გორში და ეს შესანიშნავი ციხეც უნახავთ.

— აბა, აქეთ დაბრძანდით, მელაპარაკეთ, — მითხრა ტოლსტოის დამ, ხოლო თვითონ მაშინვე ტოლსტოის შესახებ დამიწყო ლაპარაკი.

ლაპარაკის მანერით ძალიან ჰგავდა თავის სახელოვან ძმას.

— ვერ წარმოიდგენთ, — მითხრა მან, — რა ჭკვიანი და კარგია ჩემი ძმა. ყოველთვის ასეთი იყო. ჩვენი დედ-მამის შვილებში ყოველთვის ირჩეოდა: რა საუცხოო წიგნებს წერდა და წერს. ხომ გაქვთ წაკითხული „ბავშვობა და ყრმობა", მოთხრობა? იქ რომ პატარა გოგონაა აწერილი, ლიუბოჩკა, ის მე ვარ. შემდეგ კიდევ რამდენი რა დაწერა. მთელ ქვეყნიერებაზე გაითქვა სახელი. მაგრამ... მაგრამ, რაც მთავარია, — ამბობდა ის გულისტკივილით, — ჩვენს მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე ხელი აიღო. ეკლესიაში არ დადის. ამბობს, იესო ქრისტე ღმერთი არ იყოო, ისეთი კაცი იყო, როგორც ყველა, მხოლოდ ჭკვიანი და დიდებულიო... მე არაფერს მიჯერებს... ახლა სულ მისთვის ვლოცულობ... მაგრამ რას ვამბობ... — უცებ შემომხედა, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა, — იქნება, თქვენ მისი თანამოაზრე ხართ... თქვენთვისაც ვილოცებ...

ლევ ნიკოლოზის ძე ილიკოს ელაპარაკებოდა. ბავშვიც მასთან იდგა ხელჩაკიდებული.

— დიახ, უთუოდ გესტუმრებით საქართველოში, ვნახავ კიდევ საქართველოს მზეს. ავდგები და წამოვალ, აი, როგორ მოვიქცევი, — ამბობდა სი-

ცილით — აი, სონია, — მიმართა მან მეუღლეს, — ილია პეტრეს ძე მეპატიჟება თავის ქვეყანაში.

— მე კი არ მეპატიჟება?

— თქვენც, რასაკვირველია, — უთხრა სწრაფად ილიკომ.

— ახლა უკვე გვიანაა, წამოვიდეს მარტო ლევ ნიკოლოზის ძე, — თქვა მან, თუმცა ხუმრობით, მაგრამ როგორც მომეჩვენა, უკმაყოფილოდ.

შემოიტანეს ჩაი. ისევ მოიყარა ყველამ თავი. ლევ ლევის ძემ გაზეთი გამოიტანა და ჰკითხა თავის მამას:

— წაიკითხე, მამა, მენშიკოვის[1] წერილი?

ლევ ნიკოლოზის ძე ოდნავ შეიჭმუხნა.

— წავიკითხე, შესამჩნევად იცვლება მისი აზრები. თანდათან უარყოფს, რაც უწინ სწამდა.

— მე მგონია, ბევრ რამეში მართალია მენშიკოვი.

— მაგრე ფიქრობ? თვითონ უთუოდ ფიქრობს, რომ ყველაფერში მართალია, — თქვა ტოლსტოიმ ღიმილით.

ყველანი გრძელ მაგიდას შემოვუსხედით.

მე ლევ ლევის ძის გვერდით მოვხვდი. ჩვენს პირდაპირ, მეორე მხარეს, ისხდნენ ლევ ნიკოლოზის ძე, ილიკო, ჩვენი ბავშვი, ტოლსტოის და, მა-

---

[1] მენშიკოვი — პუბლიცისტი-მწერალი პირველ ხანებში ტოლსტოის ეთანხმებოდა ბევრ საკითხში, შემდეგ კი ჩამოშორდა.

რია ნიკოლოზის ასული, და სხვები. სუფრის თავში სოფიო ანდრიას ასული იჯდა.

ჩაის დროს ლევ ნიკოლოზის ძეს წერილების გროვა მოუტანეს. მან მაშინვე დაიწყო გახსნა: ზოგს რომ გახსნიდა, წაიკითხავდა ერთ-ორ სტრიქონს და გადასდებდა იქით, ზოგზე კი ამბობდა:

— ეს უთუოდ უნდა წავიკითხო...

— ყველაფერი ეს კომედიაა, — მითხრა ლევ ლევის ძემ; მე გაკვირვებით შევხედე. — კომედიაა ეს ბერიკაცი, ეს წერილების კითხვა, თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— რასა ბრძანებთ, მაგისთანა ფიქრი როგორ გამივლის თავში?

— მე კი გეუბნებით, ასეა. მე, მადლობა ღმერთს, შვეიცარიაში მივდივარ საცხოვრებლად. საკვირველი ხალხია ეს ტოლსტოველები ან, როგორც დედაჩემი ეძახის, ბნელი ხალხი, ყველაფერში ეთანხმებიან ტოლსტოის.

— ტოლსტოიმ მათ ღმერთი მიაგნებინა, — ვუთხარი მე.

— ღმერთი მიაგნებინა? კი არ მიაგნებინა, გააბათილა, მოსპო ღმერთი. არ მეგონა თუ უღმერთობა ასე მოეწონებოდა ხალხს. მაკვირვებს თქვენი მეუღლე — ილია პეტრეს ძე. მე საუბარი მქონდა მასთან.

ძალიან ღვარძლიანად ლაპარაკობდა ლევ ლევის

ძე, ეტყობოდა მამის წინააღმდეგ იყო განწყობილი.

ჩვენი წასვლის დრო დადგა. მარხილმა მოგვაკითხა. გამოვესალმეთ ყველას და წამოვედით. ლევ ნიკოლოზის ძემ ქუდი დაიხურა, პლედი მოიხურა და გამოგვაცილა. გამომშვიდობებისას ილიკოს აკოცა და უთხრა:

— უთუოდ, უთუოდ გესტუმრებით თქვენს მზიურ საქართველოში. — მაკასაც აკოცა და ჰკითხა: — მაკა, გინდა რომ გესტუმრო თბილისში? ჰოო? მაშ შევჯდები ველოსიპედზე და ჩიკ, ჩიკ, ჩიკ — ჩამოვალ...

ჩავედით კიბეზე და მივიხედეთ; გვინდოდა, ერთხელ კიდევ შეგვეხედა დიდი ადამიანისათვის, რომლის სიახლოვესაც ვცხოვრობდით ხუთ წელიწადს და ახლა გვენანებოდა მისი დატოვება. განსაკუთრებით უმძიმდა ეს ილიკოს. ტოლსტოი ზემოთ იდგა, კიბის თავზე, თეთრ წვერ-გაშლილი. ერთი ხელი ქამარში ჰქონდა, მეორე ილიკოს დაუქნია და სიცილით გადმოგვძახა:

— უთუოდ გნახავთ, ილიკო (მახვილი პირველ „ი"-ს დაუსვა), საქართველოში. მელოდეთ... ავდგები და წამოვალ თქვენთან, — გავიგონე მისი უკანასკნელი სიტყვები...

მას შემდეგ ტოლსტოი აღარ მინახავს, მაგრამ ამ გამომშვიდობებამ გამახსენა ტოლსტოის სიტყვები: ადამიანებს უნდა უხარიოდეთ ერთსა და იმავე

დროს ცხოვრება ამქვეყნად, უნდა უყვარდეთ ერთმანეთი და ხელიხელჩაკიდებულნი განვლონ ცხოვრების გზაო.

ჩამოვედით თბილისში.

გაგვიტაცა ადგილობრივმა ცხოვრებამ, ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობამ, საბავშვო ჟურნალის დაარსების საქმემ, სახალხო თეატრმა და უმთავრესად იმ სოციალურმა მოძრაობამ, რომლითაც აღფრთოვანებული იყო მშრომელი ხალხი.

1905 წლის დასაწყისში გურიაში მთავრობამ გაგზავნა ნამესტნიკის მოადგილე, სულთან კრიმ-გირეი, იმ მოძრაობის გამოსარკვევად, რომელმაც გურიაში იჩინა თავი. ხალხი გაიფიცა, არ დადიოდა არც პოლიციაში, არც სასამართლოში. მთავრობის დაწესებულებები დაცარიელდნენ და გაუქმდნენ. ქურდობა, დავიდარაბა და ჩივილი მოისპო. ხალხი თვითონ განაგებდა თავის ცხოვრების საქმეებს. კრიმ-გირეის მოგზაურობის დროს „სახალხო გაზეთმა“ კორესპონდენტად გაგზავნა ილიკო, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა ხალხის მოთხოვნები. ამ მოძრაობის შესახებ ილიკომ წერილი მისწერა ტოლსტოის. გაატანა იგი ცნობილ რევოლუციონერ-ხალხოსანს — მიშო ყიფიანს, რომელიც მაშინ პეტერბურგში მიდიოდა. მიშო ყიფიანის სიტყვით, ტოლსტოი აღტაცებული იყო გურულების მაშინდელი მოძრაობით და ცხოვრებით. მან

ილიკოს გამოუგზავნა გურულებისათვის წერილი, რომელიც ახლა საქართველოს მუზეუმში ინახება.

ილიკომ ტოლსტოის წერილი მიტინგებზე წაუკითხა გურულებს. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ მათზე.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ტოლსტოიმ ვერ შეაფასა შორიდან გურულების მოძრაობის მოტივები. ილიკო 1905 წლის ზაფხულში იყო მოსკოვში. მან ინახულა ტოლსტოი იასნაია პოლიანაში. გურულების შესახებ ეთქვა ტოლსტოის:

— რასაკვირველია, სავსებით ქრისტიანული რწმენით შეიძლება გურულები არ მოქმედებდნენ. მაგრამ ის ცხოვრება, როგორსაც ისინი ეწევიან, თვითონ რომ განაგებენ თავიანთ ცხოვრებას, ქრისტიანული არისო.

1937 წელს მოსკოვში ვიყავი. დავათვალიერე ტოლსტოის მუზეუმი კროპოტკინის ქუჩაზე და ტოლსტოის სახლი ხამოვნიკში, რომელიც ტოლსტოის მუზეუმის განყოფილებად ითვლება, ისევე, როგორც იასნაია პოლიანას სახლი.

როდესაც ხამოვნიკის სახლში შევდიოდი, ჩემს თვალწინ მთელი სახლი გაცოცხლდა, ამოძრავდა, ახმაურდა და თითქოს გაიცინა. თითქოს გავიგონე კიდეც ლევ ნიკოლოზის ძის მოსალმება, მისი სიცილი; დავინახე, როგორ ადიოდნენ და ჩადიოდნენ კიბეზე დუნაევი, რუსანოვი, გე, დუხობორები, კუნძულ იავიდან ჩამოსული იავის გუბერნატორი,

ყოფილი ფრანგი ჯარისკაცი, — სინე, იარცევი, ტატიანა ლევის ასულის ნათელი სახე და სოფიო ანდრიას ასულის სწრაფი სიარული, უკმაყოფილო გამომეტყველება... და ერთ წუთს წარმოვიდგინე, რომ აქ, ამ სახლში, არის დიდი ტოლსტოის გული, ის ყველას გვანუგეშებს და გვასწავლის იმ დიდ სიყვარულს კაცობრიობისადმი, რომელიც ამ დიდ გულში ღვივოდა.

მომინდა მენახა იასნაია პოლიანაც, მაგრამ ვერ ვნახე. ის იასნაია პოლიანა, რომლის შესახებაც შემდეგში, 1942 წ. წერდა რუსეთის შესანიშნავი თანამედროვე მწერალი ალექსი ტოლსტოი:

„აქ, ე. ი. იასნაია პოლიანაში, შლიდა ფრთებს ლევ ტოლსტოის გენია, რომლისთვისაც ვიწრო იყო თავისი უსამართლობით, სიცრუითა და უკანონობით ალსავსე მთელი ქვეყნიერება. აქ ძგერდა სიყვარულით მისი მგზნებარე გული საუკეთესო კაცობრიობისადმი და თავის ალმაფრენას ასახავდა სტრიქონებში. აქ ალელვებდა მის სინიდისს ყოველგვარი უსამართლობა და ცხარედ ამხილებდა დამნაშავეთ. აქ იწერებოდა ის თხზულებები, რომლების კითხვაც გვაცინებდა, გვატირებდა და გვასწავლიდა გავმხდარიყავით იმაზე უკეთესი, ვიდრე ვართ“.

იასნაია პოლიანა ვერ ვნახე.

როგორ მწყინს ახლა!

იასნაია პოლიანა, რომელიც ასე ძვირფასია წე-

რა-კითხვის მცოდნე ყველა ადამიანისათვის, 1941 წ. გაანადგურეს და დაანგრიეს გერმანელმა ფაშისტებმა, ბარბაროსულად დაწვეს და გაანიავეს აგრეთვე სახლის ავეჯი, წიგნები, ძვირფასი მიწერ-მოწერა. იქ, სადაც „ფრთებს შლიდა ტოლსტოის გენია“ და იწერებოდა დიდი აზრები კაცთა შორის ძმობის განმტკიცების შესახებ, იმ კაბინეტის თეთრ კედლებზე დაწერეს და დახატეს უწმაწური სიტყვები და სურათები...

ვის არ ააშფოთებს ამგვარი ველური საქციელი, ვის გულში არ აღძრავს მოძალადე გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ზიზღსა და სიძულვილს!

ახლა, როდესაც - ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემი გული სავსეა უსაზღვრო სიყვარულით და მადლობით წითელი არმიისა და მისი დიდი მხედართმთავრისადმი, რომელთაც ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა სათაყვანებელ ადგილებს შორის გაანთავისუფლეს და აღადგინეს იასნაია პოლიანაც. და მე თითქოს ახლაც ნათლად ვხედავ იასნაია პოლიანას კიბის თავზე გადმომდგარ დიდ მოხუცს, დიდ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის, უკანასკნელად რომ გვემშვიდობებოდა ხელის ქნევით და სიცილით გვეძახდა: „ნახვამდის, უთუოდ მოვალ თქვენს მზიურ საქართველოში და გნახავთო“.

რედაქტორი მ. ბაკურაძე
მხატვარი რ. ზედელაშვილი
ტექრედაქტორი ან. ღვინიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/IV 1954 წ. უე 02651. ანაწყ. ზომა 4½ × 7. ქაღალდის ზომა 70 × 92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 8. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 703.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, მრჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.